სათემო ფონდების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზი - ოთხი ქვეყნის გამოცდილება

2025

აქციე შენი წვლილი დიდ ცვლილებად

ზურაბ ტატანაშვილი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

სარჩევი

შესავალი **4**

ზოგადი მიმოხილვა **7**

სათემო ფონდის ძირითადი განმარტებები **7**

სათემო ფონდის ძირითადი მახასიათებლები **8**

განსხვავება სათემო ფონდებსა და სხვა ფილანტროპიულ ორგანიზაციებს შორის **9**

ძირითადი სარგებელი **11**

ძირითადი გამოწვევები, მოდელის კრიტიკა **13**

პირველი სათემო ფონდები **14**

სათემო ფონდების რაოდენობა მსოფლიოში **17**

სათემო ფონდები ევროპაში **19**

სათემო ფონდები გერმანიაში **20**

ქვეყნის პროფილი **20**

ისტორია და სტატისტიკა **20**

იურიდიული და ინსტიტუციური ფორმები **21**

დაფინანსება და სხვა რესურსი **22**

მთავრობასთან და ადგილობრივ თემთან ურთიერთობა **24**

სათემო ფონდის ისტორია: გუტერსლოს სათემო ფონდი (Bürgerstiftung Gütersloh) **28**

სათემო ფონდები სლოვაკეთში **35**

ქვეყნის პროფილი **35**

ისტორია და სტატისტიკა **35**

იურიდიული ფორმები **36**

დაფინანსება და სხვა რესურსი **37**

მთავრობასთან და ადგილობრივ თემთან ურთიერთობა **39**

სათემო ფონდის ისტორია: ჯანსაღი ქალაქის სათემო ფონდი (Komunitná nadácia Zdravé mesto) **41**

სათემო ფონდები რუმინეთში **48**

ქვეყნის პროფილი **48**

ისტორია და სტატისტიკა **48**

იურიდიული და ინსტიტუციური ფორმები **52**

დაფინანსება და სხვა რესურსი **52**

მთავრობასთან და ადგილობრივ თემთან ურთიერთობა **55**

სათემო ფონდის ისტორია: კლუჟის სათემო ფონდი (Fundația Comunitară Cluj) **56**

სათემო ფონდები საქართველოში **66**
ქვეყნის პროფილი **66**
სათემო ფონდები საქართველოში **66**
ისტორია **66**
იურიდიული და ინსტიტუციური ფორმები **67**
დაფინანსება და სხვა რესურსი **68**
მთავრობასთან და ადგილობრივ თემთან ურთიერთობა **70**
ძირითადი გამოწვევები **71**
კონკრეტული სათემო ფონდების გამოცდილება **74**
სათემო ფონდი „ლელი“ **74**
სათემო ფონდის მდებარეობა **74**
ფონდის შექმნის ისტორია **74**
ორგანიზაციული სტრუქტურა **75**
დაფინანსების სტრუქტურა და ფორმები **76**
სხვა რესურსები **76**
ძირითადი საქმიანობები **77**
დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა **79**
ძირითადი გამოწვევები **79**
დაფინანსებული პროექტის მაგალითი **80**
სათემო ფონდი „ერთიანობა პოზიტიური ცვლილებებისთვის“ **81**
ფონდის შექმნის ისტორია **81**
ორგანიზაციული სტრუქტურა **82**
დაფინანსების სტრუქტურა და ფორმები **83**
სხვა რესურსები **84**
ძირითადი საქმიანობები **84**
დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა **85**
ძირითადი გამოწვევები **85**
დაფინანსებული პროექტის მაგალითი **86**
„სათემო ფონდი ერთად თელავისთვის“ **87**
სათემო ფონდის მდებარეობა **87**
სათემო ფონდის შექმნის ისტორია **87**
ორგანიზაციული სტრუქტურა **89**
დაფინანსების სტრუქტურა და ფორმები **89**
სხვა რესურსები **90**
ძირითადი საქმიანობები **90**
დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა **90**
ძირითადი გამოწვევები **91**
დაფინანსებული პროექტის მაგალითი **92**

ევროპული და ქართული სათემო ფონდების შედარებითი ანალიზი.. 93
სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო..... 93
დაფინანსების მოდელი..... 94
ადგილობრივი თემის ჩართულობა..... 94
ცენტრალურ და მუნიციპალურ მთავრობასთან ურთიერთობა..... 95
ძირითადი გამოწვევები..... 95
დასკვნა..... 96
ბიბლიოგრაფია..... 97
დანართი 1: ინფორმირებული თანხმობის ფორმა..... 105
ინფორმაცია კვლევის შესახებ..... 105
ინფორმირებული თანხმობის დადასტურება..... 107

შესავალი

2020 წლიდან, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა, თემის განვითარების მიმართულებით მუშაობის 25-წლიანი გამოცდილებით, სათემო ფონდების მოდელის საქართველოში დანერგვაზე დაიწყო მუშაობა. ორგანიზაციამ, ECFI[1]-ის ქსელის წევრობის დახმარებით, დააგროვა გარკვეული ცოდნა, დაამყარა კონტაქტები მსგავსი პროფილის გამოცდილ ევროპულ ორგანიზაციებთან და შეითავსა ეროვნულ დონეზე სათემო ფონდების მხარდამჭერი ორგანიზაციის სტატუსი.

2020 წელს განახორციელა **სათემო ფონდების საქართველოში ინიცირების მიზანშეწონილობის კვლევა**, რათა კონკრეტულად შერჩეულ ერთ-ერთ რეგიონში დაეწყო სათემო ფონდის მოდელის ინიცირება. 2021 წლიდან, უკვე კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით (ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“/Civil Society STAR Initiative: CSOs as Sustainable, Transparent, Accountable and Resilient Development Actors in Georgia”) ორგანიზაციამ თავად კონცეფციის აქტიური პოპულარიზაცია გააგრძელა (სასწავლო და საინფორმაციო მასალების მომზადება/დავრცელება) და ორ ლოკაციაზე, სათემო ფონდების საინიციატივო ჯგუფების ინიცირებას და მხარდაჭერას (ფინანსური და ტექნიკური) შეუწყო ხელი. აღნიშნული სამუშაო, 2023–2024 წლებში ორ რეგიონში სათემო ფონდების რეგისტრაციით დასრულდა.

სათემო ფონდების შესახებ ჩატარებული კვლევის ანგარიში მიზნად ისახავს ამ ინსტიტუტის ფუნქციონირების, მისი სარგებლისა და გამოწვევების სისტემურ ანალიზს. კვლევა მნიშვნელოვანია როგორც პოლიტიკის შემქმნელებისთვის, ისე ადგილობრივი თვითმმართველობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რადგან იგი აჩვენებს, როგორ შეიძლება სათემო ფონდების მოდელი იქცეს მდგრადი განვითარებისა და მოქალაქეთა ჩართულობის პლატფორმად.

[1] **ECFI -** ევროპის სათემო ფონდების ინიციატივა/European Community Foundation Initiative

ქვეყნების შერჩევა განპირობებულია მათი გამოცდილების მრავალფეროვნებითა და მოდელის განვითარების განსხვავებული ეტაპებით. გერმანია წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ევროპულ ქვეყანას, სადაც სათემო ფონდები ფართოდ გავრცელდა და დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივ მმართველობაში. სლოვაკეთი საინტერესოა გარდამავალი საზოგადოებების კონტექსტში, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია, ხოლო სათემო ფონდის მოდელი იქცა სოციალური ინოვაციის ინსტრუმენტად. რუმინეთი კი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან მასში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სათემო ფონდები სწრაფად განვითარდა და ქმნიან ძლიერ ქსელს, რომელიც აერთიანებს ადგილობრივ დონორებს, ბიზნესს და მოქალაქეებს. ამ ქვეყნების ანალიზი საშუალებას იძლევა დავინახოთ, როგორ ერგება მოდელი განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს და რა საერთო მახასიათებლები აქვს.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება შედარებით ანალიზს და მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

- **ლიტერატურის მიმოხილვა:** გამოყენებულია საერთაშორისო წყაროები (Council on Foundations, European Community Foundation Initiative), ასევე ადგილობრივი ფონდების წლიური ანგარიშები და სტატისტიკური მონაცემები.

- **ქვეყნის პროფილების შედგენა:** თითოეული ქვეყნისთვის მომზადდა ისტორიული და ინსტიტუციური მიმოხილვა, დაფინანსების წყაროების ანალიზი და ურთიერთობის შეფასება მთავრობასთან, კერძო სექტორთან და ადგილობრივ თემებთან.

- **შემთხვევის შესწავლა (ქეის-სტადი):** კვლევაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კონკრეტული ფონდების ისტორიას (მაგ., Bürgerstiftung Gütersloh გერმანიაში, Komunitná nadácia Zdravé mesto სლოვაკეთში, Fundația Comunitară Cluj რუმინეთში), რაც საშუალებას იძლევა უკეთ დავინახოთ მოდელის პრაქტიკული შედეგები.

- **კრიტიკული ანალიზი:** ყურადღება გამახვილდა არა მხოლოდ წარმატებულ გამოცდილებაზე, არამედ მოდელის გამოწვევებზეც, როგორიცაა ფინანსური მდგრადობა, დონორების შეზღუდვები და საზოგადოების საჭიროებების მუდმივი ცვლილება.

საქართველოში, გარდა ინტერნეტწყაროების ანალიზისა, ჩატარდა ინტერვიუები სამი სათემო ფონდის წარმომადგენლებთან. ინტერვიუ ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარით.

კვლევისათვის შეირჩა სამი სათემო ფონდი: **„ლელი“**, **„ერთიანობა პოზიტიური ცვლილებებისთვის“** და **„ერთად თელავისთვის“**, რათა ასახულიყო საქართველოში სათემო ფილანტროპიის სხვადასხვა პრაქტიკა. ფონდები განსხვავდებიან როგორც გეოგრაფიული კონტექსტით (სოფელი/ქალაქი, სხვადასხვა რეგიონი), ისე განვითარების ტრაექტორიით. შერჩევის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იყო ასევე რესპონდენტების ხელმისაწვდომობა და მათი შესაძლებლობა, სიღრმისეულად აღეწერათ ორგანიზაციული გამოცდილება და კონტექსტი.

კვლევის მონაწილეები წინასწარ გაეცნენ და ხელი მოაწერეს ინფორმირებული თანხმობის ფორმას (დანართი 1: ინფორმირებული თანხმობის ფორმა), სადაც მითითებულია, რომ აღნიშნულ კვლევაში კონფიდენციალობის სრული დაცვა ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი სამიზნე აუდიტორიის სიმცირისა და მონაწილეთა უნიკალურობის გამო. რესპონდენტებს მიეცათ შესაძლებლობა მიეწოდებინათ უკუკავშირი როგორც ინტერვიუს დროს, ისე ანგარიშის პირველადი ვერსიის გადახედვისას. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, და „არ ავნო“ პრინციპის გათვალისწინებით, კვლევის საბოლოო ანგარიშში შევიდა მხოლოდ ის ფორმულირებები, რომლებიც ინტერვიუს დროს მიღებულ ინფორმაციას ასახავდა და რომელთა გამოყენებასაც რესპონდენტები დაეთანხმნენ.

ამრიგად, კვლევა წარმოადგენს მრავალი წყაროს გამოყენებით, შედარებით და შემთხვევის შესწავლაზე დაფუძნებულ ანალიზს, რომელიც მიზნად ისახავს სათემო ფონდების მოდელის სიღრმისეულ გაგებას და მისი ადაპტაციის შესაძლებლობების შეფასებას სხვადასხვა კონტექსტებში.

კვლევის ავტორი: ზურაბ ტატანაშვილი

კვლევის კონსულტანტი: ნინო ვასაძე

გვსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ კვლევის მონაწილეებს - **ნანა ნერსეზაშვილს**, **თამაზ ჯოჯუას** და **ლეილა ცხოვრებაშვილს**, მათი დროის და მათ მიერ გაზიარებული გამოცდილებისა და ხედვებისთვის. მათი ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო სათემო ფონდების საქმიანობის, გამოწვევებისა და შესაძლებლობების სიღრმისეული გააზრებისთვის.

ზოგადი მიმოხილვა
სათემო ფონდის ძირითადი განმარტებები

აშშ-ში მოქმედი ფონდების საბჭოს განმარტებით სათემო ფონდი არის **ფილანტროპიული, საზოგადოებრივი, საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომლის მიზანია კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება საქველმოქმედო რესურსების მობილიზებისა და მართვის გზით**. რესურსების მობილიზება ხდება ფიზიკური პირებისგან, ბიზნესებისგან ან სხვა დონორებისგან შემოწირულობების სახით. აღნიშნული თანხების ინვესტირება და შემდეგ არაკომერციული ორგანიზაციებისთვის გრანტების გაცემა ან საკუთარი პროგრამების განხორციელება ემსახურება ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილებას. სათემო ფონდს, როგორც წესი, მართავს მისი საზოგადოების წარმომადგენელი საბჭო, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივ ანგარიშვალდებულებას და ფართო მხარდაჭერას (Council on Foundations) (Walkenhorst P.,2021). სათემო ფონდების კონცეფცია ერთდროულად მარტივიც არის და საკმაოდ კომპლექსურიც. მარტივია იმ თვალსაზრისით, რომ ის აკავშირებს თემის რესურსებს, მისივე საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. მისი კომპლექსურობა კი გამოიხატება იმაში, რომ აღნიშნული საჭიროებების დაკმაყოფილება შესაძლებელია მოხდეს სათემო ფონდების მიერ სხვადასხვა გზით (Walkenhorst P.,2021).

ევროპის სათემო ფონდების ინიციატივა (ECFI), რომელიც ევროპასა და მის მეზობელ ქვეყნებში არსებულ სათემო ფონდებს და მათ მხარდამჭერ ორგანიზაციებს აერთიანებს, სათემო ფონდების შემდეგ განმარტებას გვთავაზობს: ***„სათემო ფონდი არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც ახდენს ტექნიკური და ფინანსური რესურსების მობილიზებას და ინვესტირებას გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში. მათი მიზანი არის, კონკრეტულ თემში მცხოვრები ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, ინდივიდებისა და ორგანიზაციების გაერთიანების გზით***. (European Community Foundation Initiative,2020). ამავე ორგანიზაციის თანახმად, სათემო ფონდებს მნიშვნელოვანი კატალიზატორის როლი აკისრიათ, ადგილობრივი სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი განვითარების ხელშეწყობაში. არ არსებობს ორი ერთნაირი საზოგადოებრივი ფონდი, თუმცა მათ გარკვეული მახასიათებლები და გამოწვევები აქვთ (European Community Foundation Initiative,2025).

სათემო ფონდის ძირითადი მახასიათებლები

ლიტერატურის მიმოხილვიდან და სხვადასხვა განმარტებიდან ჩანს, რომ სათემო ფონდებს აქვთ გარკვეული საერთო მახასიათებლები:

1.აქვს გეოგრაფიული ფოკუსი: ის ემსახურება განსაზღვრულ ტერიტორიას, როგორიცაა უბანი, ქალაქი, ოლქი ან რეგიონი. ბენეფიციარები არიან ადგილობრივი მაცხოვრებლები ან/და ორგანიზაციები (Council on Foundations) (Walkenhorst P.,2021).

2.საზოგადოების მხარდაჭერა და გადასახადებისგან გათავისუფლება: სხვადასხვა ქვეყანაში ფონდი აკმაყოფილებს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს, როგორც საჯარო საქველმოქმედო ორგანიზაცია, რაც ნიშნავს, რომ მისი დაფინანსება ხორციელდება მრავალი სხვადასხვა და არა ერთი ან რამდენიმე დონორისგან, შემოწირულობები კი ხშირად გადასახადებისგან გათავისუფლებულია. (Golden Valley Community Foundation, 2023) (Council on Foundations)

3.ზრდის და მართავს პერმანენტულ ენდოუმენტს[2]: ეს არის ფინანსური აქტივები, რომელთა ძირი კაპიტალი ინვესტირებულია და გამოიყენება მხოლოდ მასზე დარიცხული პროცენტი, ან ამ პროცენტის მცირე ნაწილი, რაც ფონდს საშუალებას აძლევს გაზარდოს იგი და უზრუნველყოს მასზე დარიცხული სარგებლის ზრდაც (Golden Valley Community Foundation,2023).

4.მმართველობა და მმართველი საბჭოს ანგარიშვალდებულება: მმართველი საბჭო შედგება საზოგადოების წარმომადგენლებისგან; გადაწყვეტილების მიმღები პირები ადგილობრივი მოსახლეობაა, რომლებსაც უკეთესად ესმით ადგილობრივი კონტექსტი და დროულად იგებენ ადგილობრივ საჭიროებებს (Walkenhorst P.,2021).

---

[2] **ენდოუმენტი** შეიძლება განიმარტოს როგორც აქტივები (ჩვეულებრივ, ნაღდი ფულის ანგარიშები, რომლებიც ინვესტირებულია აქციებში, ობლიგაციებში ან სხვა საინვესტიციო შესაძლებლობებში), რომლებიც გამოყოფილია ისე, რომ თავდაპირველი აქტივები (ე.წ. ძირი თანხა), დროთა განმავლობაში გაიზარდოს ინვესტირებულ სახსრებზე დარიცხული პროცენტით შემოსავლის შედეგად.

5.გრანტების გაცემის და დონორებთან ურთიერთობის მოქნილობა: ისინი ხშირად სთავაზობენ სხვადასხვა სახის დაფინანსებას (შეზღუდული / შეუზღუდავი / ინტერესის სფერო / დონორის რჩევით) და ეხმარებიან დონორებს მათი ფილანტროპიული მიზნების განხორციელებაში (Fidelity Charitable,n.d.).

6.ლიდერობა და თემის ჩართულობა: თანხების უბრალოდ განაწილების მიღმა, სათემო ფონდები ხშირად მოქმედებენ როგორც საზოგადოებრივი აზრის ლიდერები (thought-leaders), კრიზისების დროს მობილიზატორები და პარტნიორები გრძელვადიანი სოციალური საკითხების გადაჭრაში (Walkenhorst P.,2021). (Strawser,2021) (Strawser,2021; "Foundations, Community," 2021; the COVID-19 response literature)

განსხვავება სათემო ფონდებსა და სხვა ფილანტროპიულ ორგანიზაციებს შორის

სათემო ფონდები განსხვავდება კერძო ფონდების, დონორის მიერ მხარდაჭერილი ფონდებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან.

- **კერძო ფონდები**, როგორც წესი, ერთი ოჯახის, ინდივიდის ან კორპორაციის მიერ არის დაფინანსებული; მათ ხშირად ნაკლებად ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა აქვთ და შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული მარეგულირებელი მოთხოვნები ან ზედამხედველობის სისტემა (Fidelity Charitable,n.d.).

- **დონორის ფონდები (Donor Advised Funds)** სადაც თვითონ დონორებს არ აქვთ ადგილობრივი მართვის სტრუქტურა, და საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულება, რაც ახასიათებს სრულად სათემო ფონდებს. დონორის ფონდის შემთხვევაში, დონორი (ან დონორები) ურჩევს ორგანიზაციას თუ რაში დახარჯოს თანხა. მიუხედავად იმისა, რომ თანხის მიმღებ ორგანიზაციებს არ აქვთ ვალდებულება აღასრულონ აღნიშნული რჩევა, ისინი ხშირად ცდილობენ, მიჰყვნენ მათ (Fidelity Charitable,n.d.).

- **სხვა სამოქალაქო ან არაკომერციული ორგანიზაციები** შესაძლოა მუშაობდნენ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში, თუმცა ბევრი მათგანი მისიაზეა ორიენტირებული; სათემო ფონდებს, როგორც წესი, აქვთ ფართო მისია (ხელოვნება, განათლება, ჯანდაცვა, გარემოს დაცვა და ა.შ.) და დროთა განმავლობაში ერგებიან ადგილობრივ პრიორიტეტებს (Learning to Give,n.d.).

ცხრილი 1.
განსხვავება სათემო ფონდებსა და სხვა ფილანტროპიულ ორგანიზაციებს შორის

კრიტერიუმი	სათემო ფონდები	კერძო ფონდები	დონორის მიერ მხარდაჭერილი ფონდები (DAF)	სხვა არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციები
დაფინანსების წყარო	მრავალფეროვანი დონორები (ფიზიკური პირები, ბიზნესი, საზოგადოება)	ერთი ოჯახი, ინდივიდი ან კორპორაცია	ერთი ან რამდენიმე დონორი	ხშირად გრანტები ან კონკრეტული დონორები
გეოგრაფიული ფოკუსი	კონკრეტული ტერიტორია (ქალაქი, რეგიონი)	ფართო ან კონკრეტული, მაგრამ არა აუცილებლად ადგილობრივი	არ აქვს მკაფიო გეოგრაფიული ფოკუსი	შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ხშირად კონკრეტულ მისიაზეა ორიენტირებული
მმართველობა	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენელი საბჭო	დონორის მიერ დანიშნული მმართველობა	დონორს არ აქვს ადგილობრივი მართვის სტრუქტურა	ორგანიზაციის შიდა მმართველობა
საზოგადოებასთან ანგარიშვალდებუ-ლება	მაღალი – ადგილობრივი მოსახლეობა მონაწილეობს	შეზღუდული	დაბალი – ანგარიშვალდებულებ ა ძირითადად დონორთან	დამოკიდებულია ორგანიზაციის ტიპზე
მისია	ფართო – ხელოვნება, განათლება, ჯანდაცვა, გარემო და სხვ.	შეიძლება იყოს კონკრეტული ან ფართო, მაგრამ დონორის ინტერესებზეა დამოკიდებული	დონორის რჩევებზეა დამოკიდებული	ხშირად კონკრეტული მისია (მაგ., გარემოს დაცვა, განათლება)
გრანტების მოქნილობა	მრავალფეროვანი ფორმები (შეზღუდული/ შეუზღუდავი/ დონორის რჩევით)	დამოკიდებულია დონორზე	დონორი ურჩევს, ორგანიზაცია ხშირად მიყვება	დამოკიდებულია ორგანიზაციის მიზნებზე
ლიდერობა და თემის ჩართულობა	თემის ლიდერი, კრიზისების დროს მობილიზატორი	ნაკლებად თემზე ორიენტირებული	თემის ჩართულობა შეზღუდულია	თემის ჩართულობა კონკრეტული მისიის ფარგლებში

ძირითადი სარგებელი

სათემო ფონდები ქმნიან სტრატეგიულ, კოლექტიურ და მდგრად ფილანტროპიულ პლატფორმას, რომელიც დამყარებულია ადგილობრივი კონტექსტის ღრმა ცოდნაზე. ისინი ასრულებენ საზოგადოების კოორდინაციის მთავარი ლიდერების როლს როგორც სტაბილურ, ისე კრიზისულ პერიოდებში (Triangle Community Foundation, 2025).

სათემო ფონდების ძირითადი უპირატესობებია:

- **ადგილობრივი თემის სიღრმისეული ცოდნა და მის საჭიროებებზე დროული რეაგირებისთვის გრანტების გაცემა:** სათემო ფონდები ინტეგრირებულნი არიან ადგილობრივ თემში და კარგად ესმით ადგილობრივი გამოწვევები, საჭიროებები, სურვილები და ძლიერი მხარეები. ეს კი საშუალებას აძლევს მათ, ყველაზე ეფექტურად და სწრაფად მიმართონ რესურსები იქით, საითაც საჭიროა, განსაკუთრებით კატასტროფების ან კრიზისების დროს, სადაც დროული რეაგირება უმნიშვნელოვანესია (Azevedo, Bell, & Medina, 2022).

- **მდგრადი ფილანტროპია (ენდოუმენტები):** მნიშვნელოვანია მუდმივი საქველმოქმედო ფონდების შექმნა, რაც საშუალებას იძლევა უზრუნველყოს საზოგადოების მხარდაჭერა უვადოდ. ეს უზრუნველყოფს რესურსების ხელმისაწვდომობას როგორც გადაუდებელი საჭიროებებისთვის, ისე საზოგადოების გრძელვადიანი განვითარებისთვის, მაშინაც კი, როდესაც დონორების ინტერესი იკლებს (Mazany & Perry, 2014).

- **შემომწირველების ადმინისტრაციული მხარდაჭერა და ეფექტიანობა:** სათემო ფონდები ინდივიდებს, ოჯახებსა და ბიზნესებს სთავაზობენ შემოწირულობების მოქნილ და ეფექტურ გზებს, მათ შორის რთული აქტივების (როგორიცაა უძრავი ქონება ან ბიზნეს წილები) და ადმინისტრაციული ხარჯების მართვას. თითოეულ შემომწირველს არ უწევს მისი შემოწირულობის ცალკე ადმინისტრირება; ამას მისთვის სათემო ფონდი აკეთებს.

- **კოლექტიური გავლენა და თემის მობილიზაცია:** მრავალი დონორის შემოწირულობების გაერთიანებით, სათემო ფონდებს შეუძლიათ უფრო დიდი კოლექტიური გავლენის მიღწევა, ვიდრე ცალკეულ დონორს დამოუკიდებლად. ისინი ასევე მოქმედებენ როგორც საზოგადოების მობილიზატორები და ფასილიტატორები, აერთიანებენ სხვადასხვა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეს, როგორიცაა მთავრობის წარმომადგენლები, არაკომერციული ორგანიზაციების ლიდერები და ბიზნესის წარმომადგენლები, რათა კოორდინირებული იყოს უფრო დიდი სოციალური ცვლილებებისკენ მიმართული ძალისხმევა (Azevedo, Bell, & Medina, 2022).

- **ანგარიშვალდებულება და სანდოობა:** როგორც ანგარიშვალდებული საქველმოქმედო ორგანიზაციები, სათემო ფონდები იმსახურებენ ნდობას თავიანთ თემში. ისინი უზრუნველყოფენ რესურსების პასუხისმგებლობით განკარგვას და სამართლიან გადანაწილებას, რაც ასევე ზრდის სხვა ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის სტანდარტს და ანგარიშვალდებულებას (Azevedo, Bell, & Medina, 2022).

- **ლიდერობა და ინტერესთა დაცვა:** გრანტების გაცემის გარდა, სათემო ფონდები ლიდერის როლს ასრულებენ საზოგადოების მნიშვნელოვან საკითხებში და შეუძლიათ დონორებისა და პოლიტიკის შემქმნელების ინფორმირება საზოგადოების საჭიროებების შესახებ. სათემო ფონდების ინტერესთა დაცვისკენ მიმართულმა ძალისხმევამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერასა და საზოგადოების კეთილდღეობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკაზე (Azevedo, Bell, & Medina, 2022).

სათემო ფონდები შეიძლება განვიხილოთ როგორც დემოკრატიული მონაწილეობითი ინსტიტუტები, რომლებიც აძლიერებენ ადგილობრივ მმართველობას. მათი საქმიანობა ხელს უწყობს საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ქმნის ნდობის ქსელებს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის. გარდა ამისა, სათემო ფონდები ხშირად ასრულებენ მედიატორის როლს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. ისინი აგროვებენ ინფორმაციას თემის საჭიროებების შესახებ, ახდენენ ამ საჭიროებების კომუნიკაციას საჯარო ინსტიტუციებთან და ხელს უწყობენ შესაბამისი პროგრამების განვითარებას. ამგვარი ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ საზოგადოებებში, სადაც მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის კომუნიკაცია ყოველთვის ეფექტიანი არ არის.

ძირითადი გამოწვევები, მოდელის კრიტიკა

მიუხედავად იმისა, რომ სათემო ფონდებს ბევრი ძლიერი მხარე აქვთ, მათ ახასიათებს ასევე გარკვეული გამოწვევები:

- დონორის სურვილისა და არჩევანის პატივისცემიდან გამომდინარე, ენდოუმენტების, როგორც მუდმივი შემოსავლის წყაროს შენარჩუნება ნიშნავს გონივრულ და ხშირად კონსერვატიულ არჩევანს. ამ დროს საჭიროა საზოგადოების ინტერესებისა და შემოსავლების დაბალანსება ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

- ადგილობრივ საჭიროებებზე რეაგირება და ამავე დროს სამართლიანობის უზრუნველყოფა, მიკერძოების თავიდან აცილება და მმართველობაში ინკლუზიურობა საკმაოდ კომპლექსური საკითხია. ამ დროს ჩნდება კითხვა: ვის შეუძლია გადაწყვიტოს, რა არის „თემის საჭიროება“? ვინ წარმოადგენს თემის ჭეშმარიტ ინტერესს და ვინ არის სრულად მიუკერძოებელი?

- დონორების შეზღუდვებმა შეიძლება შეზღუდოს მოქნილობა: დონორების ძალიან ვიწრო შეზღუდვებით განსაზღვრულმა დაფინანსებამ შეიძლება შეზღუდოს ფონდის შესაძლებლობა, უპასუხოს მიმდინარე საჭიროებებს და ახალ გამოწვევებს თემში.

- გავლენის გაზომვა და საზოგადოების ცვლილებების ასახვა ფონდის საქმიანობაში (დემოგრაფიული ცვლილებები, სოციალური პრიორიტეტების ცვლილება) მოითხოვს მუდმივ ჩართულობას, შეფასებას და ზოგჯერ ქმნის დაძაბულობას ტრადიციასა და ინოვაციას შორის.

პირველი სათემო ფონდები

პირველი სათემო ფონდი 1914 წელს შეიქმნა აშშ-ში, ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდში, ფრედერიკ გოფის ინიციატივით. ახალი ფონდის მიზანი ორმხრივი იყო:

1. თემისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოსაგვარებლად, იმ მოქალაქეების ფინანსური და სხვა რესურსების მობილიზება, რომლებმაც ქონება მემკვიდრეობით მიიღეს;
2. ამ რესურსებზე უსაფრთხო და სტაბილური წვდომის უზრუნველყოფა იმ სათემო ინიციატივებისთვის, რომლებიც პასუხობს ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებებსა და თავისებურებებს. მის დამფუძნებელს, ფრედერიკ ჰარის გოფს წარმოედგინა ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებდა ბევრი დონორის, მათ შორის ცოცხლებისა და გარდაცვლილების საქველმოქმედო შესაძლებლობებს და მათი საშუალებით მიღებულ სარგებელს გამოიყენებდა კლივლენდის საჭიროებების მიხედვით (Hernández, Hernández, & Díaz, 2010).



ფოტო 1: ფრედერიკ ჰარის გოფი, 1858 - 1923

მე-20 საუკუნის პირველი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ფრედერიკ ჰარის გოფი კლივლენდის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი და პატივსაცემი მოქალაქე იყო. ის ასევე ეროვნულ-ინტელექტუალური საგანძური იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი სახელი ნაკლებად არის ცნობილი 21-ე საუკუნის ამერიკელების ან თუნდაც კლივლენდელების უმეტესობისთვის.

ცნობადობის და აღიარების ნაკლებობის მიუხედავად, გოფმა, ისევე როგორც მისმა უფრო ცნობილმა თანამედროვეებმა ენდრიუ კარნეგიმ და ჯონ დ. როკფელერმა, სამუდამოდ შეცვალა ქველმოქმედება, როგორც აშშ-ში, ისე მთელ მსოფლიოში. როგორც ამერიკელმა ფილოსოფოსმა უილიამ ჯეიმსმა აღნიშნა: „ცხოვრების უდიდესი სარგებელი არის ის, რომ იგი მიუძღვნა იმ იდეალებს და საქმეებს, რაც ადამიანის სიცოცხლეზე მეტხანს გრძელდება“. გოფის დამსახურება ფილანტროპიის მიმართ ნაკლებად აღიარებული თუმცა უდიდესია, რადგან მთელ მსოფლიოში სულ უფრო მეტი მოქალაქე ახორციელებს მის კონცეფციას, რომელიც გულისხმობს საქველმოქმედო აქტივების გაერთიანებას ადგილობრივი საჭიროებების მოგვარების მუდმივი წყაროს შექმნით (Cleveland Foundation, 2025).

ამერიკაში სათემო ფონდის შექმნიდან 61 წლის შემდეგ, 1975 წელს კი ევროპაში, გაერთიანებულ სამეფოსა და შვედეთში პირველი სათემო ფონდები შეიქმნა (UK Community Foundations, 2025). ბრიტანეთში Thamesdown Community Trust-მა აღნიშნული ინიციატივა დაიწყო მარტივი, მაგრამ ძლიერი იდეით, რომ მოხალისეების მხარდაჭერისთვის ბიზნესის ცალცალკე შემოწირულობების გაერთიანებით გაცილებით მეტი შედეგის მიღწევა იყო შესაძლებელი. მისი დამფუძნებელი, ლორდი ჯოელ ჯოფი, სოციალური სამართლიანობისა და საქველმოქმედო შემოწირულობების აქტიური დამცველი იყო. ლორდი ჯოფს, სამხრეთ აფრიკელ იურისტს, რომელიც რივონიას სასამართლო პროცესის დროს ნელსონ მანდელას წარმოადგენდა, ღრმად სწამდა რომ თემს მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება შეეძლო (UK Community Foundations, 2025).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღნიშნულია ევროპის მასშტაბით პირველი სათემო ფონდის შექმნის თარიღები ქვეყნების მიხედვით.

ცხრილი 2. პირველი სათემო ფონდების შექმნის ქრონოლოგია ევროპაში ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	პირველი სათემო ფონდი	დაარსების წელი
გაერთიანებული სამეფო	უილტშეარის სათემო ფონდი	1975
ფინეთი	ჰელსინგის ფონდი	1993
სლოვაკეთი	ჯანსაღი ქალაქის ფონდი ბანსკა ბისტრიცაში	1994
უკრაინა	პრინცების – ოსტროჟსკის საქველმოქმედო ფონდი (აღარ ფუნქციონირებს)	1995
გერმანია	გუტერსლოს სათემო ფონდი	1996
ჩეხეთი	უფსტის სათემო ფონდი	1997

საფრანგეთი	ლილეს სათემო ფონდი	1997
პოლონეთი	თოვლიანი მთის სათემო ფონდი და სათემო განვითარების ფონდი „ნად სიმსარნა“	1998
რუსეთი	ტოლიატის ქალაქის ფონდი	1998
იტალია	ლეკოს სათემო ფონდი	1999
ირლანდია	ირლანდიის სათემო ფონდი	2000
ბელგია	დასავლეთ ფლანდრიის სათემო ფონდი	2001
ბულგარეთი	გაბროვოს სათემო ფონდი	2002
ბოსნია და ჰერცეგოვინა	ტუზლას სათემო ფონდი	2003
ლატვია	ტალსის რაიონის ფონდი	2003
ნიდერლანდები	ტექსელფონდი	2004
ჩრდილოეთ მაკედონია	ადგილობრივი სათემო განვითარების ფონდი, შტიპი	2006
ესპანეთი	სიუტატ დე ვალის ფონდი (დაფუძნდა როგორც ფონდი 1984 წელს)	2006
ხორვატია	სლაგალიცას სათემო ფონდი	2007
თურქეთი	ბოლუს სათემო ფონდი	2007

რუმინეთი	ოდორჰეიუ სეკუიესკის და კლუჟის სათემო ფონდები	2008
გერნსი (გაერთ. სამეფოს კუთვნილება)	გერნსის სათემო ფონდი	2010
უნგრეთი	ფერენცვაროშის სათემო ფონდი	2011
სერბეთი	ნაბიჯი წინ ზაეჩარში	2013
საქართველო	სათემო ფონდი – ერთიანობა პოზიტიური ცვლილებებისთვის (ფუნქციონირება დროებით შეჩერებულია)	2023

სათემო ფონდების მოდელმა ერთდროულად რამდენიმე გამოწვევას უპასუხა: შემომწირველების მიზნების პატივისცემის უზრუნველყოფა მათი გარდაცვალების შემდეგ, შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიერ ქველმოქმედების ხელშეწყობა, შესაძლებლობების გაერთიანების გზით; და მმართველობის ისეთი სტრუქტურის შექმნა, რომელიც ასახავდა ადგილობრივი თემის ინტერესებსა და ცვალებად პრიორიტეტებს (Walkenhorst P., 2021).

სათემო ფონდების რაოდენობა მსოფლიოში

ფონდების ცენტრის (Foundation Center) დირექტორიის თანახმად, მსოფლიოში 2,241 სათემო ფილანტროპიული ორგანიზაციაა. აქედან 1318 ჩრდილოეთ ამერიკაშია, 754 ევროპაში, 57 აზიაში, 31 აფრიკაში, 69 ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, 9 სამხრეთ ამერიკაში (Candid, 2025). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მათგანი არ წარმოადგენს სათემო ფონდს და მათში შედის კონკრეტულ მისიაზე ორიენტირებული ადგილობრივი ორგანიზაციებიც, რომლებიც სათემო ფონდებისგან განსხვავდებიან იმით, რომ ისინი არ მუშაობენ ყველა თემაზე, რომელიც პრიორიტეტულია გეოგრაფიული თემისთვის. მაგ. მისიაზე ორიენტირებული სათემო ფილანტროპიული ორგანიზაციის მთავარი მიზანი შეიძლება იყოს თემში შიმშილის შემცირება.

სათემო ფონდი შესაძლოა გარკვეულ თანხებს ამ საკითხზე ხარჯავდეს, თუმცა მისი მისია ზოგადად თემის განვითარებაა, ყველა ადგილობრივი პრიორიტეტით და არა თემში კონკრეტული მიმართულების.

მსოფლიოში უშუალოდ სათემო ფონდების რაოდენობა კი ბოლო მონაცემებით 1800-ია (UK Community Foundations, 2025). მათ შორის **ევროპის 26 ქვეყანაში** მათი რაოდენობა 850-ზე[3] მეტია (European Community Foundation Initiative, 2022). ერთ ქვეყანაზე სათემო ფონდების რაოდენობით მსოფლიოში აშშ ლიდერობს. სხვადასხვა მონაცემით ქვეყანაში სათემო ფონდების რიცხვი 900-დან 1000-მდეა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფონდების უმეტესობა ძირითადად აშშ-სა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშია კონცენტრირებული, შედარებით მცირე რაოდენობით ისინი არსებობენ ყველა კონტინენტზე (UK Community Foundations, 2025).

სათემო ფონდების ფინანსების შესახებ ჯამური ინფორმაცია არ იძებნება, თუმცა მასშტაბების შესახებ გარკვეული შთაბეჭდილების შექმნის მიზნით გთავაზობთ რამდენიმე რიცხვს.

2024 წელს აშშ-ში ჩატარებული კვლევის თანახმად სადაც 400-მა სათემო ფონდმა მიიღო მონაწილეობა, მათ მფლობელობაში არსებული ჯამური კაპიტალი 159 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ამავე წელს მათ სხვადასხვა წყაროებიდან მოიზიდეს 18 მილიარდი დოლარი და გასცეს 16.5 მილიარდი (The Council on Foundations, 2024).

დიდი ბრიტანეთის სათემო ფონდებმა 2024 წელს ჯამურად 184 მილიონზე მეტი ფუნტი 32 500-ზე მეტ ინიციატივაზე გასცა გრანტების სახით. მათი 27% მოსახლეობის ფიზიკურ და მენტალურ კეთილდღეობას ისახავდა მიზნად, 21% თანასწორობას და ინკლუზიას, ხოლო 17% თემის განვითარებას და უსაფრთხოებას. ამის გარდა, საზოგადოებრივი ფონდები აფინანსებენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობას, როგორიცაა კატასტროფებზე რეაგირება, კლიმატის ცვლილების მზაობა, უსახლკარობის, იზოლაციისა და სიღარიბის თავიდან აცილების ღონისძიებები, ასევე განათლება, ხელოვნება, კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა, ასევე სპორტი და დასვენება. თითოეული გრანტის მოცულობამ საშუალოდ 6 100 ფუნტი შეადგინა. 2024 წლის ჩათვლით, ამ ერთიანმა ეროვნულმა ქსელმა დაარსების დღიდან 2.1 მილიარდ ფუნტზე მეტი თანხა გასცა სხვადასხვა ინიციატივებზე (UK Community Foundations, 2026).

[3] ევროპაში სათემო ფონდების განაწილების რუქა.

სათემო ფონდები ევროპაში

ევროპაში სათემო ფონდების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროპის სათემო ფონდების ინიციატივამ (European Community Foundation Initiative (ECFI)), რომელიც წარმოადგენს ევროპულ ქსელსა და თანამშრომლობით ინიციატივას. ორგანიზაცია მიზნად ისახავს ევროპაში სათემო ფონდების მოძრაობის გაძლიერებასა და განვითარებას. ორგანიზაცია გერმანიის ფონდების ასოციაციის ფარგლებში ფუნქციონირებს და აერთიანებს სათემო ფონდებს, მხარდამჭერ ორგანიზაციებს, ფილანტროპიის ექსპერტებსა და ადგილობრივ ლიდერებს, რათა ხელი შეუწყოს ინკლუზიურ და მდგრად სათემო განვითარებას.

ECFI-ის მთავარი მისიაა სათემო ფონდების ზრდის, ხილვადობისა და ეფექტიანობის მხარდაჭერა გამოცდილების გაზიარების, ქსელური თანამშრომლობის, კვლევებისა და ცოდნის გავრცელების გზით. ორგანიზაცია ხელს უწყობს ადგილობრივი ფილანტროპიის, სამოქალაქო მონაწილეობის, სოციალური ერთიანობისა და თემზე დაფუძნებული ინიციატივების განვითარებას სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევების საპასუხოდ.

ECFI-ის ძირითადი საქმიანობები მოიცავს სასწავლო ვიზიტების, გამოცდილების გაცვლის პროგრამების, თემატური შეხვედრებისა და ტრენინგების ორგანიზებას; ევროპაში სათემო ფონდების კვლევასა და რუკირებას (mapping); ცოდნის ცენტრის (Knowledge Centre) განვითარებას; ასევე სათემო ფონდებსა და ფილანტროპიულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას. ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა კლიმატის ცვლილება, დემოკრატია, სამოქალაქო ჩართულობა და მდგრადი განვითარება.

ECFI-ის მონაცემებით, ქსელი ამჟამად აერთიანებს სათემო ფონდებს ევროპის 28 ქვეყანაში და მხარდამჭერ ორგანიზაციებს 27 ქვეყანაში, რაც მას ევროპაში სათემო ფილანტროპიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პლატფორმად აქცევს.

სათემო ფონდები გერმანიაში

ქვეყნის პროფილი

დედაქალაქი: ბერლინი
ტერიტორია: 357 569 კმ².
მოსახლეობა: 83,577,140 (2025 წ.).
მშპ ერთ ადამიანზე: 44 200 ევრო (European Union, 2025).
პოლიტიკური სისტემა: ფედერაციული საპარლამენტო რესპუბლიკა (კანცლერი - მთავრობის ხელმძღვანელი; პრეზიდენტი - სახელმწიფოს მბოლური ხელმძღვანელი).

ისტორია და სტატისტიკა

გერმანიაში სათემო ფონდები ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ და დინამიურ ფილანტროპიულ სტრუქტურას წარმოადგენს. სათემო ფონდების რაოდენობით გერმანია ევროპაში პირველ ადგილზეა. ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში მათი როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც დაკავშირებულია როგორც სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებასთან, ისე ადგილობრივი ინიციატივებისადმი მზარდ ინტერესთან.

სათემო ფონდის იდეა გერმანიაში შედარებით გვიან გაჩნდა, თუმცა სწრაფად განვითარდა. 1990-იან წლებამდე მსგავსი მოდელი პრაქტიკულად არ არსებობდა, ხოლო პირველი ოფიციალური სათემო ფონდი — გუტერსლოს სათემო ფონდი (Bürgerstiftung Gütersloh) - 1996 წელს დაფუძნდა (Bundesverband Deutscher Stiftungen, 2023). მას შემდეგ სათემო ფონდების განვითარების ტემპი ქვეყანაში მუდმივად მაღალია.

2025 წლის მონაცემებით, გერმანიაში 435 აქტიური სათემო ფონდი მოქმედებს, რომლებიც ყოველწლიურად ფინანსურ დახმარებას უწევენ ათასობით ადგილობრივ პროექტს განათლების, გარემოსდაცვითი საქმიანობის, კულტურისა და სოციალური კეთილდღეობის სფეროებში. გერმანიის სათემო ფონდების საერთო კაპიტალი 684 მილიონ ევროზე მეტია (Stiftung Aktive Bürgerschaft, 2025). გერმანიაში სათემო ფონდების მიერ მოზიდული აქტივების ჯამური ოდენობა 1996 წლიდან 2025 წლამდე ერთ მილიარდ ევროს აჭარბებს.

2025 წელს მიღებული თანხების ოდენობა კი სულ მცირე 52 მილიონი ევროა (Stiftung Aktive Bürgerschaft, 2025).

სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, რომ გერმანია ევროპის მასშტაბით ყველაზე აქტიური ქვეყანაა სათემო ფონდების რაოდენობითა და მოქალაქეების ჩართულობით. „აქტიური სათემო ფონდების“ მიერ გამოქვეყნებული 2025 წლის ანგარიშის თანახმად, ქვეყანაში 435 აქტიური სათემო ფონდია, რომელთა საქმიანობაშიც დაახლოებით 400 000 ადამიანია ჩართული. ისინი თავიანთ ფულს, დროსა და იდეებს იყენებენ სოციალური ერთიანობის გასაძლიერებლად და ადგილობრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (Stiftung Aktive Bürgerschaft, 2025).

იურიდიული და ინსტიტუციური ფორმები

გერმანიაში სათემო ფონდი უმეტესად რეგისტრირდება როგორც არამომგებიანი ფონდები (gemeinnützige Stiftung), რომლებიც მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოში ფუნქციონირებენ. მათ საქმიანობას ზედამხედველობენ სამეთვალყურეო ორგანოები, რომლებიც აკონტროლებენ, რათა ფონდი ემსახურებოდეს მხოლოდ საზოგადოების კეთილდღეობისკენ მიმართულ მიზნებს.

გერმანიაში ფონდების საქმიანობის სამი ძირითადი მიმართულება სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით: 1. არამომგებიანი, 2. საქველმოქმედო და 3. რელიგიური. სათემო ფონდებმა უნდა შეასრულონ არამომგებიანი ორგანიზაციების მიმართ წაყენებული მოთხოვნები. ერთი მხრივ, საზოგადოებრივი ფონდის წესდება უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ ფორმალურ მოთხოვნებს. მეორე მხრივ, ფონდის მიერ საქმიანობის წარმოების წესი უნდა შეესაბამებოდეს წესდებას და საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს (European Community Foundation Initiative, 2016).

არაკომერციული მიზნებია ის მიზნები, რომლებიც ალტრუისტულად, ფინანსური ინტერესის გარეშე უჭერს მხარს საზოგადოებას ფინანსურად, გონებრივად ან მორალურად“ (მუხლი 52 (1) წინადადება 1 AO). კანონი იძლევა მხარდაჭერის სფეროების არასრულ ჩამონათვალსაც, ესენია: ახალგაზრდებთან და ხანდაზმულებთან მუშაობა, ხელოვნება და კულტურა, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ადგილების შენარჩუნება, განათლება, ზრდასრულთა განათლება და პროფესიული მომზადება. 2007 წლიდან კანონში პირდაპირ არის მითითებული, რომ სამოქალაქო ჩართულობის და მათი აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერა არაკომერციული, საქველმოქმედო და საეკლესიო მიზნებისთვის ასევე ითვლება

საქველმოქმედო მიზნად (მუხლი 52 (2) № 25 AO). სათემო ფონდებმა, როგორც წესი, ამ სიიდან სულ მცირე სამი განსხვავებული მიზანი შეიტანეს თავიანთ წესდებაში, რამაც მათ საშუალება მისცა ესარგებლათ საგადასახადო შეღავათებით. აღნიშნული შეღავათები კი
ახალი დონორების მოსაზიდად მნიშვნელოვანი ფაქტორია (European Community Foundation Initiative, 2016).

ზოგიერთ რეგიონში ფონდი რეგისტრირდება როგორც „რეგისტრირებული ასოციაცია“ („eingetragener Verein“). ამ ფორმას ხშირად იყენებენ შედარებით მცირე სათემო ფონდები, რომლებიც საჭიროებენ მოქნილ ორგანიზაციულ ფორმას.
ფონდის რეგისტრაციისთვის გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობა პირდაპირ არ მოითხოვს კონკრეტულ საწყის კაპიტალს, თუმცა მოითხოვს, რომ უზრუნველყოფილი იყოს ფონდის მიზნის მუდმივი და მდგრადი ხელშეწყობა. შესაბამისად, რეგიონული მმართველობის ორგანოები აწესებენ სხვადასხვა მინიმალური თანხის ოდენობას, რომელსაც უნდა ფლობდეს ორგანიზაცია - როგორც წესი, სულ მცირე 50 000 ევროს. 2013 წელს საკანონმდებლო ორგანომ განმარტა, რომ ფონდი შეიძლება დარეგისტრირდეს მინიმუმ 10 წლით. (სამოქალაქო კოდექსი §80(2), წინადადება 2). (Council of Foundations, 2022).

დაფინანსება და სხვა რესურსი

სათემო ფონდები, როგორც სექტორი, ფინანსურად მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ, რაც გერმანიაში პირველი საზოგადოებრივი ფონდი დაარსდა 1990-იანი წლების შუა პერიოდში. ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, ამ ფონდებმა ერთობლივად ერთ მილიარდ ევროზე მეტის მობილიზება მოახდინეს თემის კეთილდღეობისთვის. ეს შთამბეჭდავი რიცხვი მოიცავს დაახლოებით 684 მილიონ ევროს საქველმოქმედო კაპიტალის სახით - გრძელვადიან ფინანსურ საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივ სტაბილურობას - 264 მილიონ ევროს შემოწირულობების და მინიმუმ 52 მილიონ ევროს გრანტებისა და სუბსიდიების სახით. (Stiftung Aktive Bürgerschaft, 2025).

გერმანიაში სათემო ფონდების შემოსავლის ძირითადი წყაროები კერძო შემოწირულობები, კერძო პირების და ორგანიზაციებისგან შემოწირულ ენდოუმენტზე დარიცხული სარგებელი და ინვესტიციაზე უკუგებაა (ROI – Return on Investment) (European Community Foundation Initiative, 2016).

გერმანიის სათემო ფონდების ძირითადი შემოსავლებია:

- **კერძო შემოწირულობები და ენდოუმენტზე დარიცხული სარგებელი:** შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო პირებისგან მოდის, რომლებიც ენდოუმენტების თითქმის 70%-ს და შემოწირულობების 80%-ს შეადგენენ. კერძო კომპანიები მხარდამჭერების მეორე უდიდესი ჯგუფია.

- **ფონდებიდან შემოსული თანხები:** სათემო ფონდები ხშირად მცირე, მრავალი ინდივიდუალური ფონდისთვის ქოლგა ორგანიზაციების როლს ასრულებენ. დონორები კაპიტალს კონკრეტული მიზნებისთვის სამართავად სათემო ფონდს ანდობენ, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საერთო აქტივების მდგრადობას.

- **ინვესტიციაზე უკუგება (ROI):** ენდოუმენტების ინვესტირებით სათემო ფონდები იღებენ ფინანსურ სარგებელს. მათ პროფესიონალიზმამდე დახვეწეს კაპიტალის და შემოსავლების მართვა, რის შედეგადაც უზრუნველყვეს მდგრადი ფინანსური ზრდა.

- **სახელმწიფო დაფინანსება (არაპირდაპირი):** სათემო ფონდები ასევე შეიძლება იღებდნენ სახელმწიფო შენატანებს ან გრანტებს კონკრეტული პროექტებისთვის, თუმცა კერძო შემოწირულობები მათი ძირითადი წყაროა (Centre for Social Investment, 2016).

2023–2024 ფისკალურ წელს, სათემო ფონდებმა შემოწირულობების სახით 46.4 მილიონი ევრო შეაგროვეს. შემოწირულობებიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული თანხიდან 64.6 მილიონი ევრო პირდაპირ ადგილობრივ პროექტებზე გადანაწილდა, რომლებიც სოციალური კეთილდღეობიდან დაწყებული კულტურული ინიციატივებით დამთავრებული საკითხების მოგვარებას ისახავდა მიზნად. 1996 წლიდან საზოგადოებრივმა ფონდებმა 338 მილიონ ევროზე მეტი პირდაპირ ადგილობრივ ინიციატივებში ჩადეს, რაც ხაზს უსვამს მათ როლს, როგორც ქველმოქმედების მამოძრავებელ ძალას (Stiftung Aktive Bürgerschaft, 2025).

აღსანიშნავია სათემო ფონდებსა და გერმანიის ბანკებს (Volksbanken-სა და Raiffeisenbanken-ს) შორის მჭიდრო პარტნიორობა. სათემო ფონდების დაახლოებით 87% აცხადებს, რომ მხარდაჭერას იღებს სულ მცირე ერთი ბანკისგან, რომელიც ხშირად მოქმედებს როგორც ერთ-ერთი დამფუძნებელი, მუდმივი დონორი და პარტნიორი პროექტების ფარგლებში.

მათი მხარდაჭერა გამოიხატება შემოწირულობებში და შესაბამისი დაფინანსების ინიციატივებში, საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში, როგორიცაა შეხვედრების სივრცის გამოყოფა და ადმინისტრაციული დახმარება. ბანკები ხშირად უშუალოდ მონაწილეობენ ფონდის მმართველობასა და პროგრამირებაში (Stiftung Aktive Bürgerschaft, 2025).

ფონდები ასევე დიდწილად ეყრდნობიან მოხალისეობრივ საქმიანობას. ათასობით მოქალაქე, მათ შორის ახალგაზრდები და უფროსი ასაკის ადამიანები, მონაწილეობენ ფონდის მიერ ორგანიზებულ საქმიანობებში, რასაც ფონდისთვის მოაქვს როგორც ადამიანური რესურსი, ისე ადგილობრივი ნდობა (Bundesverband Deutscher Stiftungen, 2023).

სათემო ფონდები სთავაზობენ საზოგადოებას ჩართულობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობებს, როგორიცაა ე.წ. სათემო ფონდების საძიებელი (Bürgerstiftungsfinder), ონლაინ დირექტორია, რომელიც ეხმარება მოქალაქეებს იპოვონ და დაუკავშირდნენ თავიანთ ტერიტორიაზე არსებულ ფონდებს. ისინი ასევე სთავაზობენ მოსახლეობას რეგულარულ ფორუმებს, ტრენინგებსა და გაცვლით პლატფორმებს, რომლებიც ავითარებენ სახსრების მოზიდვის, მმართველობისა და ჩართულობის საუკეთესო პრაქტიკას. მათი ერთობლივი ფინანსური სიძლიერის, მოხალისეთა ფართო ქსელებისა და ინსტიტუციური პარტნიორობის შედეგად, სათემო ფონდები განაგრძობენ განვითარებას როგორც მდგრადი, ადგილობრივ კონტექსტში დაფუძნებული ძალა, რომელიც გერმანიაში საზოგადოებაზე ორიენტირებულ ცვლილებებს უწყობენ ხელს (Stiftung Aktive Bürgerschaft, 2025).

მთავრობასთან და ადგილობრივ თემთან ურთიერთობა

გერმანიაში ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობა სათემო ფონდებთან ეფუძნება სამოქალაქო ჩართულობის, ფედერალიზმისა და სუბსიდიარობის პრინციპს[4]. სათემო ფონდები წარმოადგენენ დამოუკიდებელ, ადგილობრივად დაფუძნებულ საქველმოქმედო ინსტიტუციებს, რომლებიც კერძო რესურსებს საზოგადოებრივი სიკეთისთვის აერთიანებენ.

[4] ფედერალიზმი და სუბსიდიარობა პოლიტიკურ თეორიაში ფუნდამენტური, ხშირად ურთიერთგადამკვეთი პრინციპებია, რომლებიც არეგულირებს ძალაუფლების განაწილებას სახელმწიფოში ან ორგანიზაციაში. მიუხედავად იმისა, რომ ფედერალიზმი ფოკუსირებულია ცენტრალურ და რეგიონულ მთავრობებს შორის ძალაუფლების სტრუქტურულ დაყოფაზე, სუბსიდიარობა გულისხმობს გადაწყვეტილებების მიღების დეცენტრალიზაციას, ანუ მაქსიმალურად ადგილობრივ დონეზე მიღებას.

ისინი იურიდიულად დამოუკიდებელი, არასამთავრობო სუბიექტები არიან, თუმცა მათი საქმიანობა ხშირად კვეთს მუნიციპალურ პრიორიტეტებს და ეფუძნება ფედერალურ სამართლებრივ ჩარჩოს.

ფედერალურ დონეზე ურთიერთობა უფრო ირიბი და რეგულაციურია. გერმანიის ცენტრალური ხელისუფლება პირდაპირ არ მართავს და, როგორც წესი, არ აფინანსებს სათემო ფონდებს, თუმცა განსაზღვრავს სამართლებრივ და საგადასახადო ჩარჩოს, რომელშიც ისინი მოქმედებენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საგადასახადო კანონმდებლობას: საზოგადოებრივი სარგებლობის სტატუსის (gemeinnützig) მქონე ფონდები სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით, ისევე როგორც დონორები. ეს მექანიზმები გადამწყვეტ როლს თამაშობს ფონდების მდგრად განვითარებაში (Anheier & Leat, 2006).

2000-იანი წლებიდან განხორციელებულმა საკანონმდებლო რეფორმებმა გაამარტივა ფონდების შექმნის პროცედურები და გაზარდა ფილანტროპიის საგადასახადო სტიმულები. მიუხედავად ამისა, ზედამხედველობა და რეგისტრაცია ძირითადად ფედერალური მიწების (ე.წ. ლანდერების) კომპეტენციაში რჩება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გერმანიის ფედერალურ სტრუქტურას.

განსხვავებით ზოგიერთი ქვეყნისგან, სადაც სათემო ფონდები შეიძლება ცენტრალური ხელისუფლების კონტრაქტორებად იქცნენ, გერმანიაში ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ ფინანსური და ინსტიტუციური დამოუკიდებლობა. მათი ლეგიტიმაცია ეფუძნება ადგილობრივ ნდობას, რესურსების დივერსიფიკაციას და მოქალაქეთა მონაწილეობას.

მუნიციპალურ დონეზე ურთიერთობა, როგორც წესი, თანამშრომლობითი და პარტნიორულია და არა იერარქიული. სათემო ფონდები დამოუკიდებელი იურიდიული პირები არიან, რომლებიც მოქმედებენ გერმანიის ფონდების სამართლის (Stiftungsrecht) საფუძველზე და ზედამხედველობას ფედერალური მიწების შესაბამისი მმართველი ორგანოები ახორციელებენ. მიუხედავად ამისა, მათი საქმიანობა ხშირად თანხვედრაშია მუნიციპალიტეტების მიზნებთან - ახალგაზრდული პროგრამები, სოციალური ჩართულობა, კულტურული ინიციატივები, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.

პრაქტიკაში თანამშრომლობა გამოიხატება პროექტების თანადაფინანსებაში, მუნიციპალური სივრცეების დათმობა/გაზიარებაში ან ადგილობრივი საჭიროებების

შესახებ სტრატეგიულ დიალოგში. ზოგიერთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტები შეიძლება იყვნენ ფონდის დამფუძნებლები ან საწყისი კაპიტალის შემომწირველები, თუმცა მათ არ აქვთ უშუალო კონტროლი ფონდების მართვაზე.

ფონდებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოპერაციული დამოუკიდებლობა, რათა მათ შეინარჩუნონ ნდობა და არაპარტიულობა (Adloff, 2015).

ამ ურთიერთობას შეიძლება ვუწოდოთ შემავსებელი: მუნიციპალიტეტები ასრულებენ კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს, ხოლო სათემო ფონდები მოქნილად და ინოვაციურად პასუხობენ ადგილობრივ გამოწვევებს. სათემო ფონდები მუნიციპალიტეტებში ხშირად „პილოტურ“ პროექტებს ახორციელებენ, რომლებიც მოგვიანებით შესაძლოა საჯარო პოლიტიკაში ინტეგრირდეს. ეს ასახავს გერმანიის სოციალურ მოდელს, სადაც სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორი ერთობლივად იზიარებენ სოციალური კეთილდღეობის პასუხისმგებლობას (Zimmer & Priller, 2004).

ადგილობრივ თემთან ურთიერთობა სათემო ფონდების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. გერმანული სათემო ფონდების (Bürgerstiftungen) ურთიერთობა ადგილობრივ თემთან წარმოადგენს მათი იდენტობისა და ლეგიტიმაციის ბირთვს. თუ ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობა შეიძლება აღვწეროთ როგორც ინსტიტუციური და რეგულაციური, თემთან ურთიერთობა გაცილებით უფრო ცოცხალი, ყოველდღიური და ურთიერთნდობაზე დაფუძნებულია. სწორედ ამ კავშირში იკვეთება სათემო ფონდის არსი - თემის მიერ, თემისთვის.

გერმანიაში სათემო ფონდი, როგორც წესი, ყალიბდება ადგილობრივი მოქალაქეების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და სამოქალაქო აქტივისტების ინიციატივით. მაგალითად, პირველი ასეთი ფონდი - Bürgerstiftung Gütersloh - სწორედ ადგილობრივი ლიდერების თანამონაწილეობით შეიქმნა და იქცა მოდელად სხვა ქალაქებისთვის. ამგვარი წარმოშობა განაპირობებს იმას, რომ ფონდი თავიდანვე აღიქმება არა როგორც „გარედან მოსული“ ინსტიტუტი, არამედ როგორც ადგილობრივი თემის პლატფორმა.

გერმანული სათემო ფონდები დაფუძნებულია ფართო მოქალაქეობრივ მონაწილეობაზე. ადგილობრივი ბიზნესის, სამოქალაქო სექტორისა და აქტიური მოქალაქეების წარმომადგენლები მონაწილეობენ მმართველობით ორგანოებში, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების კოლექტიურობასა და მრავალხმიანობას.

მოქალაქეები მხოლოდ ბენეფიციარები არ არიან - ისინი არიან დონორები, მოხალისეები და ინიციატივების თანამშემქმნელები. ეს ქმნის თანამმართველობის კულტურას და აძლიერებს საზოგადოების პასუხისმგებლობის განცდას.

საჯარო შეხვედრების, პარტნიორი ორგანიზაციების კონსულტაციების და უშუალო კომუნიკაციის გზით სათემო ფონდები მუდმივად იკვლევენ ადგილობრივ საჭიროებებს. მოქნილობა საშუალებას აძლევს მათ სწრაფად უპასუხონ სოციალურ, კულტურულ თუ საგანმანათლებლო გამოწვევებს და დააფინანსონ მცირე, ინოვაციური პროექტები, რომლებიც ხშირად ავსებს საჯარო სექტორის საქმიანობაში არსებულ დეფიციტს. ფონდების საქმიანობა ასევე ეფუძნება ნდობასა და გამჭვირვალობას. საჯარო ანგარიშგება, ღია კომუნიკაცია და მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა აძლიერებს სოციალურ კაპიტალს. ისინი ხშირად მოქმედებენ როგორც ნეიტრალური პლატფორმები, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა ჯგუფს საერთო მიზნების გარშემო და ხელს უწყობენ თანამშრომლობის კულტურის დამკვიდრებას.

სათემო ფონდები ორიენტირებულია გრძელვადიან სტაბილურობაზე - მათი კაპიტალი, როგორც წესი, ინვესტირდება ისე, რომ შენარჩუნდეს ძირითადი თანხა და გამოიყენოს მხოლოდ შემოსავალი. ეს მოდელი ქმნის თაობათა შორის სოლიდარობის განცდას და აყალიბებს ძლიერ ადგილობრივ იდენტობას: ფონდი აღიქმება როგორც თემის მიერ შექმნილი და თემისთვის მომუშავე ინსტიტუტი.

ამგვარად გერმანიაში სამმხრივი ურთიერთობაა: ადგილობრივი ხელისუფლება, ცენტრალური ხელისუფლება და ადგილობრივი თემი. სათემო ფონდები ამ სისტემაში მოქმედებენ როგორც დამაკავშირებელი და გამაძლიერებელი რგოლი - ისინი გარდაქმნიან თემის საჭიროებებს კონკრეტულ პროექტებად, ახდენენ კერძო რესურსების მობილიზებას და თანამშრომლობენ მუნიციპალიტეტებთან სტრატეგიულ საკითხებზე.

საერთო ჯამში, გერმანიაში ხელისუფლებასა და სათემო ფონდებს შორის ურთიერთობა ხასიათდება თანამშრომლობით, როლების ურთიერთაღიარებითა და ავტონომიის პატივისცემით. ფედერალიზმისა და სუბსიდიარობის პრინციპები უზრუნველყოფს იმას, რომ სახელმწიფო ქმნის სტრუქტურულ პირობებს, ხოლო სათემო ფონდები ინარჩუნებენ სამოქალაქო ხასიათს და ადგილობრივ ფესვებს.

სათემო ფონდის ისტორია: გუტერსლოს სათემო ფონდი (Bürgerstiftung Gütersloh)

ფოტო 2: გუტერსლოს სათემო ფონდის დამფუძნებელი რენარდ მონი (1921-2009)

ისტორია:
გუტერსლოს სათემო ფონდი გერმანიაში ერთ-ერთი პირველი სათემო ფონდი იყო და დღესაც აღიქმება როგორც მოდელი სხვა მსგავსი ინიციატივებისთვის. იგი დაარსდა 1996 წლის 29 ნოემბერს ბიზნესმენის, რენარდ მონის (Reinhard Mohn) ინიციატივით, თავდაპირველი სახელწოდებით „Stadt Stiftung Gütersloh“. ოფიციალურად დარეგისტრირდა იმავე წლის დეკემბერში (Bürgerstiftung Gütersloh, n.d.).

ფონდის შექმნა დაემთხვა პერიოდს, როდესაც გერმანიაში აქტიურად განიხილებოდა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების საჭიროება. იდეა ეფუძნებოდა პრინციპს, რომ ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტა ყველაზე ეფექტურად სწორედ ადგილობრივ დონეზე, მოქალაქეთა ჩართულობით არის შესაძლებელი (Bürgerstiftung Gütersloh, n.d.). ამგვარად, გუტერსლოს სათემო ფონდი გახდა ერთგვარი საწყისი წერტილი გერმანული სათემო ფონდების მოძრაობისთვის და მისმა გამოცდილებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სხვა ქალაქებში მსგავსი ორგანიზაციების ჩამოყალიბებაზე.

გუტერსლო წარმოადგენს ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის რეგიონში მდებარე საშუალო ზომის, ეკონომიკურად ძლიერ ინდუსტრიულ ქალაქს, რომლის მოსახლეობა 1996 წლის დეკემბრის მდგომარეობით 93 775 ადამიანს შეადგენდა (Gütersloh City Hall, 2025). ქალაქი უკვე ჩამოყალიბებული იყო როგორც რეგიონის (Ostwestfalen-Lippe) ადმინისტრაციული და ეკონომიკური ცენტრი. ის გამოირჩეოდა განვითარებული ინფრასტრუქტურითა და სტაბილური ურბანული გარემოთი. მისი ეკონომიკის საფუძველს ქმნიდა მსხვილი ინდუსტრიული და მედია კომპანიები. განვითარებული იყო ასევე მცირე და საშუალო მეწარმეობა ლითონის დამუშავების, მომსახურების, სავაჭრო და სურსათის წარმოების სფეროებში, რაც ზრდიდა დასაქმებას და ეკონომიკურად მრავალფეროვანს ხდიდა ქალაქს. შედეგად Gütersloh 1990-იანი წლების შუა პერიოდში წარმოადგენდა სტაბილურ, ეკონომიკურად აქტიურ და რეგიონულად მნიშვნელოვან გერმანულ ქალაქს.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ფონდი ფუნქციონირებს როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი სუბიექტი და მოქმედებს როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო, სამოქალაქო ორგანიზაციის სტატუსით (gemeinnützig). მისი მმართველობითი სტრუქტურა კლასიკური გერმანული ფონდის მოდელს ეფუძნება და მოიცავს:

- სამეთვალყურეო საბჭოს (Kuratorium) - რომელიც ზედამხედველობს ფონდის სტრატეგიულ მიმართულებებს და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას წესდებით განსაზღვრულ მიზნებთან;
- გამგეობას (Vorstand) - რომელიც პასუხისმგებელია ყოველდღიურ მართვაზე, გადაწყვეტილებების მიღებასა და პროექტების განხორციელებაზე;
- ადმინისტრაციულ და საკოორდინაციო პერსონალს - რომელთა საქმიანობის დიდი წილი მოხალისეობრივია.

მმართველობით ორგანოებში წარმოდგენილნი არიან ადგილობრივი ბიზნესის, კულტურის, განათლებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს მრავალფეროვნებას და გადაწყვეტილებების კოლექტიურ ხასიათს (Bürgerstiftung Gütersloh, n.d.).

დაფინანსების სტრუქტურა და ფორმები: გუტერსლოს სათემო ფონდის ფინანსური მოდელი ეფუძნება საწყის კაპიტალს (endowment), რომლის ძირი თანხა ნარჩუნდება, ხოლო ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი გამოიყენება პროგრამებისა და პროექტების დასაფინანსებლად. ეს მიდგომა უზრუნველყოფს გრძელვადიან მდგრადობას და ამცირებს ფონდის დამოკიდებულებას ერთჯერად შემოწირულობებზე (Anheier & Daly, 2007).

2024 წლის მონაცემების მიხედვით, ფონდის წლიური შემოსავალი დაახლოებით 900 000–920 000 ევროს ფარგლებში მერყეობს. ეს თანხა იკრიბება არსებული კაპიტალის შემოსავლებისგან (მაგ. ენდოუმენტებზე დარიცხული პროცენტი), შემოწირულობებისა და მიზნობრივი ფონდებისგან. წლის განმავლობაში ორგანიზაცია დაახლოებით 530 000 – 550 000 ევროს გასცემს გრანტებისა და პროექტების მხარდაჭერის სახით, რაც წარმოადგენს მისი საქმიანობის ცენტრალურ მიმართულებას. მთლიან ხარჯებში ყველაზე დიდი წილი მოდის ისეთი საწესდებო მიზნების განხორციელებაზე, როგორიცაა სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურული და საზოგადოებრივი ინიციატივების დაფინანსება. ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები შედარებით მცირეა და ემსახურება ფონდის მართვასა და პროგრამების კოორდინაციას.
ფონდის შემოსავლების და ხარჯების განაწილების სტრუქტურის შესახებ უფრო ნათელ სურათს ქმნის 2021 წლის ფინანსური ინფორმაცია.

ცხრილი 3. გუტერსლოს სათემო ფონდის შემოსავლები - 2021

შემოსავლის ტიპი	თანხა EUR	%
კაპიტალიდან მიღებული შემოსავალი	258,000	32%
ქონების გაქირავება	223,000	27%
პატრონაჟები[5]/ წევრობა	105,000	13%
შემოწირულობები	159,000	19%
სხვა (აქციები, ღონისძიებები)	71,000	9%
სულ	788,000[6]	100%

[5] გრძელვადიანი ფინანსური მხარდამჭერები, რომელიც მოდის ინდივიდების, ოჯახების ან ორგანიზაციების მხრიდან - არა ერთჯერადად, არამედ რეგულარულად

[6] ჯამში ცდომილება გამოწვეულია 1000 მდე დამრგვალებით.

ცხრილი 4. გუტერსლოს სათემო ფონდის ხარჯები - 2021

გასავლის ტიპი	თანხა EUR	%
პროექტები და პროგრამები	**531,000**	**68%**
ადმინისტრაცია	**83,000**	**10%**
ქონების მართვა	**153,000**	**19%**
კომუნიკაცია / პიარ	**21,000**	**3%**
სულ	**788,000**	**100%**

მთლიანობაში, ფონდის ფინანსური სტრუქტურა ასახავს ტიპური გერმანული სათემო ფონდის მოდელს, სადაც რესურსების ძირითადი ნაწილი პირდაპირ თემის პროექტებზე გადანაწილდება, ხოლო ადმინისტრაციული დანახარჯი გაცილებით მცირეა (Buergerstiftung Guetersloh, 2024).

ფონდის შემოსავლის წყაროები მრავალფეროვანია და მოიცავს:

- კერძო პირებისა და კომპანიების შემოწირულობებს;
- მემკვიდრეობით ან ანდერძით მიღებულ ქონებას და მასზე დარიცხულ სარგებელს;
- მიზნობრივ, თემატურ ფონდებს (thematic funds);
- საქველმოქმედო ღონისძიებების შედეგად მობილიზებულ რესურსებს.

გერმანული სათემო ფონდებისთვის დამახასიათებელია მრავალრიცხოვანი მცირე შემოწირულობები, რაც აძლიერებს საზოგადოების თანამონაწილეობის განცდას და ქმნის კოლექტიური პასუხისმგებლობის კულტურას (Anheier & Daly, 2007).

ფონდი ასევე იყენებს ადგილობრივი პარტნიორების ინფრასტრუქტურას - შეხვედრების სივრცეებს, საზოგადოებრივ ცენტრებსა და ქსელურ რესურსებს, რაც ამცირებს ადმინისტრაციულ ხარჯებს და ზრდის საქმიანობის ეფექტიანობას.

ძირითადი საქმიანობები: ფონდის საქმიანობა მოიცავს განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის მხარდაჭერისა და სოციალური ინტეგრაციის მიმართულებებს (Bürgerstiftung Gütersloh, n.d.). ფონდი აფინანსებს მცირე და საშუალო ზომის პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს:

- ახალგაზრდების აქტიურ მოქალაქეობრივ ჩართულობას;
- კულტურული ინიციატივების განვითარებას;
- სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერას;
- ადგილობრივი საზოგადოებრივი სივრცეების გაძლიერებას.

პროექტების შერჩევისას ფონდი ხელმძღვანელობს თემის საჭიროებების შეფასებითა და საზოგადოებრივი ინტერესით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინიციატივებს, რომლებიც ქმნის გრძელვადიან სოციალურ გავლენას და აძლიერებს ადგილობრივ სოციალურ ქსელებს. პრიორიტეტი ენიჭება პროექტებს, რომლებიც:

- ზრდის მოქალაქეთა ჩართულობას;
- ხელს უწყობს თაობათა შორის სოლიდარობას;
- აძლიერებს სოციალურ ერთიანობას;
- ქმნის მდგრად და განმეორებად შედეგებს.

დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა: ფონდი ინარჩუნებს დამოუკიდებლობას, თუმცა თანამშრომლობს მუნიციპალიტეტთან კონკრეტული სოციალური და კულტურული პროექტების განხორციელებისას. ურთიერთობა ეფუძნება პარტნიორობას და არა ინსტიტუციურ დაქვემდებარებას. ადგილობრივი კომპანიები აქტიურად მონაწილეობენ როგორც დონორები და სტრატეგიული პარტნიორები. ეს თანამშრომლობა ეფუძნება სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპს და აძლიერებს თემის ეკონომიკურ და სოციალურ კავშირებს. მოქალაქეები ფონდის საქმიანობის ცენტრალური ფიგურები არიან - ისინი მონაწილეობენ როგორც დონორები, მოხალისეები და პროექტების ინიციატორები. სწორედ ეს მონაწილეობა ქმნის ფონდს როგორც თემის მიერ შექმნილ და თემისთვის მოქმედ ინსტიტუტს.

ძირითადი გამოწვევები: ფონდის საქმიანობა, მიუხედავად მისი სტაბილური განვითარების ისტორიისა, რამდენიმე არსებით გამოწვევასთან არის დაკავშირებული, რომლებიც როგორც სტრატეგიულ, ისე ყოველდღიურ ოპერაციულ დონეზე იჩენს თავს.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ფინანსური მდგრადობაა. მიუხედავად იმისა, რომ ფონდი დაფუძნებულია კაპიტალის შემოსავლების მოდელზე და სარგებლობს კერძო შემოწირულობებით, დაბალი საპროცენტო გარემო და ეკონომიკური არასტაბილურობა ზღუდავს ფონდის შესაძლებლობას, მხოლოდ საინვესტიციო შემოსავლებით უზრუნველყოს გრანტების ზრდა. ამიტომ მისთვის კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია, აქტიურად იმუშაოს ახალი დონორების მოზიდვაზე და პარალელურად არსებული მხარდამჭერების ნდობის შენარჩუნებაზე.

მნიშვნელოვანი გამოწვევაა თაობათა ცვლილება და მოხალისეთა განახლება. სათემო ფონდების მოდელი დიდწილად ეყრდნობა აქტიურ მოქალაქეებს, თუმცა ახალგაზრდები უფრო ნაკლებად ერთვებიან საქმიანობებში ვიდრე უფროსი თაობის ადამიანები. შესაბამისად, ფონდისთვის პრიორიტეტულია ახალგაზრდებთან კომუნიკაციის ახალი ფორმების დანერგვა და მათი ინტერესების გათვალისწინება. კიდევ ერთი სირთულე თემის მრავალფეროვნებასთანაა დაკავშირებული. გუტერსლოში მცხოვრები მოსახლეობა განსხვავებული სოციალური, კულტურული და მიგრაციული ფონის მქონეა, რაც ნიშნავს, რომ საჭიროებებიც მრავალგვარია. ფონდისთვის გამოწვევად რჩება რესურსების სამართლიანი და სტრატეგიული განაწილება ისე, რომ მათი მხარდაჭერა რეალურად ასახავდეს თემის მრავალფეროვან საჭიროებებს.

როგორც სხვა სათემო ფონდების შემთხვევაში, გუტერსლოს ფონდი მუდმივად დგას ნდობის შენარჩუნებისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტების დაცვის აუცილებლობის წინაშე. საზოგადოებრივი ლეგიტიმაცია მისი მთავარი კაპიტალია და მისი შენარჩუნება მოითხოვს ანგარიშვალდებულებას, ღია კომუნიკაციას და თანამონაწილეობაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს (Bürgerstiftung Gütersloh, n.d.).
გუტერსლოს ფონდი წარმოადგენს წარმატებულ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება ადგილობრივმა საზოგადოებამ თავად აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარი განვითარების პროცესზე. მისი საქმიანობა აერთიანებს ფინანსურ მდგრადობას, მოქალაქეობრივ მონაწილეობასა და მრავალსექტორულ

თანამშრომლობას. სწორედ ამ კომბინაციის შედეგად იგი განიხილება როგორც გერმანული სათემო ფონდების მოძრაობის ერთ-ერთი საძირკველი (Anheier & Leat, 2006).

დაფინანსებული პროექტის მაგალითი:

გუტერსლოს სათემო ფონდის მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი კონკრეტული პროექტია „**Samenkorn**“, რომელიც მიმართულია ქალაქის ცენტრალური სივრცეების გამწვანებისა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ხელშეწყობისკენ. პროექტის მიზანია ერთ-ერთი ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, ურბანული სიცხის ეფექტის შემცირება და მოსახლეობისთვის უფრო კომფორტული, მიმზიდველი საჯარო სივრცეების შექმნა.

ფონდის მიერ პროექტისთვის გამოყოფილია დაახლოებით 30 000 ევრო, რაც მოხმარდება მცენარეებით, დასაჯდომი სივრცეებითა და სეზონური გამწვანებით „მწვანე კუნძულების“ მოწყობას. ინიციატივა გათვლილია რამდენიმე წელზე და ითვალისწინებს ადგილობრივი საზოგადოების აქტიურ ჩართულობას, რაც პროექტს არა მხოლოდ ეკოლოგიურს, არამედ სოციალური კავშირების მხარდამჭერსაც ხდის (Bürger für Gütersloh, 2023).

სათემო ფონდები სლოვაკეთში

ქვეყნის პროფილი

დედაქალაქი: ბრატისლავა
ტერიტორია: 49 035 კმ².
მოსახლეობა: 5,419,451 (2025 წ.).
მშპ ერთ ადამიანზე: 28 400 ევრო.
პოლიტიკური სისტემა: საპარლამენტო დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს მთავრობას და პრეზიდენტი წარმოადგენს სახელმწიფოს (European Union, 2025).

ისტორია და სტატისტიკა

სლოვაკეთის სამოქალაქო და არაკომერციული სექტორი მნიშვნელოვნად განვითარდა 1989 წელს კომუნისტური რეჟიმის ჩამოშლის შემდეგ. ქვეყანამ დაიწყო თავისუფალი დემოკრატიული მიმართულებით განვითარება. არაკომერციული, სამოქალაქო ორგანიზაციების როლი საზოგადოებაში გაიზარდა. მოქალაქეებს, მათ გარშემო არსებული პრობლემების გადასაწყვეტად ორგანიზაციების დამოუკიდებლად დაფუძნების საშუალება მიეცათ. სლოვაკეთი პირველი ქვეყანა იყო აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში რომელმაც სათემო ფონდი შექმნა (International Center for Non-For Profit Law, 2000).

ფოტო 3 იურაი მესიკი

ჯანსაღი ქალაქის სათემო ფონდი (Healthy City Community Foundation) 1994 წელს ქალაქ ბანსკა ბისტრიცაში ჩამოყალიბდა (European Community Foundation Initiative, 2025). ამ პირველი სათემო ფონდის შექმნა დაკავშირებულია ადგილობრივ აქტივისტთან იურაი მესიკთან, რომელმაც გერმანული მარშალის ფონდის დაფინანსებით 1993 წელს აშშ-ში სასწავლო ვიზიტის დროს გაიცნო სათემო ფონდის კონცეფცია და სხვა აქტივისტებთან ერთად გადაწყვიტა ამ მოდელის სლოვაკეთში განხორციელება ბანსკა ბისტრიცაში (Strečanský, 2014).

დღეს სლოვაკეთში მოქმედებს რვა სათემო ფონდი, რომლებიც ერთმანეთთან ქსელურად თანამშრომლობენ და დაკავშირებულნი არიან სხვადასხვა ევროპულ პლატფორმებთან (European Community Foundation Initiative, 2025). ისინი ძირითადად საქმიანობენ განათლების ხელშეწყობის, სოციალური ინკლუზიის, ახალგაზრდობის განვითარების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ადგილობრივი სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერების მიმართულებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი როლი მცირე ქალაქებსა და რეგიონებში, სადაც სახელმწიფო რესურსები შეზღუდულია და ადგილობრივი ინიციატივები ხშირად კერძო დონორებისა და მოქალაქეების მხარდაჭერაზეა დამოკიდებული.

სათემო ფონდების მოდელმა სლოვაკეთში დაამკვიდრა პრაქტიკა, სადაც მოქალაქეები არა მხოლოდ შემოწირულობის გამღებები, არამედ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მონაწილეებიც არიან. ამგვარი მონაწილეობითი ფილანტროპია აძლიერებს ნდობას ადგილობრივ ინსტიტუტებს შორის და ქმნის მდგრად სოციალურ კაპიტალს. როგორც კვლევები აჩვენებს, სათემო ფონდები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციონალიზაციაში და დემოკრატიული კულტურის გაღრმავებაში (International Center for Non-For Profit Law, 2000).

იურიდიული ფორმები

სლოვაკეთში სათემო ფონდები ფუნქციონირებენ არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოში. ძირითადი ორგანიზაციული ფორმა, რომლის ფარგლებშიც სათემო ფონდი რეგისტრირდება, არის ფონდი (nadácia), თუმცა პრაქტიკაში ვხვდებით სხვა სამართლებრივ ფორმებსაც, რასაც განსაზღვრავს ორგანიზაციის მიზნები და საქმიანობის სპეციფიკა. ფონდი წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც იქმნება განსაზღვრული საზოგადოებრივი მიზნისთვის და ფლობს საწყის ქონებას ან კაპიტალს, რომლისგან მიღებული შემოსავლები ხმარდება საგრანტო ან სხვა საზოგადოებრივ საქმიანობას. ფონდის საქმიანობა მკაცრად რეგულირდება, მათ შორის ანგარიშგებისა და ფინანსური გამჭვირვალობის მოთხოვნებით. ეს მოთხოვნები მიზნად ისახავს საზოგადოების ნდობის დაცვას და დონორების ინტერესების უზრუნველყოფას (The National Council of the Slovak Republic, 2001).
სლოვაკეთში როგორც სათემო, ისე სხვა ფონდების რეგისტრაციისთვის „კანონი ფონდების შესახებ“ მოითხოვს საწყისი კაპიტალის არსებობას, რომელიც განისაზღვრება მინიმუმი ენდოუმენტით 6,638 ევრო, რომლიდანაც 663 ევრო

არის დამფუძნებლების შენატანი (The National Council of the Slovak Republic, 2001).

კლასიკური ფონდის გარდა, სათემო ინიციატივები სლოვაკეთში შეიძლება დაფუძნდეს როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო მომსახურების გამწევი არასამეწარმეო ორგანიზაციები ან როგორც სამოქალაქო ასოციაციები. სამოქალაქო ასოციაცია უფრო მოქნილი და წევრობაზე დაფუძნებული ფორმაა, რაც ხელს უწყობს მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობას, თუმცა მისი ფინანსური ინსტრუმენტები შედარებით შეზღუდულია (The National Council of the Slovak Republic, 2025).

იურიდიული ფორმის არჩევანი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფონდის სტრუქტურაზე, მმართველობაზე და დაფინანსების წყაროებზე. მაგალითად, კლასიკური ფონდი მეტად შეესაბამება გრძელვადიანი ენდოუმენტის შექმნას და სტრატეგიული გრანტების გაცემას, ხოლო ასოციაციის მოდელი უფრო მოქნილია თემის აქტიური ჩართულობის თვალსაზრისით. მიუხედავად ფორმალური განსხვავებებისა, ყველა ეს სტრუქტურა ემყარება ერთ ძირითად პრინციპს — მოგების არგანაწილებას დამფუძნებლებს შორის და მიღებული სარგებლის რეინვესტირებას საზოგადოებრივი მიზნებისთვის (The National Council of the Slovak Republic, 2001).

დაფინანსება და სხვა რესურსი

სლოვაკეთის სათემო ფონდების ფინანსური მოდელი ეფუძნება რესურსების მრავალფეროვან წყაროებს, რაც მათ საშუალებას აძლევს, ადგილობრივი საჭიროებების შესაბამისად დაგეგმონ და განახორციელონ საგრანტო და განვითარებისკენ მიმართული სხვა პროგრამები. მათი საქმიანობა არ არის დამოკიდებული მხოლოდ ერთ ფინანსურ წყაროზე, იგი აერთიანებს მოქალაქეთა მხარდაჭერას, კერძო სექტორის ჩართულობასა და საერთაშორისო თანამშრომლობას.

სლოვაკეთის კონტექსტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია „2%-იანი საგადასახადო დანიშნულება“, რომელიც მოქალაქეებსა და კომპანიებს აძლევს უფლებას, თავიანთი გადახდილი საშემოსავლო ან კორპორაციული გადასახადის 2% მიმართონ არჩეული არაკომერციული ორგანიზაციისკენ, მათ შორის - სათემო ფონდისკენ. ეს ინსტრუმენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი ფილანტროპიის განვითარებაში და ქმნის შედარებით სტაბილურ შემოსავლის წყაროს სათემო ფონდებისთვის (European Community Foundation Initiative,

2025). ამ გზით მიღებული თანხები ხშირად გამოიყენება მცირე გრანტების პროგრამებისთვის, ახალგაზრდული ინიციატივების, კულტურული ღონისძიებებისა და სოციალური პროექტების მხარდასაჭერად.

საგადასახადო სისტემიდან შემოსავლების გარდა, სათემო ფონდების შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კერძო შემოწირულობები, როგორც ფიზიკური პირების, ისე ბიზნეს სექტორიდან. ადგილობრივი კომპანიები ხშირად თანამშრომლობენ ფონდებთან კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ფარგლებში და აფინანსებენ კონკრეტულ თემატურ კონკურსებს ან საგრანტო პროგრამებს. ასეთი თანამშრომლობა არა მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერას გულისხმობს, არამედ აძლიერებს ბიზნესსა და თემს შორის ნდობას და პარტნიორულ ურთიერთობას (European Community Foundation Initiative, 2025).

სლოვაკეთის სათემო ფონდები, სხვა სათემო ფონდების მსგავსად, ასევე იყენებენ ე.წ. ენდოუმენტის (endowment) მოდელს. მიუხედავად იმისა, რომ ენდაუმენტების მოცულობა სლოვაკეთში მოკრძალებულია დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ის მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაში (European Community Foundation Initiative, 2025).

საერთაშიროსო გრანტები და პროექტული დაფინანსება ასევე მნიშვნელოვანი შემოსავალია სათემო ფონდებისთვის. სხვადასხვა ევროპული ქსელისა და დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1990-იან და 2000-იან წლებში, როდესაც სათემო ფონდების ინსტიტუციური გაძლიერება მიმდინარეობდა. საერთაშორისო დაფინანსება ხშირად მიმართულია ორგანიზაციული განვითარების, გამჭვირვალობის მექანიზმების გაუმჯობესებისა და თემის ჩართულობის გაძლიერებისკენ (International Center for Non-For Profit Law, 2000).

გარკვეული ფონდები ასევე ახორციელებენ ფინანსური რესურსების მოზიდვის ღონისძიებებს, საქველმოქმედო კამპანიებსა და საზოგადოებრივ აქციებს, რაც არა მხოლოდ ფინანსური რესურსების მობილიზებას, არამედ თემის იდენტობისა და თანამონაწილეობის გაძლიერებასაც ემსახურება. ამგვარი აქტივობები განსაკუთრებით ეფექტიანია მცირე ქალაქებსა და რეგიონებში, სადაც სათემო კავშირები უფრო მჭიდროა (European Community Foundation Initiative, 2025).

საშუალოდ სათემო ფონდების წლიური ბიუჯეტი სლოვაკეთში შეადგენს 50 000 დან 200 000-მდე ევროს. 8-9 ფონდის ჯამური შემოსავალი, წელიწადში დაახლოებით 0.8 – 1.5 მილიონი ევროა.

საერთო ჯამში, სლოვაკეთის სათემო ფონდების ფინანსური რესურსები ხასიათდება მრავალფეროვნებით და ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული მიდგომებით. საგადასახადო სისტემიდან შემოსავლები, კერძო შემოწირულობები, ბიზნეს პარტნიორობა, ენდაუმენტები და საერთაშორისო გრანტები ქმნის იმ საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს ფონდების შედარებით მდგრად და თემზე ორიენტირებულ საქმიანობას. სწორედ ამ მრავალწყაროიანობაზეა დამოკიდებული მათი უნარი, უპასუხონ თემის ცვალებად საჭიროებებს და შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა გრძელვადიან პერსპექტივაში.

მთავრობასთან და ადგილობრივ თემთან ურთიერთობა

სლოვაკეთის სათემო ფონდების ურთიერთობა მთავრობასთან ძირითადად თანამშრომლობის პრინციპზეა დაფუძნებული, თუმცა ამ თანამშრომლობას თან ახლავს დამოუკიდებლობის დაცვის მკაფიო სურვილი. ფონდები არც სახელმწიფო სტრუქტურებს წარმოადგენენ და არც მათ გაგრძელებას; ისინი მოქმედებენ როგორც დამოუკიდებელი სამოქალაქო ორგანიზაციები. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ხშირია პარტნიორობა მუნიციპალიტეტებთან და ზოგიერთ შემთხვევაში ცენტრალურ ხელისუფლებასთანაც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ადგილობრივი განვითარების პროგრამებს, სოციალური მომსახურებების მხარდაჭერას ან მოქალაქეთა ჩართულობის ინიციატივებს. ასეთ შემთხვევებში სათემო ფონდები ხშირად ასრულებენ თემსა და საჯარო სექტორს შორის შუამავლის როლს, რაც ზრდის გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციას და ეფექტიანობას (European Community Foundation Initiative, 2025).

სახელმწიფოსთან ურთიერთობისას მნიშვნელოვანი საკითხია ნდობა და როლების გამიჯვნა. ფონდებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლობა არ გადაიზარდოს პოლიტიკურ გავლენაში ან ბიუროკრატიულ კონტროლში. მათი საქმიანობის ერთ-ერთი საფუძველი სწორედ ადგილობრივი დონორის, მოხალისისა და ბენეფიციარის ნდობაა. შესაბამისად, ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ გარკვეული დისტანცია და დაიცვან ზღვრები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება საჯარო პოლიტიკის შეფასებას ან რესურსების განაწილებას. ამავე დროს, პრაქტიკამ აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტებთან პარტნიორობა,

თანადაფინანსება და ერთობლივი პროექტები ხელს უწყობს თემის საჭიროებებზე უკეთ მორგებული პროგრამების განხორციელებას (European Community Foundation Initiative, 2024).

ადგილობრივ თემთან ურთიერთობა სათემო ფონდების საქმიანობის ცენტრალური ნაწილია. მათი მთავარი მახასიათებელი არის რესურსების მობილიზება სწორედ იმ თემის შიგნით, სადაც ისინი მოქმედებენ. ეს მოიცავს როგორც ფინანსურ რესურსებს (კერძო დონაციები, ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა), ასევე ადამიანურ კაპიტალს (მაგ. მოხალისეობას), ექსპერტულ ცოდნას და მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას. ფონდები ხშირად აწყობენ მცირე გრანტების კონკურსებს, საჯარო განხილვებსა და საკონსულტაციო შეხვედრებს, რათა თემის წევრებმა თავად განსაზღვრონ პრიორიტეტები. გადაწყვეტილებების მიღების ასეთი პროცესი უფრო მონაწილეობითი და გამჭვირვალეა (European Community Foundation Initiative, 2025).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სათემო ფონდები არა მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ, არამედ ქმნიან დიალოგის პლატფორმას. საქმიანობების დაგეგმვა-განხორციელების დროს, ისინი აერთიანებენ სხვადასხვა ინტერესის მქონე ჯგუფებს, როგორიცაა ადგილობრივი თვითმმართველობა, ბიზნესი, არასამთავრობო სექტორი და რიგითი მოქალაქეები, რითაც ხელს უწყობენ თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას. სწორედ ამ ფუნქციით სათემო ფონდები ხშირად აღიქმებიან როგორც „ხიდი“ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის.

საბოლოო ჯამში, სლოვაკეთის სათემო ფონდების თანამშრომლობის მოდელი ეფუძნება პარტნიორობას, დამოუკიდებლობასა და ადგილობრივ ჩართულობას: მთავრობასთან ურთიერთობა ხასიათდება თანამშრომლობით, მაგრამ არა დაქვემდებარებით, ხოლო თემთან – ნდობასა და მონაწილეობაზე დაფუძნებული მიდგომით. ამ ბალანსის შენარჩუნება განსაზღვრავს მათი საქმიანობის მდგრადობას და საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ამავე დროს, ECFI-ის მიხედვით, სათემო ფონდები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადგილობრივი სოციალური კაპიტალის ფორმირებაში, რადგან ისინი არა მხოლოდ ფინანსურ რესურსს ანაწილებენ, არამედ ქმნიან პლატფორმას დიალოგისა და თანამონაწილეობისთვის.

სათემო ფონდის ისტორია: ჯანსაღი ქალაქის სათემო ფონდი (Komunitná nadácia Zdravé mesto)

ისტორია: ჯანსაღი ქალაქის სათემო ფონდი დაფუძნდა 1994 წლის 11 ნოემბერს ქალაქ ბანსკა ბისტრიცაში და ფართოდ აღიარებულია როგორც პირველი სათემო ფონდი სლოვაკეთში და ერთ-ერთი პირველი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში (Komunitnej nadácii Zdravé mesto, 2026). მისი ჩამოყალიბება უკავშირდება 1990-იანი წლების დასაწყისის დემოკრატიულ ტრანსფორმაციას, როდესაც გაჩნდა ადგილობრივი თვითორგანიზებისა და ფილანტროპიის ინსტიტუციური ფორმების შექმნის საჭიროება. ფონდის შექმნის პროცესში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ლიდერები და სამოქალაქო აქტივისტები; საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის Mott Foundation-ის, მხარდაჭერა (European Community Foundation Initiative, 2024). როგორც სლოვაკეთის სათემო ფონდების ისტორიის ნაწილშია აღწერილი, აღნიშნული სათემო ფონდის ჩამოყალიბებაში ცენტრალური როლი ითამაშა იურაი მესიკის ამერიკულმა გამოცდილებამ და სხვა ადგილობრივი აქტივისტების ჩართულობამ (Strečanský, 2014).

ბანსკა ბისტრიცა სლოვაკეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონული ცენტრია. მასში მოსახლეობის რაოდენობა 1991 წლის აღწერით 83 698 ადამიანს შეადგენდა (City Population, 2024). ეკონომიკა, რომელიც წარსულში მეტალურგიასა და სამთო მრეწველობაზე იყო დაფუძნებული, კომუნისტური სისტემის დაშლის შემდეგ კრიზისში აღმოჩნდა. პრივატიზაციის პროცესმა და საწარმოების შემცირებამ უმუშევრობა გაზარდა (European Bank for Reconstruction and Development, 1995). ეტაპობრივად მომსახურების სფერო და განათლება უფრო მნიშვნელოვანი გახდა, რაც ქალაქს ახალ ეკონომიკურ მიმართულებებს აძლევდა. ქალაქი უმუშევრობასა და ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის გამოწვევებს ებრძოდა, თუმცა უნივერსიტეტი და კულტურული ინსტიტუტები მას ინტელექტუალურ ცენტრად აყალიბებდა (OECD Regional Development Studies, 2025).

ჯანსაღი ქალაქის სათემო ფონდის მიერ პირველი გრანტები გაიცა 1994 წელს, რაც სიმბოლურად აღნიშნავს თემზე დაფუძნებული საგრანტო პრაქტიკის დაწყებას რეგიონში. ფონდის ისტორია ასახავს პოსტსოციალისტურ კონტექსტში ადგილობრივი ფილანტროპიის ინსტიტუციონალიზაციის პროცესს - კერძო და საზოგადოებრივი რესურსების მობილიზებას კონკრეტული თემის განვითარებისათვის (Komunitnej nadácii Zdravé mesto, 2026).

ორგანიზაციული სტრუქტურა: ფონდი ფუნქციონირებს როგორც დამოუკიდებელი, არაპოლიტიკური და არასამეწარმეო ორგანიზაცია. მისი მმართველობითი მოდელი ეფუძნება მრჩეველთა საბჭოს (Board of Trustees), რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიულ მიმართულებებს, ამტკიცებს საგრანტო პრიორიტეტებს და ზედამხედველობს ფინანსურ გამჭვირვალობას. საბჭოს შემადგენლობა, როგორც წესი, მოიცავს ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებს (ბიზნესის, სამოქალაქო სექტორისა და სხვა სფეროების ლიდერებს) რაც უზრუნველყოფს მრავალსექტორულ პერსპექტივას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (European Community Foundation Initiative, 2022). ოპერაციულ დონეზე საქმიანობას ახორციელებს მცირე პროფესიული გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამების ადმინისტრირებაზე, დონორებთან კომუნიკაციაზე და თემთან ურთიერთობაზე. ასეთი სტრუქტურა დამახასიათებელია სლოვაკეთის სათემო ფონდებისთვის და აერთიანებს პროფესიულ მართვასა და საზოგადოებრივ ჩართულობას.

დაფინანსების სტრუქტურა და ფორმები:

ჯანსაღი ქალაქის სათემო ფონდის ფინანსური მოდელი მრავალი წყაროსგან შედგება და მოიცავს:

- **ადგილობრივ კერძო შემოწირულობებს, ინდივიდუალური დონორებისა და კომპანიების მხარდაჭერის სახით;**
- **ენდოუმენტს:** დაგროვილ კაპიტალს, რომლის ინვესტირებიდან მიღებული შემოსავალი გამოიყენება საგრანტო პროგრამების მხარდაჭერისთვის;
- **2%-იან საგადასახადო მექანიზმს:** როგორც ზემოთაც აღინიშნა, სლოვაკეთის კანონმდებლობით მოქალაქეს შეუძლია თავისი საშემოსავლო გადასახადის 2% მიმართოს კონკრეტულ არასამთავრობო ორგანიზაციაზე, მათ შორის სათემო ფონდზე (European Community Foundation Initiative, 2025).

სათემო ფონდისთვის ენდოუმენტის არსებობა მნიშვნელოვანი ინდიკატორია ინსტიტუციური მდგრადობისთვის, რადგან იგი ქმნის გრძელვადიან ფინანსურ საფუძველს და ამცირებს მხოლოდ პროექტულ დაფინანსებაზე დამოკიდებულებას. სლოვაკეთის კონტექსტში 2%-ის მექანიზმი ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია ადგილობრივი ფილანტროპიის განვითარებისთვის.

ფონდის ჯამურმა შემოსავლებმა 2024 წლისთვის შეადგინა 211,206 ევრო, ხოლო ხარჯებმა 207,308 ევრო. ხარჯებიდან 42,718 ევრო პერსონალის ხარჯი იყო. ორგანიზაცია აღნიშნულ წელს 338,293 ევროს ღირებულების კაპიტალს ფლობდა (FinStat, 2024).

უფრო დეტალურად შემოსავლების და ხარჯების შესახებ მოცემულია ქვემოთ ცხრილებში.

ცხრილი 5. ჯანსაღი ქალაქის სათემო ფონდის შემოსავლების სტრუქტურა - 2024

შემოსავლის ტიპი	თანხა EUR	%
ფინანსური უკუგება[7]	162,353	77%
დონაციები და კონტრიბუციები	48,853	23%
სულ	211,206	100%

[7] სხვადასხვა არსებული კაპიტალიდან და ენდოუმენტებიდან.

ცხრილი 6. ჯანსაღი ქალაქის სათემო ფონდის ხარჯების სტრუქტურა - 2024

გასავლის ტიპი	თანხა EUR	%
შესყიდვები	9,567	5%
სერვისები	39,861	19%
პერსონალის ხარჯი	42,718	21%
სხვადასხვა გადასახადები	885	0%
სხვა საოპერაციო ხარჯი	107,295	52%
ცვეთის ხარჯი	1,087	1%
კონტრიბუციები და დონაციები	5,895	3%
სულ	207,308	100%

სხვა რესურსები: ფონდი ეყრდნობა ისეთ რესურსებსაც, როგორიცაა მოხალისეთა ჩართულობა, პროფესიული ექსპერტიზა და პარტნიორული ქსელები. ჯანსაღი ქალაქის სათემო ფონდი თანამშრომლობს ადგილობრივ ორგანიზაციებთან და მონაწილეობს ეროვნულ ქსელში - სლოვაკეთის სათემო ფონდების ასოციაცია (Asociácia komunitných nadácií Slovenska) (Asociácia komunitných nadácií Slovenska, 2025). ეს პლატფორმა ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებას, სტანდარტების განვითარებას და სექტორის ადვოკატირებას. ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო კავშირები, განსაკუთრებით ECFI-ს ქსელთან, რაც უზრუნველყოფს ცოდნის გაცვლას ევროპულ დონეზე.

ძირითადი საქმიანობები: ფონდის საქმიანობა სტრუქტურულად აგებულია თემის განვითარების მოდელზე, რომლის ცენტრში დგას ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება საგრანტო ინსტრუმენტების მეშვეობით.

როგორც ევროპის სათემო ფონდების ინიციატივის (ECFI) ანგარიშებშია აღნიშნული, სლოვაკეთის სათემო ფონდები ზოგადად ფუნქციონირებენ არა მხოლოდ როგორც გრანტის გამცემები, არამედ როგორც ადგილობრივი განვითარების კატალიზატორები.

- **მცირე და საშუალო გრანტები:** ფონდის საქმიანობის ძირითადი ინსტრუმენტი არის მცირე და საშუალო ზომის საგრანტო კონკურსები, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერაზე. ასეთი გრანტები, როგორც წესი, ხელმისაწვდომია არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, არაფორმალური ჯგუფებისთვის, სკოლებისთვის და საზოგადოებრივი ინიციატივებისთვის. მცირე გრანტების მექანიზმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ქალაქის კონტექსტში, რადგან ის ხელს უწყობს მოქალაქეთა ინიციატივის წახალისებას, თემში პრობლემების მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებას და სწრაფ და მოქნილ რეაგირებას ადგილობრივ საჭიროებებზე. მცირე გრანტების მოდელი ქმნის „მიკრო-ინვესტიციების“ სისტემას სოციალურ კაპიტალში: ფინანსური რესურსის მოცულობა შეიძლება შეზღუდული იყოს, თუმცა მისი სოციალური ეფექტი ხშირად მნიშვნელოვნად აღემატება მოცემულ თანხას.

- **ახალგაზრდული, კულტურული და საგანმანათლებლო პროექტები:** ფონდი აქტიურად უჭერს მხარს ახალგაზრდულ და საგანმანათლებლო ინიციატივებს, რაც ECFI-ის მონაცემებით, სლოვაკეთის სათემო ფონდებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. აღნიშნული მხარდაჭერა მოიცავს: არაფორმალური განათლების პროგრამებს, კულტურულ ღონისძიებებს, ადგილობრივი იდენტობის გამაძლიერებელ აქტივობებს და ახალგაზრდების ჩართულობის პროგრამებს. ამ ტიპის ინიციატივები არა მხოლოდ კონკრეტულ პროექტს აფინანსებს, არამედ ხელს უწყობს თემის გრძელვადიან განვითარებას. ახალგაზრდების გაძლიერება და კულტურული ცხოვრების მხარდაჭერა პირდაპირ კავშირშია სოციალურ ერთიანობასთან და დემოკრატიული მონაწილეობის ზრდასთან.

- **სოციალური ჩართულობა და ინტეგრაცია:** ფონდის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სოციალური ინტეგრაციის მხარდაჭერა. ადგილობრივი გადაწყვეტილებების ფონდის (Local Solutions Fund) შემთხვევის შესწავლის (case study) მიხედვით, ფონდი აქტიურად იყო ჩართული უკრაინელი ლტოლვილების მხარდაჭერაში ბანსკა ბისტრიცას რეგიონში. შემთხვევა ადასტურებს სათემო ფონდის მოქნილობას.

- **არასამთავრობო ორგანიზაციები:** სათემო ფონდი ხშირად თანამშრომლობს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან სხვადასხვა სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებისას. არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად იღებენ გრანტებს, რომითაც უშუალოდ ახორციელებენ პროგრამებს თემში.

- **მოქალაქეებთან და არაფორმალურ ჯგუფები:** სათემო ფონდის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია მოქალაქეთა ჩართულობასთან. მცირე გრანტების პროგრამები ხშირად მიზნად ისახავს სწორედ ადგილობრივი მოქალაქეების მიერ წამოწყებული ინიციატივების მხარდაჭერას. ასეთ შემთხვევებში ფონდი ხელს უწყობს თემში აქტიური ჯგუფების გაძლიერებას და სოციალური კაპიტალის განვითარებას.

ძირითადი გამოწვევები: ჯანსაღი ქალაქის ფონდის წინაშე არსებული გამოწვევები ძირითადად დაკავშირებულია ფინანსური რესურსების სტაბილურობასთან და ადგილობრივი დონორების სიმცირესთან. სლოვაკეთის სათემო ფონდების შესახებ არსებული მასალები მიუთითებს, რომ რეგიონულ ქალაქებში მოქმედი ფონდები განსაკუთრებით დამოკიდებულნი არიან ადგილობრივ ბიზნესზე და მცირე დონორებზე, რაც გრძელვადიანი ფინანსური დაგეგმვის პროცესს ართულებს (European Community Foundation Initiative, 2022).

ჯანსაღი ქალაქის სათემო ფონდისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ასევე ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება. სათემო ფონდების ასოციაციის ანგარიშის მიხედვით, გრანტების დიდი ნაწილი მიმართულია კონკრეტული პროექტების დაფინანსებაზე, ხოლო ინსტიტუციური განვითარებისთვის საჭირო რესურსების მოზიდვა შედარებით რთულია (Asociácia komunitných nadácií Slovenska, 2025). ეს გარემოება ხშირად აიძულებს ორგანიზაციებს დამატებით იმუშაონ დაფინანსების გამრავალფეროვნებაზე.

კიდევ ერთი გამოწვევაა ადგილობრივი საზოგადოების ნდობისა და მოქალაქეთა ჩართულობის შენარჩუნება. სათემო ფონდის მოდელი ეფუძნება მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას და ადგილობრივი დონორების მხარდაჭერას, ამიტომ ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია მუდმივად განავითაროს კომუნიკაცია თემთან და გააძლიეროს საზოგადოებრივი მხარდაჭერა (ECFI, 2022).

დაფინანსებული პროექტის მაგალითი:

ჯანსაღი ქალაქის ფონდის საქმიანობის ერთ-ერთი მაგალითი დაკავშირებულია უკრაინელი ლტოლვილების მხარდაჭერის პროგრამასთან, რომელიც განხორციელდა რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ. სლოვაკეთის სათემო ფონდებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ადგილობრივ დონეზე ჰუმანიტარული მხარდაჭერის ორგანიზებაში (European Community Foundation Initiative, 2025). პროექტის ფარგლებში ჯანსაღი ქალაქის ფონდი ახორციელებდა საქმიანობებს რამდენიმე მიმართულებით. პირველ რიგში, ფონდი მონაწილეობდა ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის ისეთი ნივთების მიწოდებაში, როგორიცაა საკვები, ტანსაცმელი, ჰიგიენური პროდუქტები და სხვა აუცილებელი რესურსები. მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება იყო საინფორმაციო მხარდაჭერა. ლტოლვილებისთვის ორგანიზდებოდა შეხვედრები და კონსულტაციები, სადაც ისინი იღებდნენ ინფორმაციას სლოვაკეთში ცხოვრების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურებების შესახებ. გარდა ამისა, ფონდი მხარს უჭერდა კულტურულ და საზოგადოებრივ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავდა ადგილობრივ მოსახლეობასა და უკრაინელ ლტოლვილებს შორის დადებითი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. მსგავსი ინიციატივები ხელს უწყობდა სოციალური ინტეგრაციის პროცესს და ამცირებდა კულტურულ გაუცხოვებას. ეს პროექტი ნათლად აჩვენებს სათემო ფონდის ისეთ მნიშვნელოვან მახასიათებელს, როგორიცაა კრიზისულ სიტუაციებში მოქნილობა.

სათემო ფონდები რუმინეთში

ქვეყნის პროფილი

დედაქალაქი: ბუქარესტი
ტერიტორია: 238 398 კმ².
მოსახლეობა: 19 036 031 (2025 წ.).
მშპ ერთ ადამიანზე: 29 700 ევრო.
პოლიტიკური სისტემა: ნახევრად-საპრეზიდენტო რესპუბლიკა — პრეზიდენტი ხელმძღვანელობს სახელმწიფოს, ხოლო პრემიერ-მინისტრი — მთავრობას (European Union, 2025).

ისტორია და სტატისტიკა

რუმინეთში სათემო ფონდების მოძრაობა შედარებით ახალია და მისი განვითარება ძირითადად 2000-იანი წლების ბოლოს დაიწყო. სათემო ფონდის კონცეფციის გავრცელება ქვეყანაში დაკავშირებულია ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებასთან და ადგილობრივი ფილანტროპიის განვითარების მცდელობებთან.

2005 წელს, რუმინეთში „საზოგადოებასთან ურთიერთობის ასოციაციამ“ დაიწყო ხედვის შემუშავება, რომელიც ეფუძნებოდა თემების თვითდახმარების იდეას, რაც გულისხმობდა თემში პოზიტიური ცვლილებებისთვის საკუთარი ძალისა და ჩართულობის მობილიზებას. 2006 წელს, სხვა ქვეყნების სათემო ფონდების

ფოტო 4ალინა პორუმბი 2015წ

წარმატებული გამოცდილებით შთაგონებულ ალინა პორუმბს (Association for Community Relations) გაუჩნდა სურვილი, შეექმნა ადგილობრივ თემებში არსებული რესურსებით დაფინანსების პლატფორმა (European Community Foundation Initiative, 2018). მოსინჯვის ეტაპი ტრანსილვანიაში დაიწყო გზავნილით: „თუ სიკეთის გაკეთება გსურს - აკეთე კარგად /if you want to do good, do it well“. ოთხ ადგილობრივ ჯგუფთან ერთწლიანი კონსულტაციების შედეგად, ქვეყანაში პირველი ორი სათემო ფონდი დარეგისტრირდა:

2007 წლის დეკემბერში - ოდორჰეიუ სეკუიეში, ხოლო 2008 წლის იანვარში - კლუჟ-ნაპოკაში (European Community Foundation Initiative, 2018). 2009 წელს შეიქმნა ეროვნული განვითარების პროგრამა, რომლის მიზანი იყო ქვეყანაში სათემო ფონდების ქსელის ჩამოყალიბება და მათი საქმიანობის მხარდაჭერა (European Community Foundation Initiative, 2022).

2010-იანი წლებიდან სათემო ფონდების ქსელი სწრაფად გაფართოვდა. დღეს რუმინეთში მოქმედებს დაახლოებით 16 სათემო ფონდი, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ფუნქციონირებენ და ერთობლივად, აქტივობებით მოიცავენ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს (European Community Foundation Initiative, n.d.).

სათემო ფონდების ინსტიტუციური გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2012 წელს რუმინეთის სათემო ფონდების ფედერაციის შექმნა. ფედერაციის მიზანია სათემო ფონდების ინტერესების დაცვა ეროვნულ დონეზე, მათი საქმიანობის მხარდაჭერა და ადგილობრივი ფილანტროპიის განვითარების ხელშეწყობა. ფედერაცია ასევე უზრუნველყოფს წევრი ორგანიზაციების თანამშრომლობას, ცოდნის გაზიარებას და ერთობლივი პროგრამების განხორციელებას. მისი საქმიანობა მოიცავს საგრანტო პროგრამების მხარდაჭერას, გამოცდილების გაცვლის პლატფორმების შექმნას და ახალი სათემო ფონდების შექმნას (Romanian United Fund, n.d.).

რუმინეთის სათემო ფონდების ქსელის ზრდა კარგად ჩანს სტატისტიკურ მონაცემებში. მაგალითად, 2008 წელს სათემო ფონდების მიერ მხარდაჭერილი იყო მხოლოდ 92 პროექტი, ხოლო მომდევნო წლებში ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2018 წელს დაფინანსდა 2000-ზე მეტი პროექტი (Community Foundations, 2026).

დღეს სათემო ფონდების ქსელი უკვე ახორციელებს ათასობით პროექტს და მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს მიმართავს ადგილობრივი თემების განვითარებისათვის. არსებული მონაცემების მიხედვით, რუმინეთის სათემო ფონდების ქსელმა საერთო ჯამში მხარი დაუჭირა ათასობით პროექტს და განახორციელა დაახლოებით 3,960,285 დოლარის ინვესტიცია სხვადასხვა თემის განვითარებაში. აღნიშნული მაღალი აქტიურობის შედეგად, მოსახლეობის ნახევარზე მეტს ხელი მიუწვდება სათემო ფონდების მიერ განხორციელებულ პროგრამებზე. (Community Foundations, 2026).

2008–2016 წლის მონაცემებით რუმინეთის ფონდების ჯამური შემოსავალი შეადგენდა 8,289,233 დოლარს (European Community Foundation Initiative, 2018).

ცხრილი 7. რუმინეთის სათემო ფონდების შემოსავლები წყაროების მიხედვით 2008–2016 წლის პერიოდში

შემოსავლის ტიპი	თანხა $	%
უცხოელი დონორები (ინდივიდები და ოჯახები)	471,502	6%
უცხოური ფონდები და კერძო ინსტიტუციები	1,063,300	13%
სათემო ფონდის განვითარების ეროვნული პროგრამის უცხოელი პარტნიორები	1,789,164	22%
სულ უცხოური (გარე) წყაროები.	3,323,966	40%[8]
ადგილობრივი კომპანიები	2,650,632	32%
ინდივიდუალური დონორები რუმინეთიდან	1,406,167	17%
საჯარო ორგანიზაციები/პირები	654,475	8%
სხვა (გადასახადები, სარგებელი და ა.შ.)	253,993	3%
სულ შიდა (რუმინული) წყაროები	4,965,267	60
სულ	8,289,233	100%

[8] ცდომილება განპირობებულია დამრგვალებით

ცხრილი 8. რუმინეთის სათემო ფონდების ხარჯები, კატეგორიების მიხედვით - 2008–2016 წლები

გასავლის ტიპი	თანხა $	%
გრანტები (2,405 გრანტი)	**2,739,140**	**69.20%**
სწავლის გადასახადები/ სტიპენდიები (1,114 სქოლარშიპი)	**548,298**	**13.80%**
სათემო პროექტები (219 პროექტი)	**540,506**	**13.60%**
ჯანმრთელობის მხარდაჭერის შემთხვევები (37 შემთხვევა)	**122,027**	**3.10%**
დონაციები (3 დონაცია)	**10,313**	**0.30%**
სულ	**3,960,284**	**100%**

რუმინეთის სათემო ფონდების საქმიანობა ძირითადად კონცენტრირებულია განათლების, სოციალური ჩართულობის, გარემოს დაცვისა და ადგილობრივი საზოგადოებრივი სივრცეების განვითარებაზე (Community Foundations, 2026). ამ სფეროებში განხორციელებული პროგრამები აერთიანებს ადგილობრივ ბიზნესს, სამოქალაქო ორგანიზაციებს და მოქალაქეებს, რაც სათემო ფონდის მოდელის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია: ადგილობრივი რესურსების მობილიზება ადგილობრივი საჭიროებებისათვის (European Community Foundation Initiative, 2018).

იურიდიული და ინსტიტუციური ფორმები

რუმინეთში სათემო ფონდებისთვის არ არსებობს სპეციალური სამართლებრივი სტატუსი. ისინი ფუნქციონირებენ არასამთავრობო ორგანიზაციების ზოგადი სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში და, როგორც წესი, რეგისტრირებულნი არიან ფონდის (foundation) ან არასამთავრობო ორგანიზაციის ფორმით. ეს მოდელი საშუალებას აძლევს მათ მოიზიდონ კერძო შემოწირულობები და განახორციელონ საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი პროექტები (European Community Foundation Initiative, 2018).

ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, რუმინეთშიც არსებობს როგორც სათემო ფონდები, ისე სათემო ფონდების მხარდამჭერი ორგანიზაციები.

ადგილობრივი სათემო ფონდები მოქმედებენ კონკრეტულ ქალაქებში ან რეგიონებში და ახორციელებენ საგრანტო პროგრამებს, ფონდების მოზიდვას და თემის განვითარების ინიციატივებს. მათი საქმიანობა ეფუძნება ადგილობრივი საზოგადოების მონაწილეობას და სხვადასხვა სექტორის თანამშრომლობას.

სათემო ფონდების მხარდამჭერი ორგანიზაცია, როგორიცაა „რუმინეთის სათემო ფონდების ფედერაცია“ (Romanian Federation of Community Foundations) ეროვნულ დონეზე სათემო ფონდების თანამშრომლობას უზრუნველყოფს. ის წარმოადგენს წევრი ორგანიზაციების ინტერესებს, ხელს უწყობს მათ ინსტიტუციურ განვითარებას და ქმნის საერთო სტანდარტებს სექტორისთვის (Romanian United Fund, n.d.)

დაფინანსება და სხვა რესურსი

რუმინეთში სათემო ფონდების საქმიანობა ეფუძნება მრავალფეროვანი დაფინანსების მოდელს, რომელიც აერთიანებს კერძო შემოწირულობებს, კორპორატიულ მხარდაჭერას, საერთაშორისო გრანტებს და საზოგადოებრივი რესურსების მობილიზებას (European Community Foundation Initiative, 2018). ამგვარი მოდელი შეესაბამება სათემო ფონდის ფილოსოფიას, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი განვითარება ეყრდნობა ადგილობრივი რესურსების გაერთიანებას და მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას.

რუმინეთში სათემო ფონდების დაფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო არის ინდივიდუალური დონაციები. კვლევების მიხედვით, ქვეყანაში მოქმედი სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის შემოსავლის ყველაზე გავრცელებული წყარო სწორედ მოქალაქეების შემოწირულობებია. ინდივიდუალური დონაციები ხშირად ხორციელდება როგორც პირდაპირი ფინანსური დახმარების, ისე საზოგადოებრივი კამპანიების, საქველმოქმედო ღონისძიებებისა და ონლაინ პლატფორმების მეშვეობით (OECD Public Governance Reviews, 2023).

რუმინეთის კანონმდებლობაში ასევე არსებობს საგადასახადო მექანიზმი, რომლის მიხედვითაც მოქალაქეებს შეუძლიათ საკუთარი საშემოსავლო გადასახადის 3.5% მიმართონ არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდასაჭერად. ეს მექანიზმი წარმოადგენს სამოქალაქო სექტორის დაფინანსების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. მაგალითად, 2023 წელს დაახლოებით 2.4 მილიონმა მოქალაქემ გამოიყენა ეს შესაძლებლობა, რის შედეგადაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიიღეს დაახლოებით 375 მილიონი ლეი (Foundation for Civil Society Development, 2024). აღნიშნული მექანიზმი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სათემო ფონდების რესურსების გაზრდას და საზოგადოების ჩართულობის გაძლიერებას.

კერძო სექტორი ასევე წარმოადგენს სათემო ფონდების მნიშვნელოვან პარტნიორს. კომპანიები ხშირად ახორციელებენ ფინანსურ ან მატერიალურ მხარდაჭერას სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების ფარგლებში. რუმინეთში კომპანიების მიერ განხორციელებული სპონსორობა არასამთავრობო სექტორისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს ქმნის სოციალური ინიციატივების განსახორციელებლად (Foundation for Civil Society Development, 2024).

გარდა კერძო დონაციებისა და კორპორაციების მხარდაჭერისა, სათემო ფონდები ხშირად იღებენ დაფინანსებას საერთაშორისო დონორებისა და საგრანტო პროგრამებისგან. ევროკავშირის პროგრამები, საერთაშორისო ფონდები და რეგიონული განვითარების ინიციატივები ერთად ქმნიან მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ადგილობრივი სოციალური პროექტების მხარდაჭერისთვის (OECD Public Governance Reviews, 2023). ამგვარი, გარედან შემოსული ფინანსური მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ქალაქებში მოქმედი ორგანიზაციებისათვის, სადაც ადგილობრივი რესურსები შედარებით მწირია.

სათემო ფონდების ფინანსური მოდელის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საზოგადოებისგან თანხების მოზიდვა. მაგალითად, რუმინეთში ფართოდ გამოიყენება „დონორების წრე“ (Cercul de Donatori), მოდელი რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი მოქალაქეები ერთიანდებიან და ერთობლივად აგროვებენ თანხებს კონკრეტული სოციალური ინიციატივების დასაფინანსებლად. ამ მოდელს ბევრ ქვეყანაში პროექტების აუქციონსაც უწოდებენ (The Funding Network, n.d.). ასეთი ღონისძიებები ხშირად აერთიანებს ასობით დონორს და ქმნის შესაძლებლობას მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი პროექტების მხარდაჭერისათვის.

სათემო ფონდები ასევე იყენებენ სხვა რესურსებს, რომლებიც სცდება მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია მოხალისეობრივი საქმიანობა. ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად მონაწილეობს საგრანტო კონკურსების შეფასებაში, ღონისძიებების ორგანიზებაში და თემის განვითარების პროექტების განხორციელებაში (European Community Foundation Initiative, 2018).

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი რესურსია სოციალური კაპიტალი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ლიდერების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და სამოქალაქო აქტივისტების ქსელს. სათემო ფონდები ქმნიან სივრცეს, სადაც სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები ერთობლივად განიხილავენ თემის საჭიროებებს და განსაზღვრავენ განვითარების პრიორიტეტებს. სწორედ ამგვარი თანამშრომლობა განიხილება სათემო ფონდის მოდელის ერთ-ერთ ძირითად უპირატესობად (European Community Foundation Initiative, 2018).

აღწერილი მექანიზმებიდან გამომდინარე, რუმინეთის სათემო ფონდების დაფინანსების სისტემა ეფუძნება მრავალფეროვან ფინანსურ და არაფინანსურ რესურსებს. ინდივიდუალური დონაციები, კორპორატიული მხარდაჭერა, საგადასახადო მექანიზმები, საერთაშორისო გრანტები და საზოგადოებისგან თანხების მოზიდვა ქმნის მდგრად ფინანსურ საფუძველს, ხოლო მოხალისეთა ჩართულობა და სოციალური კაპიტალი უზრუნველყოფს მათი საქმიანობის მდგრად მხარდაჭერას.

მთავრობასთან და ადგილობრივ თემთან ურთიერთობა

რუმინეთის სათემო ფონდების ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი არის ადგილობრივი თვითმმართველობა. მიუხედავად იმისა, რომ სათემო ფონდები დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციებია, ისინი ხშირად თანამშრომლობენ მუნიციპალიტეტებთან ადგილობრივი განვითარების პროექტების განხორციელების პროცესში. ასეთი თანამშრომლობა შეიძლება მოიცავდეს საზოგადოებრივი სივრცეების გაუმჯობესებას, განათლებისა და ახალგაზრდული პროგრამების მხარდაჭერას ან სოციალური ინიციატივების განხორციელებას. ზოგიერთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას ან თანადაფინანსებას კონკრეტული პროექტებისთვის. მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლება შეიძლება ჩაერთოს საგრანტო პროგრამების განხორციელებაში ან ხელი შეუწყოს თემის განვითარების ინიციატივების მასშტაბის და მოცვის ზრდას. ამგვარი თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებში, სადაც ადგილობრივი მთავრობის რესურსები შეზღუდულია და ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტა ხშირად მოითხოვს სხვადასხვა სექტორის ერთობლივ მოქმედებას.

რუმინეთის სათემო ფონდების ინსტიტუციურ ურთიერთობებს მნიშვნელოვნად აძლიერებს რუმინეთის სათემო ფონდების ფედერაცია, რომელიც წარმოადგენს წევრი ორგანიზაციების ინტერესებს ეროვნულ დონეზე. ფედერაცია ხელს უწყობს თანამშრომლობას მთავრობასთან და ქმნის საერთო სტრატეგიულ ხედვას ადგილობრივი ფილანტროპიის განვითარებისთვის (Romanian United Fund, n.d.).

ადგილობრივი თემის ჩართულობა სათემო ფონდის მოდელის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს. სათემო ფონდები ცდილობენ შექმნან ისეთი მექანიზმები, რომლებიც მოქალაქეებს თემის განვითარების პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღების საშუალებას აძლევს. ეს შეიძლება განხორციელდეს საგრანტო კონკურსების, საზოგადოებრივი განხილვების, მოხალისეობრივი პროგრამებისა და თანხების მოზიდვის ღონისძიებების მეშვეობით.

ერთ-ერთი მაგალითია საზოგადოებრივი თანხების მოზიდვის ღონისძიებები, რომლებიც აერთიანებს მოქალაქეებს კონკრეტული პროექტების მხარდასაჭერად. ასეთი ღონისძიებები, ფინანსური რესურსის მობილიზების

გარდა, ხელს უწყობს საზოგადოების კონსოლიდაციას და ადგილობრივი პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტას (The Funding Network, თ. გ.).

სათემო ფონდები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციალური ინოვაციების მხარდაჭერაში. ისინი ხშირად ქმნიან საგრანტო პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს ახალი იდეების მხარდაჭერას განათლების, გარემოს დაცვის, კულტურისა და სოციალური ჩართულობის სფეროებში. ამგვარი პროგრამები საშუალებას აძლევს ადგილობრივ აქტივისტებსა და ორგანიზაციებს განახორციელონ პროექტები, რომლებიც პირდაპირ პასუხობს თემის საჭიროებებს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რუმინეთის სათემო ფონდების ურთიერთობა მთავრობასთან და ადგილობრივ თემთან შესაძლებელია შევაფასოთ როგორც პარტნიორობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა. ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს ინსტიტუციურ და ზოგჯერ ფინანსურ მხარდაჭერას, ხოლო მოქალაქეები და სამოქალაქო ორგანიზაციები მონაწილეობენ პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ამგვარი მრავალსექტორული თანამშრომლობა ქმნის უფრო მდგრადი და ინკლუზიური ადგილობრივი განვითარების საფუძველს.

სათემო ფონდის ისტორია: კლუჟის სათემო ფონდი (Fundația Comunitară Cluj)

ისტორია: კლუჟის სათემო ფონდი დაარსდა 2008 წელს ქალაქ კლუჟ-ნაპოკაში. ის წარმოადგენს რუმინეთში სათემო ფილანტროპიის განვითარების ერთ-ერთ პირველ და მნიშვნელოვან ინსტიტუციურ მაგალითს. ფონდის შექმნა დაკავშირებულია ადგილობრივი სამოქალაქო ლიდერების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და აქტიური მოქალაქეების ინიციატივასთან, რომლებიც ცდილობდნენ ქალაქში ადგილობრივი რესურსების მობილიზებისა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ფილანტროპიული პლატფორმის ჩამოყალიბებას.

ფონდის შექმნის პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა. ფონდის განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აღმასრულებელ დირექტორს, სიმონა სერბანს, რომელიც დაარსების პერიოდიდან ხელმძღვანელობდა ორგანიზაციის პროგრამებს და აქტიურად მუშაობდა

ადგილობრივი ფილანტროპიის კულტურის ჩამოყალიბებაზე (European Community Foundation Initiative, 2017). ფონდის ჩამოყალიბებას ასევე ხელი შეუწყო რუმინეთში სათემო ფონდების განვითარების ეროვნულმა პროგრამამ, რომელსაც კოორდინაციას უწევდა სათემო ურთიერთობების ასოციაცია (Association for Community Relations). აღნიშნული პროგრამის მიზანი იყო დამოუკიდებელი სათემო ფონდების შექმნის პროცესში ადგილობრივი საზოგადოებების მხარდაჭერა, ისევე როგორც საჭირო ინსტიტუციური და ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდა რუმინეთში პირველი სათემო ფონდები, მათ შორის კლუჟის სათემო ფონდი (Gurescu, 2019).

დაფუძნების პირველ წლებში ფონდის საქმიანობა ძირითადად ორიენტირებული იყო მცირე საგრანტო პროგრამების განვითარებაზე და ადგილობრივი ინიციატივების მხარდაჭერაზე. ამ ეტაპზე ფონდი ცდილობდა შეექმნა თანამშრომლობის პლატფორმა ადგილობრივ ხელისუფლებას, ბიზნეს სექტორსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის. დროთა განმავლობაში მისი საქმიანობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ორგანიზაცია გადაიქცა ადგილობრივი ფილანტროპიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სექტორს საერთო სოციალური მიზნების მისაღწევად.

კლუჟის სათემო ფონდი განიხილება როგორც რუმინეთში სათემო ფილანტროპიის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მაგალითი. ფონდი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივი ინიციატივების დაფინანსებაში, ადგილობრივი რესურსების მობილიზებაში და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტსოციალისტურ საზოგადოებებში სამოქალაქო ჩართულობის და აქტიურობის ზრდისთვის (Global Fund for Community Foundations, 2014).

ორგანიზაციული სტრუქტურა: ფონდის მართვის სისტემა ეფუძნება მართვის ისეთ სტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას, ისე ყოველდღიური საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას.

ორგანიზაციის უმაღლესი მმართველი ორგანოა დირექტორთა საბჭო (Board of Trustees), რომლის წევრები, როგორც წესი, წარმოადგენენ ადგილობრივი საზოგადოების ისეთ სფეროებს, როგორიცაა ბიზნესის ლიდერები, სამოქალაქო აქტივისტები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები და საზოგადო მოღვაწეები. საბჭოს მთავარი ფუნქციაა ფონდის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა,

ფინანსური და ინსტიტუციური ზედამხედველობა და ორგანიზაციის მისიის შესრულების უზრუნველყოფა (Fundația Comunitară Cluj, n.d.).

ფონდის ოპერაციულ საქმიანობას მართავს აღმასრულებელი გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი. გუნდი პასუხისმგებელია პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაზე, პარტნიორობების განვითარებაზე, რესურსების მოძიებასა და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე (Fundația Comunitară Cluj, n.d.).

ამასთან, ორგანიზაციის საქმიანობაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მოხალისეებსა და პარტნიორ ორგანიზაციებს.

დაფინანსების სტრუქტურა და ფორმები: კლუჟის სათემო ფონდის შემოსავლების სტრუქტურა მრავალფეროვანი და მდგრადია, რაც ორგანიზაციას საშუალებას აძლევს ერთდროულად დაეყრდნოს როგორც ადგილობრივ რესურსებს, ისე საერთაშორისო მხარდაჭერას. როგორც ფონდის წლიურ ანგარიშებშია მითითებული, შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის ადგილობრივ დონორებზე, რომლებიც საკუთარ ქალაქში ინვესტიციას განიხილავენ როგორც თანამონაწილეობას საზოგადოებრივი განვითარების პროცესში (Fundația Comunitară Cluj, 2022). ინდივიდუალური დონაციები ხშირად მიმართულია კონკრეტულ პროექტებზე, თუმცა წვლილი შეაქვთ საერთო ფონდში, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მოქნილობას და მდგრადობას.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს სპონსორობა ბიზნეს ორგანიზაციების მხრიდან, სადაც ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიები ფინანსურ და არამატერიალურ მხარდაჭერას სთავაზობენ ფონდს. მაგალითად, კლუჟის სვიმატონი[9] („Swimathon Cluj“) ფონდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფანდრაიზინგის ღონისძიებაა, რომელიც ყოველწლიურად აერთიანებს ასობით მონაწილესა და კომპანიას. ისინი გუნდების დაფინანსებით ან დონაციების მოზიდვით არიან ჩართულები აღნიშნულ ღონისძიებაში (European Community Foundation Initiative, 2018). ფონდების მოზიდვის ღონისძიებები, განსაკუთრებით სვიმატონი არა მხოლოდ ფინანსურ წყაროს, არამედ სოციალური კაპიტალის გაძლიერების მექანიზმსაც წარმოადგენს. ღონისძიება ყოველწლიურად ათეულობით ათას ევროს აგროვებს, რაც შემდეგ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ინიციატივებს შორის გადანაწილდება.

[9] სათემო ფონდების მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო სპორტული ღონისძიება, სადაც მონაწილეები ცურვით აგროვებენ დონაციებს ადგილობრივი პროექტების დასაფინანსებლად.

ფონდის შემოსავლების კიდევ ერთი წყარო არის საერთაშორისო გრანტები, განსაკუთრებით რუმინულ-ამერიკული ფონდი (Romanian-American Foundation - RAF) და მოტის ფონდი (Mott Foundation). მათი გრანტები მიმართულია სტრატეგიული პროგრამების განვითარებაზე, ორგანიზაციული მდგრადობის გაძლიერებაზე და ინოვაციური პროექტების დაფინანსებაზე (Mott Foundation, 2026). სწორედ ამ ტიპის დაფინანსება ქმნის ფონდის წლიური შემოსავლების დაახლოებით მესამედს.

2021 წლიდან გადმოტანილი თანხის ჩათვლით ($209,570), 2022 წლის შემოსავლებმა შეადგინა $438,708. აქედან ინდივიდუალური შემოწირულობებით ფონდმა მიიღო $8,298, კომპანიებიდან $106,272 და ეროვნული პროგრამების და სხვა ფონდებიდან $324,138[10].

ფონდის შემოსავლების სხვადასხვა წყაროზე განაწილება ასე შეიძლება შეჯამდეს: ადგილობრივი შემოწირულობები 25–30%, კორპორატიული სპონსორობა 20–25%, საერთაშორისო გრანტები 30–35% და საზოგადოებრივი ღონისძიებები 15–20%. მოხალისეთა და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა პირდაპირ ფინანსურ შემოსავალს არ ქმნის, თუმცა მნიშვნელოვნად ამცირებს ოპერაციულ ხარჯებს და ზრდის ფონდის ეფექტიანობას (Fundația Comunitară Cluj, 2022).

[10] ორგანიზაციამ თანხები მიიღო რუმინულ ლეიში. თვალსაჩინოებისთვის გადმოტანილია მიმდინარე კურსით დოლარის ოდენობა.

ფონდის ხარჯები ნაწილდება შემდეგნაირად:

ცხრილი 9. ფონდის ხარჯების სტრუქტურა 2022 წელი

ხარჯების კატეგორია	თანხა $	%
გრანტები	326,600	50%
ფინანსური მხარდაჭერა	145,731	22%
სერვისები	94,360	14%
ეკიპირება და ნივთები	46,638	7%
ადმინისტრაციული და პერსონალის ხარჯები	35,564	5%
კომუნიკაცია და პრომო საქმიანობა	1,769	0%
სხვა ხარჯები	2,539	0%
ჯამი	653,201	100%

სხვა რესურსები: კლუჟის სათემო ფონდის მდგრადობისა და ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი არის არაფინანსური რესურსების ფართო გამოყენება. ფონდის წლიური ანგარიშებისა და საერთაშორისო კვლევების მიხედვით, მოხალისეთა ქსელი წარმოადგენს მნიშვნელოვან ძალას, რომელიც ჩართულია როგორც ღონისძიებების ორგანიზებაში, ისე პროგრამების განხორციელებაში. მოხალისეთა მონაწილეობა არა მხოლოდ ამცირებს ოპერაციულ ხარჯებს, არამედ აძლიერებს საზოგადოების ჩართულობასა და ნდობას (Fundația Comunitară Cluj, 2022).

გარდა ამისა, ფონდის საქმიანობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პარტნიორი ორგანიზაციების, ექსპერტების და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების ინტელექტუალურ და პროფესიულ რესურსებს. მათი ჩართულობა საშუალებას აძლევს ფონდს უკეთ შეისწავლოს ადგილობრივი საჭიროებები და შეიმუშაოს ისეთი პროგრამები, რომლებიც რეალურად პასუხობს საზოგადოების გამოწვევებს. როგორც ECFI - ევროპის სათემო ფონდების ინიციატივა აღნიშნავს, კლუჟის ფონდის ერთ-ერთი ძლიერი მხარე არის ცოდნისა და გამოცდილების ინტეგრირება ადგილობრივ პროექტებში (European Community Foundation Initiative, 2018).

ფონდის საქმიანობაში ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტნიორობას ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ასეთი თანამშრომლობა ხელს უწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ინიციატივების უფრო ფართო მასშტაბით განხორციელებას.

ერთიანობაში კი, კლუჟის საზოგადოებრივი ფონდი ეყრდნობა არა მხოლოდ ფინანსურ მდგრადობას, არამედ სოციალური კაპიტალის, პროფესიული ცოდნისა და ინსტიტუციური პარტნიორობის ეფექტიან გამოყენებას. ეს მრავალმხრივი რესურსები ქმნის საფუძველს, რომ ფონდი იყოს არა მხოლოდ ფინანსური მექანიზმი, არამედ საზოგადოებრივი განვითარების პლატფორმა, რომელიც აერთიანებს მოქალაქეებს, ბიზნესს, ექსპერტებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას.

ძირითადი საქმიანობები: კლუჟის სათემო ფონდი მრავალმხრივი მიმართულებით საქმიანობს. თუმცა, განათლება და ახალგაზრდული პროგრამები მათი ყველაზე დიდი პრიორიტეტია, რასაც ბიუჯეტის უდიდესი წილი ეთმობა. სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა ასევე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, ხოლო კულტურა შედარებით მცირე, მაგრამ სტრატეგიული მიმართულებაა.

ასეთი მრავალფეროვანი განაწილება ასახავს ფონდის მიზანს: ერთდროულად გააძლიეროს განათლება, სოციალური თანასწორობა, გარემოს დაცვა და კულტურული განვითარება.

კლუჟის სათემო ფონდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია განათლების ხელშეწყობა. მაგალითად, 2008 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში ფონდის მიერ ინიციატივებზე დახარჯული თანხიდან (2,791,108 ლეი), 36% (ერთი მილიონი ლეი) მიმართული იყო საგანმანათლებლო პროექტებზე (Fundatii Comunitare, 2018). ეს მოიცავდა ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდების უნარების განვითარებას, STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, მათემატიკა) განათლების პოპულარიზაციას და ადგილობრივი სკოლების მხარდაჭერას. ამ თანხაში შედის ასევე ინდივიდუალური სასწავლო გრანტები, რომელიც 2016 წლამდე ჯამში 267 ადამიანზე გაიცა. მიუხედავად იმისა, რომ განათლება პრიორიტეტული მიმართულებაა, 2008 წლიდან 2018 წლამდე ხარჯების ანალიზი აჩვენებს რომ ის ზოგიერთ წელს პირველ ადგილს სხვა მიმართულებებს უთმობს. მაგალითად, 2015 წელს კულტურის და ხელოვნების მიმართულებაზე დახარჯული თანხა იყო 284 ათასი ლეი, მაშინ როდესაც განათლებაზე გამოყოფილმა თანხამ მხოლოდ 142 ათასი შეადგინა (Fundatii Comunitare, 2018). 2018-ში კი საჯარო და თემის სივრცეების მოწყობაზე დაიხარჯა 233 ათასი ლეი, მაშინ როდესაც განათლების ხარჯმა შეადგინა მხოლოდ 4 ათასი (Fundatii Comunitare, 2018).

ფონდი აქტიურად მუშაობს სოციალური ჩართულობის და ინკლუზიის მიმართულებით, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერაზე. პროგრამები მოიცავს ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს თანასწორობისა და სოციალური ინტეგრაციის გაძლიერებას (Fundatii Comunitare, 2018).

კლუჟის ფონდი ასევე აფინანსებს გარემოსდაცვით პროექტებს. ეს ინიციატივები მოიცავს ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას, მდგრადი ურბანული განვითარების მხარდაჭერას და ადგილობრივი ეკოსისტემების დაცვას (Fundatii Comunitare, 2018).

კულტურული პროექტები შედარებით მცირე, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან წილს იკავებს. მიუხედავად მცირე ბიუჯეტისა, ეს ინიციატივები ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული ცხოვრების გაძლიერებას და საზოგადოების შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას (Fundatii Comunitare, 2018).

ცხრილი 10. სათემო ფონდის მიერ გაცემული გრანტები, თემატიკის მიხედვით - 2022

თემა	ბიუჯეტი $	%
ადგილობრივი განვითარება, გარემო, განათლება	56,350	19%
განათლება, ჯანმრთელობა, ახალგაზრდული ჩართულობა	28,980	10%
სოციალური ინტეგრაცია, ენობრივი და კულტურული პროგრამები	80,410	27%
STEAM განათლება, სოფლის სკოლები	36,800	12%
გარემოს დაცვა, ნარჩენების მართვა	89,700	30%
ჯანდაცვა (კლინიკის აღჭურვა)	4,960	2%
სულ	297,200	100%

დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა: კლუჟის სათემო ფონდის ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან მრავალმხრივია და თითოეულ ჯგუფთან თანამშრომლობა განსხვავებულ ფუნქციას ასრულებს.

- **ადგილობრივი თვითმმართველობა** ფონდისთვის სტრატეგიული პარტნიორია. მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობა მას საკუთარი ინიციატივების ქალაქის გეგმასთან უკეთ შეთანხმების საშუალებას აძლევს. მაგალითად, ECFI-ის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ კლუჟის ფონდი ხშირად მუშაობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ინფრასტრუქტურული და საგანმანათლებლო პროექტების მხარდაჭერისთვის, რაც უზრუნველყოფს რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას (European Community Foundation Initiative, 2018).

- **კერძო სექტორთან** ურთიერთობა დაფუძნებულია კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე. ადგილობრივი კომპანიები და საერთაშორისო ბიზნესები არა მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერას სთავაზობენ ფონდს, არამედ ხშირად ჩართულნი არიან ინოვაციური პროექტების განვითარებაში. მაგალითად, კლუჟის სვიმატონის ფარგლებში კომპანიები სპონსორობას უწევენ გუნდებს და ამით მხარს უჭერენ ადგილობრივი ინიციატივების დაფინანსებას (Fundația Comunitară Cluj, 2022).

- **არასამთავრობო ორგანიზაციებთან** თანამშრომლობა ქმნის ფართო ქსელს, რომელიც აძლიერებს ფონდის შესაძლებლობებს. NGO-ები ხშირად არიან პროგრამების უშუალო განმახორციელებლები, ხოლო ფონდი მათთვის რესურსებისა და შესაძლებლობების წყაროა. კლუჟის ფონდი მოქმედებს როგორც „ინკუბატორი“, რომელიც აერთიანებს მცირე ორგანიზაციებს და მათ უფრო მასშტაბური ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობას აძლევს (Mott Foundation, 2026).

- **მოქალაქეებთან და არაფორმალურ ჯგუფებთან** თანამშრომლობა წარმოადგენს ფონდის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ინდივიდუალური დონორები, მოხალისეები და თემის აქტივისტები არა მხოლოდ ფინანსურად, არამედ საკუთარი დროითა და ენერგიით არიან კლუჟის ფონდის საქმიანობებში ჩართულები. მაგალითად, კლუჟის სვიმატონი ყოველწლიურად ასობით მოქალაქეს აერთიანებს, რაც აჩვენებს, რომ ფონდის პროექტები აღიქმება როგორც თემის საერთო საქმე (Fundația Comunitară Cluj, 2022).

ძირითადი გამოწვევები: ფონდის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა დაფინანსების მრავალფეროვნებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაა. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია წარმატებით ახორციელებს სვიმატონს და ფონდების მოზიდვის სხვა ღონისძიებებს, ის მაინც დამოკიდებულია რუმინულ-ამერიკულ ფონდზე და სხვა საერთაშორისო დონორებზე. როგორც ECFI-ის ანგარიშშია აღნიშნული, ასეთი დამოკიდებულება ფინანსური მდგრადობის მნიშვნელოვან რისკებს ქმნის (European Community Foundation Initiative, 2018). მეორე მნიშვნელოვანი გამოწვევაა მოხალისეთა მოზიდვა და შენარჩუნება. ფონდის საქმიანობა დიდწილად ეფუძნება მოხალისეთა ჩართულობას, თუმცა მათი მოტივაციის შენარჩუნება რთულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პროექტები ხანგრძლივია და მუდმივ ძალისხმევას მოითხოვს. კლუჟის სათემო ფონდის 2023 წლის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ მოხალისეთა რაოდენობა იზრდება, მაგრამ მათი სტაბილური ჩართულობა კვლავ გამოწვევად რჩება (Fundația Comunitară Cluj,

2023). ფონდისთვის ასევე გამოწვევაა კერძო სექტორთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან პარტნიორობა. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნეს ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ თანხების მოზიდვის ღონისძიებებში, მათი ჩართულობა სტრატეგიულ პროექტებში არასაკმარისია. ფონდისთვის აუცილებელია ბიზნესთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, რაც ინოვაციების დაფინანსების მეტ საშუალებას მისცემს მას (Mott Foundation, 2026). კლუჟის ფონდი, სხვა სათემო ფონდების მსგავსად, მუდმივად აწყდება თემის საჭიროებების სწრაფ ცვლილებას. მაგალითად, 2008–2009 წლებში ბიუჯეტის დიდი ნაწილი მიმართული იყო გარემოს დაცვასა და განათლებაზე, თუმცა ბოლო წლებში პრიორიტეტად იქცა სოციალური ინკლუზია და ახალგაზრდული პროგრამები. ეს ცვლილებები ორგანიზაციისგან მოითხოვს მოქნილობას და პროგრამების მუდმივ ადაპტირებას გარემოს საჭიროებებთან.

დაფინანსებული პროექტის მაგალითი:

მწვანე კვირეული („Săptămâna Verde“) კლუჟის სათემო ფონდის ერთ-ერთი წარმატებული ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი მიმართულებით განათლებას ადგილობრივ სკოლებში. პროექტი შეიქმნა ფონდისა და პარტნიორი ორგანიზაციების თანამშრომლობით და დაფინანსდა რუმინეთის მთავრობის მიერ, რაც თავისთავად მიუთითებს სახელმწიფოს მხარდაჭერაზე (Fundația Comunitară Cluj, 2023). პროექტის ფარგლებში მასწავლებლები და მოსწავლეები გაეცვნენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული აქტივობის მოდელებს და აღიჭურვნენ სხვადასხვა რესურსით. საკითხები მოიცავდა ნარჩენების მართვის, ენერგოეფექტურობისა და ბიომრავალფეროვნების თემებს. მასწავლებლებს მიეცათ საკუთარ სასწავლო პროცესში ინოვაციური მეთოდების ჩართვის შესაძლებლობა, ხოლო მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა ისეთ პრაქტიკულ ინიციატივებში, როგორიცაა სკოლის ეზოში ბაღის გაშენება და ნარჩენების გადამუშავების კამპანიები (European Community Foundation Initiative, 2018). მწვანე კვირეულის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი აერთიანებს საზოგადოებას, სკოლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ერთიან ქსელში, რითაც პროექტი არა მხოლოდ ცოდნას ავრცელებს, არამედ ქმნის თანამშრომლობის კულტურას, სადაც ადგილობრივი თემის სხვადასხვა აქტორი საერთო მიზნისთვის ერთიანდება.

სათემო ფონდები საქართველოში

ქვეყნის პროფილი

დედაქალაქი: თბილისი
ტერიტორია: 69 700 კმ²
მოსახლეობა: დაახლოებით 3,704,506 მილიონი (2025 წ.) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025)
მშპ ერთ ადამიანზე: 11 574 აშშ დოლარი (2026 წ.) (Worldometer, 2026)
პოლიტიკური სისტემა: საპარლამენტო რესპუბლიკა, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი, ხოლო პრეზიდენტი ასრულებს უმეტესად წარმომადგენლობით ფუნქციას

ქველმოქმედებისა და მოსახლეობის ჩართულობის ისტორია საქართველოში ეკლესიისა და სამეფო ხელისუფლების ტრადიციებიდან იწყება, XIX–XX საუკუნეებში ინტელიგენციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობით ვითარდება, ხოლო თანამედროვე პერიოდში სამოქალაქო სექტორისა და სათემო ფონდების მეშვეობით უფრო ორგანიზებულ და ინსტიტუციურ ფორმას იღებს.

სათემო ფონდების განვითარების ისტორია მნიშვნელოვანწილად უკავშირდება საერთაშორისო დონორებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების - მათ შორის CSRDG-ის, ქალთა ფონდი „ტასოსა“ და ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ - მხარდაჭერას. მათ ხელი შეუწყვეს ადგილობრივ დონეზე ფორმალიზებული ფილანტროპიისა და მოქალაქეობრივი ჩართულობის განვითარებას.

საწყის ეტაპზე სათემო ფონდის იდეა საქართველოში ძირითადად უცხოური პრაქტიკის ადგილობრივ კონტექსტზე მორგებას წარმოადგენდა. პირველი ინიციატივები ხშირად არაფორმალური ჯგუფების სახით ჩნდებოდა და კონკრეტულ ადგილობრივ საჭიროებებს - განათლების, ინფრასტრუქტურისა და სოციალური მხარდაჭერის მიმართულებით - პასუხობდა. დროთა განმავლობაში, ასეთი ჯგუფების ნაწილი ინსტიტუციურად ჩამოყალიბდა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით დარეგისტრირდა.

2010-იანი წლების ბოლოს სათემო ფონდების კონცეფცია საქართველოში უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდა. გაჩნდა ე.წ. „საერთო ყულაბის“ მოდელის დამკვიდრების მცდელობები, რაც თემის წევრების მიერ სხვადასხვა რესურსის - ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების - გაერთიანებასა და ერთობლივად განაწილებას გულისხმობს. ეს მიდგომა ნათლად ჩანს მოგვიანებით გაჩენილ ინიციატივებში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა არა მხოლოდ ბენეფიციარის, არამედ აქტიური თანამონაწილის როლს იკავებს - როგორც იდეების გენერირებითა და დაფინანსებით, ისე ინიციატივებში საკუთარი ძალებით ჩართვით.

ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მოხალისეობის არაფინანსურმა წვლილმა, რომელიც მცირე თემებში ხშირად კრიტიკულ რესურსს წარმოადგენდა. პრაქტიკა აჩვენებს, რომ საქართველოში სათემო ფონდების საქმიანობა იშვიათად ეფუძნება მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერას; იგი უფრო მეტად ეყრდნობა სოციალურ კაპიტალს - ნდობას, ურთიერთდახმარებასა და კოლექტიურ პასუხისმგებლობას. მაგალითად, როგორც ქვემოთ წარმოდგენილი ერთ-ერთი შემთხვევის ანალიზი აჩვენებს, თემის წევრები აქტიურად ერთვებიან როგორც მატერიალური რესურსების, ისე დროისა და პროფესიული უნარების გაზიარებით.

იურიდიული და ინსტიტუციური ფორმები

საქართველოში სათემო ფონდის ანალოგიური ორგანიზაციები, როგორც წესი, ფუნქციონირებენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ააიპ) ფორმით, რომელიც რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. განსხვავებით ზოგიერთი ქვეყნის მკაცრად სტრუქტურირებული მოდელისგან, საქართველოში სამართლებრივი ჩარჩო შედარებით უფრო მოქნილია, თუმცა ასევე ითვალისწინებს ორგანიზაციის საქმიანობის საზოგადოებრივი ინტერესებისკენ მიმართვას.

საქართველოს კანონმდებლობით, არასამეწარმეო ორგანიზაციები იქმნება საზოგადოებრივი ან კერძო ინტერესების დასაკმაყოფილებლად, თუმცა მათი საქმიანობა არ უნდა იყოს ორიენტირებული მოგების განაწილებაზე დამფუძნებლებს შორის. ააიპ-ის წესდება განსაზღვრავს მის მიზნებს, მმართველობის სტრუქტურას და საქმიანობის სფეროებს. ამავე დროს, ორგანიზაციები ვალდებულნი არიან თავიანთი საქმიანობა შეესაბამებოდეს როგორც წესდებას, ისე მოქმედ კანონმდებლობას.

კანონმდებლობა არ აწესებს მინიმალურ საწყის კაპიტალს ფონდის რეგისტრაციისთვის, რაც ზრდის სექტორის ხელმისაწვდომობას მცირე ინიციატივებისთვის. თუმცა, ეს ასევე ნიშნავს, რომ ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობა უფრო მეტად დამოკიდებულია დონორებზე, გრანტებზე და პროექტულ დაფინანსებაზე, ვიდრე სტაბილურ კაპიტალზე, როგორც ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში.

სათემო ფონდების საქმიანობის სფეროები საქართველოში ხშირად მოიცავს განათლებას, სოციალურ მომსახურებას, კულტურას, ახალგაზრდობის მხარდაჭერას და ადგილობრივი განვითარების ინიციატივებს. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა პირდაპირ არ განსაზღვრავს „სათემო ფონდის“ ცნებას, პრაქტიკაში ასეთი ორგანიზაციები ფუნქციონირებენ როგორც ადგილობრივი განვითარების ხელშემწყობი პლატფორმები, რომლებიც აერთიანებენ რესურსებს კონკრეტული თემის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

დაფინანსება და სხვა რესურსი

საქართველოში სათემო ფონდების დაფინანსება და რესურსები მნიშვნელოვნად განსხვავდება განვითარებული ქვეყნების მოდელებისგან, რაც, პირველ რიგში, სექტორის შედარებით მოკლე ისტორიული განვითარებითა და ფინანსური ბაზის სიმწირით აიხსნება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად ვითარდებოდა, სათემო ფონდები ჯერ კიდევ არ ფლობენ მასშტაბურ ენდოუმენტებს და მათი ფინანსური მდგრადობა დიდწილად გარე წყაროებზეა დამოკიდებული. 2024 წლიდან, ახალი პოლიტიკური და საკანონმდებლო ცვლილებების, ასევე გლობალური ტენდენციების ფონზე, გარე დაფინანსებაზე წვდომა შეიზღუდა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამოქალაქო სექტორის, მათ შორის სათემო ფონდების, ფუნქციონირების შესაძლებლობებზე.

საქართველოში სათემო ფონდების შემოსავლის ძირითადი წყაროებია საერთაშორისო დონორების გრანტები, ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდების მხარდაჭერა, კერძო შემოწირულობები და შედარებით მცირე მასშტაბის კორპორაციული დაფინანსება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აქვთ ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორიცაა ევროკავშირი, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, კონრად ადენაუერის ფონდი და „პური მსოფლიოსთვის“, რომლებიც აფინანსებენ როგორც ინსტიტუციურ განვითარებას,

ისე კონკრეტულ თემატურ პროგრამებს. ამასთან, ადგილობრივი ფილანტროპიის დონე შედარებით დაბალია, რაც ზღუდავს ენდოუმენტების დაგროვების შესაძლებლობას.

ქვეყანაში სათემო ფონდების ძირითადი შემოსავლები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

- **საერთაშორისო გრანტები და პროგრამული დაფინანსება:** ორგანიზაციების შემოსავლების უდიდესი წილი მოდის საერთაშორისო დონორებისგან, რომლებიც მხარს უჭერენ დემოკრატიის, სოციალური განვითარების, განათლებისა და რეგიონული განვითარების პროექტებს.

- **კერძო შემოწირულობები:** მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური დონორების ჩართულობა იზრდებოდა, მათი წილი საერთო შემოსავლებში მცირე იყო.

- **კორპორაციული, ბიზნეს სექტორის ფინანსური შენატანები:** კერძო კომპანიები გარკვეულ შემთხვევებში, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ფარგლებში აფინანსებენ ადგილობრივ ინიციატივებს.

- **სახელმწიფო გრანტები და თანადაფინანსება:** მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობიდან მიღებული თანხები მთლიანი შემოსავლის მცირე ნაწილია, მათი მხარდაჭერა მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა სათემო ფონდების მდგრადობისთვის.

- **პროექტული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები:** მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი პრაქტიკა საქართველოში შედარებით იშვიათია, ზოგიერთი ორგანიზაცია ახორციელებს ტრენინგებს, კვლევებს ან საკონსულტაციო მომსახურებას, რაც მცირე, თუმცა დამატებით ფინანსურ რესურსს ქმნის.

განსხვავებით გერმანიისგან და სხვა ქვეყნებისგან, საქართველოში ენდოუმენტზე დაფუძნებული მოდელი ნაკლებად არის განვითარებული. შედეგად, ფინანსური სტაბილურობა ხშირად დამოკიდებულია გრანტების ციკლურობაზე, რაც ამცირებს გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის შესაძლებლობას.

რესურსების თვალსაზრისით, საქართველოში სათემო ფონდები მნიშვნელოვანწილად ეყრდნობიან არამატერიალურ აქტივებსაც. მოხალისეობრივი საქმიანობა წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად ერთვება სოციალური, საგანმანათლებლო და კულტურული ინიციატივების განხორციელებაში. გარდა მოხალისეობისა, ადგილობრივი მოსახლეობა და კერძო სექტორი თემის საჭიროების დაკმაყოფილებისთვის სათემო ფონდებს უსასყიდლოდ გადასცემს სხვადასხვა ნივთებს, მაგ. სამშენებლო მასალები, საკვები და ა.შ. აღნიშნული პრაქტიკა ზრდის როგორც პროგრამების ეფექტიანობას, ისე საზოგადოების ნდობას ორგანიზაციების მიმართ.

ასევე აღსანიშნავია პარტნიორული ქსელების მნიშვნელობა. სათემო ფონდები ხშირად თანამშრომლობენ ადგილობრივ თვითმმართველობებთან, სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან, რაც მათ საშუალებას აძლევს გაზარდონ რესურსების მობილიზება და გავლენა. თუმცა, ასეთი პარტნიორობები, როგორც წესი, ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულია, განსხვავებით სხვა, უფრო განვითარებული ქვეყნებისგან.

მთავრობასთან და ადგილობრივ თემთან ურთიერთობა

საერთაშორისო და, განსაკუთრებით, ადგილობრივი სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის ცვლილებებამდე სათემო ფონდების ურთიერთობები როგორც მთავრობასთან, ისე ადგილობრივ თემთან ნელა, თუმცა სტაბილურად და პოზიტიურად ვითარდებოდა.

სათემო ფონდების ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან და თემთან ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულია, ვიდრე გერმანიაში, თუმცა ეფუძნება თანამშრომლობასა და საზოგადოებრივ სარგებელზე ორიენტაციას.

ცენტრალურ დონეზე ურთიერთობა ძირითადად სამართლებრივი და რეგულაციური ხასიათისაა. სათემო ფონდები ფუნქციონირებენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით და რეგულირდებიან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. სახელმწიფო მათ პირდაპირ არ მართავს და იშვიათად აფინანსებს, თუმცა განსაზღვრავს სამართლებრივ ჩარჩოს, რომელშიც ისინი მოქმედებენ. სამწუხაროდ, 2024 წლიდან შემოღებულმა

საკანონმდებლო ცვლილებებმა შეზღუდვები გაზარდა. ამასთან, ცენტრალური და მუნიციპალური ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ გავრცელებულმა ნეგატიურმა გზავნილებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სექტორის რეპუტაციას. შესაბამისად, დღევანდელი მდგომარეობა სექტორთაშორისი თანამშრომლობის სივრცეს მკვეთრად ზღუდავს.

2024 წლამდე მუნიციპალურ დონეზე ურთიერთობა უფრო პრაქტიკული და თანამშრომლობითი იყო. ადგილობრივი თვითმმართველობები და სათემო ფონდები თანამშრომლობდნენ სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში. თანამშრომლობა მოიცავდა თანადაფინანსებას, სივრცეების გაზიარებასა და ინფორმაციის გაცვლას, თუმცა მას იშვიათად ჰქონდა სტრატეგიული ან ინსტიტუციური ხასიათი.

ადგილობრივ თემთან ურთიერთობა სათემო ფონდების ლეგიტიმაციის მთავარი საფუძველია. საქართველოში ფონდები ხშირად აქტივისტების ან/და დონორული პროგრამების ინიციატივით იქმნება, თუმცა მოქალაქეთა ჩართულობა თანდათან იზრდებოდა, განსაკუთრებით მოხალისეობისა და მცირე დონაციების ფორმით. სათემო ფონდები ცდილობდნენ ემოქმედათ, როგორც ნეიტრალურ პლატფორმებს, რომლებიც სხვადასხვა აქტორს აერთიანებს და ადგილობრივ საჭიროებებზე რეაგირებს.

ძირითადი გამოწვევები

ბოლო წლებში სათემო ფონდების საქმიანობაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ შიდა ორგანიზაციული ფაქტორები, არამედ ფართო სოციალურ-პოლიტიკური და საკანონმდებლო გარემო, რაც არსებითად ცვლის მათი ფუნქციონირების პირობებს.

პირველ რიგში, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად უნდა განვიხილოთ საკანონმდებლო ცვლილებები, განსაკუთრებით უცხოური დაფინანსების რეგულაციები. აღნიშნული ნორმები ავალდებულებს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც დაფინანსებას უცხოური წყაროებიდან იღებენ, დარეგისტრირდნენ სპეციალურ რეესტრში, წინააღმდეგ შემთხვევაში დაექვემდებარონ სანქციებს (საქართველოს პარლამენტი, 2024). გრანტების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები კი ითხოვს დონორის ან/და გრანტის მიმღებისგან სახელმწიფოს ნებართვის აღებას, წინააღმდეგ შემთხვევაში გრანტის მიმღებისთვის გათვალისწინებულია სანქციები (საქართველოს პარლამენტი, 2026).

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია საზოგადოების ნდობის საკითხი, რომელიც ბოლო წლებში შესამჩნევად შემცირდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მედიაში გავრცელებულმა უარყოფითმა დისკურსმა. სათემო ფონდების სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც ადგილობრივი მონაწილეობა და თანადაფინანსება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ნდობის შემცირება პირდაპირ ზღუდავს როგორც ფინანსური რესურსების მოზიდვას, ისე მოხალისეობრივ აქტივობას.

გარდა ამისა, გამოწვევად რჩება სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობის სირთულე. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობა ზოგ შემთხვევაში პოზიტიურია, სისტემურ დონეზე ხშირად შეინიშნება არასაკმარისი ინსტიტუციური მხარდაჭერა და პარტნიორობის მექანიზმების სისუსტე. ეს გარემოება ზღუდავს სათემო ფონდების შესაძლებლობას, გავლენა მოახდინონ ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაზე.

სოციალურ-კულტურული ფაქტორებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. საქართველოში ფილანტროპიისა და მოხალისეობის კულტურა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა რეგიონულ და სოფლის თემებში. მიუხედავად ცალკეული წარმატებული პრაქტიკებისა, ფართო მასშტაბით კვლავ დაბალია მოსახლეობის ინფორმირებულობა იმის შესახებ, რომ თემის განვითარებაში მონაწილეობა შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ ფინანსური, არამედ დროისა და ცოდნის გაზიარებითაც.

ამასთან, დამატებით სირთულეს ქმნის ფინანსური მდგრადობის საკითხი. საქართველოში სათემო ფონდები კვლავ მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული გარე, განსაკუთრებით კი საერთაშორისო დაფინანსებაზე. ადგილობრივი დონორების ბაზა სუსტად არის განვითარებული, ხოლო ეკონომიკური ფაქტორები - მცირე ბიზნესის შეზღუდული შესაძლებლობები და მოსახლეობის შემოსავლების დონე - კიდევ უფრო ართულებს შიდა რესურსების მობილიზებას. ამას ემატება ისიც, რომ მსოფლიოში არსებული პოლიტიკური და საომარი ვითარებების გამო საერთაშორისო დონეზე შემცირებულია სამოქალაქო და განვითარების სექტორის დაფინანსება.

აღნიშნული და სხვა გამოწვევების გავლენას ადასტურებს ისიც, რომ ქვემოთ განხილული ყველა სათემო ფონდის ფუნქციონირება კვლევის ანგარიშის მომზადების პერიოდში შეჩერებული იყო.

ამგვარად, თანამედროვე ქართულ კონტექსტში სათემო ფონდები კომპლექსურ გარემოში ფუნქციონირებენ, სადაც საკანონმდებლო რეგულაციები, პოლიტიკური პოლარიზაცია, ნდობის დეფიციტი და ეკონომიკური შეზღუდვები ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული. ასეთ პირობებში მათი მდგრადობა დიდწილად დამოკიდებულია ადაპტაციის უნარზე - ადგილობრივი ფილანტროპიის გაძლიერებაზე, ნდობის აღდგენის სტრატეგიებსა და დაფინანსების მრავალფეროვანი წყაროების განვითარებაზე.

კონკრეტული სათემო ფონდების გამოცდილება

სათემო ფონდი „ლელი“

- ორგანიზაციის ვებ გვერდი
- ორგანიზაციის სოციალური მედიის გვერდი

სათემო ფონდის მდებარეობა: სოფელი ლელიანი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი (კახეთი)

ლელიანი არის ისტორიული სოფელი კახეთში. თვითონ სოფლის მოსახლეობა 2014 წლის აღწერის მიხედვით 578 ადამიანია, ხოლო თემში, სადაც შედის შვიდი სოფელი, მოსახლეობის რაოდენობა 2 168-ია. მოსახლეობის ძირითადი შემოსავალი სოფლის მეურნეობაა, განსაკუთრებით ვენახებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება, რაც კახეთის რეგიონის ეკონომიკურ პროფილს განსაზღვრავს.

ფონდის შექმნის ისტორია

ფონდის ჩამოყალიბება უკავშირდება ადგილობრივ თემში არსებულ პრაქტიკულ საჭიროებებს. ნანა მუშაობდა ცეკვის მასწავლებლად და ამ პროცესში გამოიკვეთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის აუცილებლობა. 2005 წელს, სოფლის 100 წლის იუბილეს ორგანიზებისას, მისთვის ხელმისაწვდომი გახდა ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ქალთა გაძლიერების საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაცია. ამავე პერიოდში, ორგანიზაცია CSRDG-ის მიერ განხორციელებული პროგრამის ფარგლებში, ლაგოდეხში გამართულმა შეხვედრამ გააჩინა შესაძლებლობის განცდა, რაც შემდგომში გადაიზარდა კონკრეტულ ქმედებებში. შედეგად, მოიპოვეს გრანტები როგორც „ღია საზოგადოება – საქართველოსგან“, ასევე CSRDG-ისგან. თავდაპირველად ორგანიზაცია ფუნქციონირებდა სახელწოდებით „ახალგაზრდული ცენტრი ლელი“, ხოლო სამართლებრივად რეგისტრირებულია როგორც „ლელი“. ეს ცვლილება ოფიციალურად 2015 წელს განხორციელდა, როდესაც წესდებაში შევიდა კორექტირება და ორგანიზაციას საბოლოოდ დაერქვა „ლელი“.

იგი მოქმედებს როგორც სათემო ფონდი, რაც გულისხმობს თემის აქტიურ მონაწილეობას საქმიანობაში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის წვლილი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფინანსური შენატანებით.

ორგანიზაციის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გელა თედეევმა, რომელმაც საკუთარი სამეგობრო წრე ჩართო პროცესში. თემის წარმომადგენლებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე შერჩეულ იქნა ლიდერთა ჯგუფი, რის შემდეგაც დაიწყო პროექტების სისტემური შემუშავება. საწყის ეტაპზე პროცესში ჩართული იყო დაახლოებით 30 ადამიანი. გელა საქმიანობაში უფრო მოხალისეობრივად იყო ჩართული, ხოლო ნანასთვის ეს წარმოადგენდა პროფესიულ საქმიანობას. საბოლოოდ, აქტიურ ბირთვად დარჩნენ ნანა და გელა. ორგანიზაციას 2007 წელს შეუერთდა მშვიდობის კორპუსის მოხალისე. 2006 წლის 6 დეკემბერს გაიხსნა ახალგაზრდული ცენტრი, ხოლო 2007 წლის 17 დეკემბერს თვითმმართველობისგან მიღებულ იქნა გრანტი, რომელიც წარმოადგენდა 2006 წლის 6 დეკემბერს დაპირებულ თანადაფინანსებას სივრცის რემონტისთვის.

აღნიშნული თანხა (პირველი 1 000 ლარი) იყო CSRDG-ის თანადაფინანსება და ეს შემთხვევა წარმოადგენდა პრეცედენტს. აღნიშნული მხარდაჭერის მისაღებად საჭირო გახდა ხანგრძლივი, ერთი წლისა და 11 დღის განმავლობაში მიმდინარე კომუნიკაცია თვითმმართველობასთან. ნანას შეფასებით, მიზნის მიღწევაში გადამწყვეტი იყო თანმიმდევრულობა და პრინციპულობა.

ორგანიზაციული სტრუქტურა

ორგანიზაციული სტრუქტურა ფორმალურად შეესაბამება სტანდარტულ მოდელს და მოიცავს საერთო კრებას, გამგეობასა და აღმასრულებელ რგოლს. ფონდის სტატუსის მიღება განპირობებული იყო ქალთა ფონდი „ტასოს“ საგრანტო პროექტში მონაწილეობით. მიუხედავად ფორმალური სტრუქტურის არსებობისა, პრაქტიკაში მისი ფუნქციონირება ნაკლებად ხდება.

საწყის ეტაპზე მიმდინარეობდა სხდომების ოქმების წარმოებაც, თუმცა ამჟამად ეს პრაქტიკა ნაკლებად გამოიყენება. გამგეობის ხუთი წევრიდან სამი იმყოფება მიგრაციაში, რის შედეგადაც აქტიური მართვა ხორციელდება ძირითადად ორი წევრის – ნანასა და გელას მიერ. ორგანიზაცია ფუნქციონირებს როგორც ტიპური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

დაფინანსების სტრუქტურა და ფორმები

საწყის ეტაპზე დაფინანსება თანაბრად ნაწილდებოდა საგრანტო ანუ გარე და ადგილობრივ რესურსებს შორის (50/50), თუმცა შემდგომში მნიშვნელოვნად გაიზარდა დონორული დაფინანსების წილი და მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 80% გახდა.

ორგანიზაციის დაფინანსების ძირითადი წყარო იყო საგრანტო პროგრამები ანუ საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების დაფინანსება. განხილული იყო სოციალური საწარმოს განვითარების შესაძლებლობაც, თუმცა ამ იდეაზე უარი ითქვა, რადგან იგი რესურსებს გადართავდა ფონდის ძირითადი საქმიანობიდან.

მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვან, თანადამფინანსებლის როლს ასრულებდა, როგორც საგრანტო პროექტებში, ისე ადგილობრივ ინიციატივებში. არსებობდა ცალკე ბიუჯეტიც ადგილობრივი ინიციატივებისთვის, რომელიც გამოიყენებოდა როგორც თანადაფინანსებისთვის, ისე დამოუკიდებელი აქტივობებისთვის. კერძო სექტორის მხარდაჭერა ძირითადად სიმბოლური იყო (მაგ., პროდუქტის მიწოდება), რაც განპირობებული იყო ადგილობრივი მცირე ბიზნესების შეზღუდული შემოსავლებით. მსგავსი პრაქტიკა ამჟამად აღარ გამოიყენება.

2026 წელს ორგანიზაციამ მიიღო მცირე ფინანსური მხარდაჭერა ამერიკაში მცხოვრები ემიგრანტებისგან, რომელიც მოხმარდა სპორტული ინვენტარის შეძენას.

სხვა რესურსები

ორგანიზაცია აქტიურად იყენებდა არამონეტარულ რესურსებს, მათ შორის მოხალისეობრივ შრომას. მაგალითად, ტრენერების ანაზღაურება ხშირად ხდებოდა შემცირებული ტარიფით (მაგ., 100 ლარი, 300 ლარის ნაცვლად). მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მშვიდობის კორპუსის მოხალისეებმა - ორგანიზაციამ, მისი არსებობის მანძილზე უმასპინძლა ხუთ უცხოელ მოხალისეს, რომლებიც, როგორც წესი, ორწლიან პერიოდს ატარებდნენ თემში და მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევდნენ მის განვითარებას. მათი ცხოვრების ხარჯს ანაზღაურებს მშვიდობის კორპუსი. შესაბამისად, სათემო ფონდი უსასყიდლოდ იყენებს მათ ცოდნას და გამოცდილებას. მოხალისეებს აქვთ მაღალი პროფესიული კომპეტენცია და

მუშაობის მაღალი მოტივაცია. მათი პროფესიული კომპეტენციები ხშირად აღემატებოდა და ცდებოდა თავდაპირველ მოლოდინებს. შესაბამისად, ფონდი სწავლობდა მათ უნარებს და სთავაზობდა შესაბამის საქმიანობას, რომელიც თავისთავად სასარგებლო იქნებოდა ადგილობრივი თემის განვითარებისთვის.

მოხალისეებს მოყვებოდა მშვიდობის კორპუსის შიდა საგრანტო პროგრამები სხვადასხვა მიმართულებით. თითოეულ მოხალისეს შეეძლო ორგანიზაციაში შემოეტანა ასეთი 6 პროექტის დაფინანსება. მოხალისეები აქტიურად მონაწილეობდნენ ასევე სხვა დონორებისთვის პროექტების წერაში, ფინანსურ და ზოგად მართვაში. პირველი მოხალისე იყო აუდიტორი, რომლის გამოცდილებამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ორგანიზაციული პროცესები, მათ შორის დოკუმენტაციის წარმოება და ფინანსური მართვა.

ფონდის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ თემის წარმომადგენლები, რაც გამოიხატებოდა სხვადასხვა ფორმით, მათ შორის მშობლების მიერ ბავშვების კვების უზრუნველყოფით, ასევე საკვების, სამშენებლო მასალებისა და სხვა რესურსების უსასყიდლოდ გადმოცემით.

ძირითადი საქმიანობები

ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს რამდენიმე ძირითად მიმართულებას:

- **გრანტების გაცემა** - იქმნებოდა საგრანტო კომისიები, რომლებიც მიზნად ისახავდა თემში სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერებას, განსაკუთრებით ახალგაზრდებსა და ქალებში. ამის ერთ-ერთი მაგალითია ქალთა ინიციატივის ფარგლებში ყოფილი პატიმრის მხარდაჭერა, რომელმაც წარმატებული საფეხბურთო გუნდი ჩამოაყალიბა. ასევე პრიორიტეტს წარმოადგენდა ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა.

- თანამშრომლობა ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ ძალადობისა და ქალთა საკითხებზე. ფონდს აქვს როგორც საჭიროების მქონე ადამიანების მომსახურებაში გადამისამართების, ისე ტრენინგების, მაგალითად რვა მუნიციპალიტეტის პოლიციის წარმოამადგენლების გადამზადების გამოცდილება, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებში.

- **ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა და ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერა-განხორციელება**.

დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა

ორგანიზაციის საქმიანობა მაქსიმალურად არის მორგებული ადგილობრივი თემის საჭიროებებსა და კონტექსტზე. გათვალისწინებულია სოფლის სპეციფიკა, სადაც მნიშვნელოვანი საქმიანობაა საქონლის მოვლა, რაც გავლენას ახდენს აქტივობების დაგეგმვაზე. ნანას შეფასებით, დაუშვებელია მხოლოდ დონორის ინტერესებზე დაფუძნებული დაგეგმვა; გადამწყვეტია თემის წევრების ნდობა და ჩართულობა.

ორგანიზაციას საოფისე სივრცე გადაცემული აქვს თვითმმართველობისგან. ხშირია თანამშრომლობა მუნიციპალიტეტთან, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მიმართავს ორგანიზაციას კონკრეტული ტრენინგების განხორციელებისთვის. ასეთ შემთხვევებში ორგანიზაცია უზრუნველყოფს შესაბამისი ტრენერების მოწვევას. განსაკუთრებულ პარტნიორად ამ მიმართულებით სახელდება ორგანიზაცია **„უფლებები საქართველო“**. კერძო პირების მონაწილეობა ძირითადად გამოიხატებოდა მოხალისეობით და მატერიალური რესურსების, მაგალითად სამშენებლო მასალების, შემოწირულობით.

ძირითადი გამოწვევები

ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს დონორთა შემცირება ქვეყანაში, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს ფინანსური რესურსების მოძიების შესაძლებლობას. პრობლემურია ასევე ადგილობრივ დონეზე კვალიფიციური კადრების მოძიება; დედაქალაქიდან სპეციალისტების მოწვევა დაკავშირებულია მაღალ ხარჯებთან. ამ გამოწვევის საპასუხოდ, ამერიკელი მოხალისის დახმარებით დამყარდა კავშირები პროფესიული განათლების სპეციალისტებთან, რომლებმაც უზრუნველყვეს სხვადასხვა მიმართულებით პროფესიული ტრენინგების ჩატარება.

ამჟამად გამოწვევას წარმოადგენს მოსახლეობის სიფრთხილე და ნაკლები ჩართულობა, რაც დაკავშირებულია არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტთან. განსაკუთრებით საჯარო სექტორში დასაქმებული პირები ერიდებიან აქტივობებში მონაწილეობას და ზოგიერთ შემთხვევაში ითხოვენ, რომ არ დაფიქსირდნენ საჯარო მასალებში და ფოტოებში.

დაფინანსებული პროექტის მაგალითი:

სათემო ფონდმა მხარი დაუჭირა კაბალის თემის[11] ახალგაზრდების ინიციატივას, რომელიც განხორციელდა 2011 წლის საგრანტო პროგრამის ფარგლებში, ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფებისთვის გამოცხადებული კონკურსის გზით. პროექტის განხორციელება უკავშირდებოდა მნიშვნელოვან გამოწვევებს, ვინაიდან თემში საინტეგრაციო აქტივობების დანერგვა სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამ მიზნით, ახალგაზრდები თავდაპირველად ჩაერთვნენ სასწავლო აქტივობებში, მათ შორის პროექტის წერისა და მართვის უნარების განვითარებაში, რის შემდეგაც მიიღეს მცირე გრანტი.

პროექტის ფარგლებში, თანადაფინანსებით, კეთილმოეწყო სკოლის ეზო, რამაც გაზარდა ახალგაზრდების მოტივაცია და ჩართულობა. შედეგად, ინიციატივამ მოიცვა უფრო ფართო ჯგუფი და ხელი შეუწყო სხვა ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობას. ამასთან, გაიზარდა თემის ნდობა, რაც გამოიხატა მშობლების მზაობაში, მიეცათ ბავშვებისთვის შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ რაჭაში დაგეგმილ ბანაკში. აღნიშნულმა პროექტმა მნიშვნელოვნად შეამცირა არსებული ბარიერები და შექმნა საფუძველი თემთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად. მომდევნო წელს, სკოლასთან პარტნიორობით, ახალგაზრდებმა საგრანტო პროგრამის ფარგლებში მიღებული დაფინანსებით საჯარო სკოლაში შექმნეს ახალგაზრდული სივრცე. პროექტმა უზრუნველყო ფართის ტექნიკური აღჭურვა, ხოლო სარემონტო სამუშაოები განხორციელდა ახალგაზრდების უშუალო მონაწილეობით.

ორივე პროექტმა ხელი შეუწყო კაბალის თემის სხვა სკოლების დაინტერესებას და გააძლიერა ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პრაქტიკა.

---

[11] კაბალის თემი - მდებარეობს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში და მოიცავს რამდენიმე სოფელს (კაბალი, განჯალა, უზუნთალა, ყარაჯალა). 2014 წლის აღწერის მიხედვით თემის ცენტრში, სოფელ კაბალში, ცხოვრობდა დაახლოებით 3,238 ადამიანი, რომელთა 99%-ზე მეტი ეთნიკური აზერბაიჯანელია.

სათემო ფონდი „ერთიანობა პოზიტიური ცვლილებებისთვის“

- **ორგანიზაციის სოციალური მედიის გვერდი**

სათემო ფონდის მდებარეობა: სოფელი ასკანა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (გურია)

ასკანა მცირე ზომის სოფელია გურიაში, სადაც მოსახლეობა დაახლოებით 424 ადამიანია (ზოგიერთ წყაროში 687). ასკანას თემში შედის სამი სოფელი. თემის მოსახლეობის რაოდენობა, 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით 1011 ადამიანი. ძირითადი შემოსავალი სოფლის მეურნეობასა და ბენტონიტური თიხის საბადოებზეა დამოკიდებული, რაც სოფლის ეკონომიკურ პროფილს განსაზღვრავს (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2025).

ფონდის შექმნის ისტორია

ორგანიზაცია ოფიციალურად დაფუძნდა 2023 წლის დასაწყისში, თუმცა მისი საქმიანობა 2020 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც ჩამოყალიბდა საინიციატივო სათემო ჯგუფი. აღნიშნულ ეტაპზე ჯგუფი ორგანიზაციად არ იყო რეგისტრირებული. ინიციატივის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა სკოლის ბაზაზე ციფრული სივრცის შექმნა ქრაუდფანდინგის[12] გზით, რის შემდეგაც გაერთიანდნენ აქტიური მასწავლებლები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ მსგავსი ტიპის საქმიანობებით.

[12] ქრაუდფანდინგი (Crowdfunding), ანუ სახალხო დაფინანსება, არის იდეის, პროექტის ან სტარტაპის დასაფინანსებლად ბევრი ადამიანისგან მცირე თანხების, ხშირად ინტერნეტის საშუალებით, შეგროვების მეთოდი.

საწყის ეტაპზე საინიციატივო ჯგუფი მუშაობდა დამატებითი შესაძლებლობებისა და რესურსების მოძიებაზე, განხორციელდა რამდენიმე მცირე პროექტიც (დაახლოებით 2–3 ინიციატივა), რის შემდეგაც დადგა ორგანიზაციის ინსტიტუციონალიზაციის საჭიროება, მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით.

შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სათემო ფონდის ორგანიზაციად რეგისტრაციის შესახებ. ფონდის შექმნის და რეგისტრაციის პროცესში ერთ-ერთი ძირითადი ინიციატორი - თამაზი (რესპონდენტი) - იმ დროისთვის არასრულწლოვანი იყო და შესაბამისად, ოფიციალურად არც კი ფიგურირებს დამფუძნებელთა შორის, თუმცა პრაქტიკულად ის წამყვან როლს ასრულებდა როგორც პროექტების განხორციელებაში, ისე ორგანიზაციულ მართვაში. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, არსებული პოლიტიკურ-სოციალური და საკანონმდებლო გარემოებების გათვალისწინებით, ორგანიზაციის ფუნქციონირება სამწუხაროდ შეჩერდა.

ორგანიზაციული სტრუქტურა

ორგანიზაციული სტრუქტურა დაფუძნებულია მაქსიმალური მონაწილეობისა და მმართველ რგოლში როტაციის პრინციპებზე. აღმასრულებელი დირექტორი პასუხისმგებელია მიმდინარე საქმიანობის მართვაზე, გადაწყვეტილებების მიღებასა და ორგანიზაციის წარმომადგენლობაზე. სამეთვალყურეო საბჭო იკრიბება წელიწადში ერთხელ, განიხილავს განხორციელებულ საქმიანობას და იღებს სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს, მათ შორის აქვს დირექტორის გადაყენების უფლებამოსილებაც.

ორგანიზაციას ასევე ჰყავს დამფუძნებელთა კრება, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ლიკვიდაცია ან სხვა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები. ამასთან, ორგანიზაცია არის წევრობაზე დაფუძნებული, რის შესაბამისადაც წევრთა საერთო კრებასაც გააჩნია გარკვეული გადაწყვეტილებების მიღების მანდატი.

დაფინანსების სტრუქტურა და ფორმები

ფონდის განვითარების საწყის ეტაპზე კლასიკური სათემო ფონდის მოდელის დანერგვა რთულად მიიჩნეოდა, რის გამოც პრიორიტეტად განისაზღვრა მოკლევადიან პერიოდში კონკრეტული შედეგების მიღწევა. ამ მიზნით ძირითადი აქცენტი გაკეთდა დონორული დაფინანსების მოძიებაზე, პარალელურად კი მიმდინარეობდა სახალხო დაფინანსების (crowdfunding) მცდელობებიც კონკრეტული ინიციატივებისთვის.

სტრატეგიული ხედვა ითვალისწინებდა ნდობის დაგროვების შემდეგ, ზოგადად ფონდის მხარდაჭერის მობილიზებას, თუმცა საწყის ეტაპზე აქცენტი კეთდებოდა კონკრეტული პროექტების დაფინანსებაზე. აღნიშნული მიდგომა ეფუძნებოდა კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ფონდი აღიქმებოდა როგორც თემის „საერთო ყულაბა“. ამ მოდელის ფარგლებში, მოკლე პერიოდში - ფონდის დაფუძნებიდან რამდენიმე თვეში - შესაძლებელი გახდა დაახლოებით 5000 ლარის მობილიზება, თუმცა აღნიშნული რესურსი არასაკმარისი აღმოჩნდა დაგეგმილი ინიციატივების სრულად განსახორციელებლად.

დროთა განმავლობაში, სამოქალაქო სექტორის მიმართ ნდობის შემცირებამ მნიშვნელოვნად გაართულა სახალხო დაფინანსების მოზიდვა.

სათემო ფონდის ჩამოყალიბებამდე, საინიციატივო ჯგუფის ფარგლებში, ციფრული სივრცის შექმნისა და განვითარებისთვის, თემისა და ბიზნეს სექტორის ჩართულობით, ჯამურად მობილიზდა დაახლოებით 20,000 ლარის ეკვივალენტი (ფინანსური და ტექნიკური რესურსების სახით), მათ შორის ტექნიკის შემოწირულობები. აღნიშნული წარმატება მნიშვნელოვანი მოტივატორი გახდა ორგანიზაციის ინსტიტუციური განვითარებისათვის. ამავე რესურსებით განხორციელდა რამდენიმე მცირე სოციალური ინიციატივაც.

მსხვილი ბიზნესის ჩართულობის მცდელობები ნაკლებად წარმატებული იყო, მაშინ როდესაც მცირე ბიზნესის წარმომადგენლები უფრო აქტიურად ერთვებოდნენ მხარდაჭერის პროცესში.

სხვა რესურსები

ფინანსურ რესურსებთან ერთად მნიშვნელოვანი იყო არამონეტარული კონტრიბუციები, მათ შორის მოხალისეობრივი შრომა და მატერიალური მხარდაჭერა.

თემის სხვადასხვა ჯგუფი - ახალგაზრდები, უფროსი თაობის წარმომადგენლები და სხვები - აქტიურად ერთვებოდნენ ინიციატივებში, სთავაზობდნენ ორგანიზაციას კონკრეტულ რესურსებსა და დახმარებას. შედეგად ჩამოყალიბდა თემის ჩართულობის უწყვეტი მექანიზმი. პრაქტიკაში ფიქსირდებოდა შემთხვევები, როდესაც ინფრასტრუქტურული სამუშაოებიც კი ხორციელდებოდა უსასყიდლოდ (მაგალითად, ელექტროობის გაყვანა ციფრულ სივრცეში), რაც მიუთითებს თემის ნდობაზე და აქტიურ თანამონაწილეობაზე.

ძირითადი საქმიანობები

- **ფილანტროპიის კულტურის განვითარება თემში**, რაც გულისხმობდა შემოწირულობების მობილიზებასა და მათი მიზნობრივად განაწილებას სხვადასხვა ინიციატივისთვის;
- **ქალებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერა** - რამდენიმე სოფლის (ასკანა, მზიანი, მთისპირი, ცხემლისხიდი) სკოლასთან გაფორმდა მემორანდუმები, რომლებიც მიზნად ისახავდა დემოკრატიული ღირებულებების პოპულარიზაციას, როგორც მასწავლებლებში, ისე მოსწავლეებში. ასევე მნიშვნელოვანი იყო არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერება, მათ შორის კლიმატის ცვლილებისა და კატასტროფებისადმი მზადყოფნის თემებზე მუშაობა.
- **თემის გაძლიერება და განვითარება** - აქცენტი კეთდებოდა მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური აქტიურობის ზრდაზე. მაგალითად, ეკონომკური აქტიურობის გაზრდის მიზნით ეწყობოდა შეხვედრები და ვიზიტები ადგილობრივ მეწარმეებთან, რაც ხელს უწყობდა გამოცდილების გაზიარებასა და ახალი იდეების გენერირებას.

დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა

ორგანიზაციის სტრატეგიული დოკუმენტების მიხედვით, ძირითადი დაინტერესებული მხარეები იყვნენ თემის წევრები, ადგილობრივი სამოქალაქო და მედია სექტორი, თვითმმართველობა, სამოქალაქო ორგანიზაციები და ბიზნესი. ამ ჯგუფებთან თანამშრომლობა განიხილებოდა როგორც საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

თემის წევრებთან კომუნიკაცია ხორციელდებოდა როგორც უშუალო შეხვედრების, ისე ონლაინ არხების მეშვეობით - ვებგვერდზე თავსდებოდა პრესრელიზები. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გაზრდის მიზნით, სოციალურ ქსელებში ვრცელდებოდა ინფორმაცია კამპანიებისა და აქტივობების შესახებ, ასევე გამოიყენებოდა ვიზუალური საშუალებები (პოსტერები, ბანერები).

სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა ასევე ხორციელდებოდა ელექტრონული კომუნიკაციისა და პირისპირ შეხვედრების ფორმატში. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ფინანსურ მხარდაჭერას არ უზრუნველყოფდა, აღინიშნებოდა თანამშრომლობის მზადყოფნა და მათი წარმომადგენლები ესწრებოდნენ ორგანიზაციის ღონისძიებებს. დამატებით, გაფორმებული იყო თანამშრომლობის მემორანდუმები სამ სკოლასთან.

ძირითადი გამოწვევები

ორგანიზაციის წინაშე არსებულ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ნდობის შემცირება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც საზოგადოების მონაწილეობაზე, ისე ფინანსური რესურსების მობილიზებაზე. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით გამწვავდა უარყოფითი საჯარო დისკურსის ფონზე.

თემისთვის ცნობილი იყო, რომ ორგანიზაცია თანამშრომლობდა სხვადასხვა დონორთან და მისი საქმიანობა უკავშირდებოდა ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებას. აღნიშნული საქმიანობის მიმართ უარყოფითმა დისკურსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მხარდაჭერის შემცირებაზე.

დაფინანსებული პროექტის მაგალითი

სათემო ფონდმა მხარი დაუჭირა ცხემლისხიდის სკოლის ბიბლიოთეკის სივრცის განახლების და ფუნქციური გაფართოების ინიციატივას. პროექტის შედეგად სკოლასა და თემში შეიქმნა გარემო, სადაც შესაძლებელი გახდა წიგნებითა და სხვა ინვენტარით სარგებლობა. ინიციატივა განხორციელდა საგრანტო პროგრამის ფარგლებში, კონკურსის გზით, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სკოლები. აღნიშნული მექანიზმი ასევე ემსახურებოდა ახალგაზრდული ინიციატივების წახალისებას. პროექტის ფარგლებში განხორციელდა სივრცის დამატებითი რესურსებითა და ტექნიკით აღჭურვა.

2025 წლის ზაფხულში დასრულდა მიმდინარე დაფინანსებული პროექტები, რის შემდეგაც ორგანიზაციის საქმიანობის გაგრძელების მიმართ მოტივაცია მნიშვნელოვნად შემცირდა.

სათემო ფონდი „ერთად თელავისთვის“

- ორგანიზაციის სოციალური მედიის გვერდი

სათემო ფონდის მდებარეობა: ქალაქი თელავი, თელავის მუნიციპალიტეტი (კახეთი)

თელავი არის კახეთის ადმინისტრაციული ცენტრი, სადაც მოსახლეობა 2024 წლის საყოველთაო აღწერის წინასწარი მონაცემების მიხედვით 16,800-მდეა (2024), ხოლო საქსტატის ყოველწლიურად განახლებადი მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით კი 19,875 (2025). ძირითადი შემოსავალი სოფლის მეურნეობასა და ღვინის წარმოებაზეა დამოკიდებული, ხოლო ტურიზმი დამატებით ეკონომიკურ რესურსს წარმოადგენს.

ფონდის შექმნის ისტორია

სათემო ფონდის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა მოსამზადებელი ეტაპი, რომელიც დაიწყო 2022 წელს და მოიცავდა ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებსა და ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ აქტივობებს. ლეილა პროცესს 2023 წელს შეუერთდა. მიუხედავად იმისა, რომ სათემო ფონდის იდეა უკვე არსებობდა, მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ოფიციალური სახე. განხორციელდა მიზანშეწონილობის კვლევა, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა ფილანტროპიულ საქმიანობაში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის მზადყოფნა.

ამ ეტაპზე უკვე არსებობდა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც დაიწყო ფონდის იდეის პოპულარიზაცია. საწყის ეტაპზე ჯგუფი შედგებოდა ხუთი წევრისგან, თუმცა დროთა განმავლობაში გაიზარდა და მოიცვა დამატებითი მონაწილეები და მოხალისეები. პირველი პროექტები ფინანსდებოდა სწორედ საინიციატივო ჯგუფის სახელით.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინიციატივას წარმოადგენდა „**იდეების აუქციონი**“ [13], რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობისგან თემის განვითარებისკენ მიმართული იდეების შეგროვებას და მათთვის მხარდაჭერის მობილიზებას. წარმოდგენილი ინიციატივები უნდა დაკავშირებოდა ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა გარემოს დაცვა, ახალგაზრდების მხარდაჭერა და ზოგადად ადგილობრივი თემის გაძლიერება. ჯამში შემოვიდა 10 იდეა, საიდანაც უნდა შერჩეულიყო სამი.

გადაწყვეტილების მიღების პროცესის მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, საინიციატივო ჯგუფმა თავი შეიკავა უშუალოდ შერჩევაში მონაწილეობისგან და შექმნა დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმი - შეირჩა 10 ადამიანი, რომლებიც მოხალისეობრივად ჩაერთნენ და იდეები შეაფასეს სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით ხუთბალიანი სისტემით (სასარგებლოობა, განხორციელებადობა, თემისთვის მნიშვნელოვნება და სხვ.).

შემდგომ გაიმართა საჯარო აუქციონი, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას შეეძლო ფინანსური წვლილის შეტანა მათთვის სასურველი პროექტების მხარდასაჭერად. შენატანები მერყეობდა მცირე თანხებიდან (10 ლარი) შედარებით მსხვილ დონაციებამდე (1000 ლარი და მეტი). ასევე მნიშვნელოვანი იყო არამონეტარული კონტრიბუციები - მოსახლეობამ წარმოადგინა ხელნაკეთი ნივთები, რომლებიც გაიყიდა და მიღებული თანხა მიიმართა პროექტების დაფინანსებაზე. თითოეულ დონორს ჰქონდა შესაძლებლობა თავად განესაზღვრა, რომელი ინიციატივისთვის იქნებოდა გამოყენებული მისი შენატანი.

აუქციონის ორგანიზებას ფინანსურად და ინტელექტუალურად მხარს უჭერდა CSRDG, რომელმაც დანერგა რესურსების მოზიდვის აღნიშნული მეთოდი საქართველოში. თავად პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები-მოხალისეები. რიგი სერვისები განხორციელდა უსასყიდლოდ - მაგალითად, ფოტო და ვიდეოგადაღება ადგილობრივმა ფოტოგრაფმა უზრუნველყო. აღნიშნული საქმიანობა მთლიანად განხორციელდა საინიციატივო ჯგუფის სახელით. ორგანიზაცია ოფიციალურად დარეგისტრირდა 2024 წლის იანვარში.

---

[13] „**იდეების აუქციონი**“, სახალხო დაფინანსების ცნობილი, საერთაშორისო მეთოდია, რომელიც საინიციატივო ჯგუფებს/მცირე ზომის ორგანიზაციებს საკუთარი პროექტების პოტენციურ დონორებთან წარდგენასა და რესურსების ცოცხალ რეჟიმში შეგროვებაში ეხმარება.

ორგანიზაციული სტრუქტურა

ორგანიზაცია რეგისტრირებულია როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. სტრუქტურულად გათვალისწინებულია ადმინისტრაციული დირექტორის პოზიცია, რომელიც პასუხისმგებელია ოპერაციულ მართვაზე. ორგანიზაციას ჰყავს გამგეობა, რომლის ჩამოყალიბება ორი ძირითადი მიზნის გათვალისწინებით განხორციელდა: მმართველობით პროცესებში ფართო ჩართულობის უზრუნველყოფა და სტრატეგიულ საკითხებზე ერთობლივი მუშაობა.

გამგეობა დაკომპლექტდა როგორც საინიციატივო ჯგუფის, ისე შეფასების პროცესში ჩართული პირებისგან - 10 შემფასებლიდან , ექვსი წევრი შევიდა გამგეობაში, ხოლო ხუთი წარმოადგენდა თავდაპირველ ჯგუფს (სულ 11 წევრი). გამგეობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც ზედამხედველობს ადმინისტრაციული დირექტორის საქმიანობას. დირექტორისა და გამგეობის თავმჯდომარის არჩევა ხდება სამი წლის ვადით. თანამშრომლების შერჩევა და დასაქმება წარმოადგენს დირექტორის კომპეტენციას.

დაფინანსების სტრუქტურა და ფორმები

დაფინანსება მოიცავდა ორ ძირითად კომპონენტს:

- ორგანიზაციის მუშაობისთვის საჭირო ადმინისტრაციული რესურსი ძირითადად უზრუნველყოფილი იყო დონორის - CSRDG-ის - მხარდაჭერით. ამასთან, არსებობდა წვდომა სხვა დონორულ შესაძლებლობებზეც, რაც მიზნად ისახავდა ორგანიზაციის განვითარებას.

- პროგრამული და საქმიანობითი მიმართულებებისთვის ფინანსები ძირითადად მობილიზდებოდა ადგილობრივი მოსახლეობისგან. იგეგმებოდა მასშტაბური სახალხო დაფინანსების კამპანიის განხორციელება 2024 წლის ზაფხულში, თუმცა საკანონმდებლო ცვლილებების გამო მისი ჩატარება ვერ მოხერხდა და საქმიანობაც შეჩერდა.

ორგანიზაცია ასევე გეგმავდა ადგილობრივი დონორების ქსელის ჩამოყალიბებას, რომლებიც რეგულარულად განახორციელებდნენ მცირე შენატანებს ფონდის ანგარიშზე. სანაცვლოდ გათვალისწინებული იყო მათი საქმიანობის პოპულარიზაცია, იმ პირობით, რომ ეს შესაბამისობაში იქნებოდა სათემო ფონდის მისიასთან და ღირებულებებთან. ამ მოდელში უკვე ჩართული იყო ხუთი დონორი.

სხვა რესურსები

ორგანიზაციის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მოხალისეობრივ და მატერიალურ მხარდაჭერას. იდეების აუქციონის ორგანიზებაში ჩართული მოხალისეები არა მხოლოდ უშუალოდ ეხმარებოდნენ პროცესს, არამედ მონაწილეობის მაგალითს აძლევდნენ სხვებსაც.

არსებობდა კონკრეტული შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი რესურსები სრულად ან ნაწილობრივ უსასყიდლოდ იქნა გამოყენებული. მაგალითად, შეხვედრების ჩასატარებლად საჭირო სივრცე გამოყო ერთ-ერთმა ადგილობრივმა ბიზნესმა (სასტუმრო „ზუზუმბო“), რომლის წარმომადგენელიც ფონდის გამგეობის წევრი იყო. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა შესაძლებლობა აღნიშნული შეხვედრისთვის კვების მომსახურების სხვაგან შეძენისა, ორგანიზაციამ ითანამშრომლა იმავე სივრცესთან, რაც ასევე წარმოადგენდა ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერის მაგალითს. მსგავსი პრაქტიკა აქტიურად გამოიყენებოდა ფილანტროპიის იდეის გასავრცელებლად.

ძირითადი საქმიანობები

- მოხალისეობისა და ფილანტროპიის კულტურის პოპულარიზაცია;
- ადგილობრივ დონეზე ფინანსური რესურსების მობილიზება ისეთი მიმართულებებისთვის, როგორიცაა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ახალგაზრდების განვითარება, აქტიური მოქალაქეობის მხარდაჭერა და გარემოს დაცვა.

დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა

ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობდა როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან, ისე თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. მოსახლეობასთან შეხვედრებისას ხდებოდა მათი საჭიროებებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირება - მაგალითად, ახალგაზრდები ხშირად მიუთითებდნენ შეხვედრებისა და პროექტების განვითარებისათვის საჭირო სივრცის დეფიციტზე. აღნიშნული ინფორმაცია სისტემატურად მიეწოდებოდა ადგილობრივ ხელისუფლებას.

ორგანიზაციის ხედვა ეფუძნებოდა სამ სექტორს შორის თანამშრომლობას - მოსახლეობა, თვითმმართველობა და ბიზნესი. ამ პროცესში ფონდი ასრულებდა შუამავლის როლს და ცდილობდა ეპოვნა თითოეულ სექტორთან შესაბამისი კომუნიკაციის ფორმა. ბიზნესთან ურთიერთობისას აქცენტი კეთდებოდა მათ სოციალურ პასუხისმგებლობაზე, როგორც ადგილობრივი თემის წევრებზე. ამ მიმართულებით გამოყენებული იყო საერთაშორისო გამოცდილებაც, მაგალითად, იგივე სლოვაკეთის პრაქტიკა.

განიხილებოდა ბიზნესის ჩართულობის მოდელი, რომლის მიხედვითაც მომსახურების გაწევისას შემოსავლის ნაწილი უნდა ჩარიცხულიყო სათემო ფონდის ანგარიშზე, ხოლო ფონდი უზრუნველყოფდა ამ ბიზნესის პოპულარიზაციას. თუმცა, ოპერირების შეჩერების გამო, აღნიშნული ინიციატივის პრაქტიკაში განხორციელება ვერ მოხერხდა.

ძირითადი გამოწვევები

ორგანიზაციის საქმიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეზღუდა სამოქალაქო სექტორის დამოუკიდებელი ფუნქციონირების შესაძლებლობა. დამატებით გამოწვევას წარმოადგენდა სექტორის მიმართ გავრცელებული სტიგმა, რის შედეგადაც შემცირდა საზოგადოების ნდობა.

თუნდაც ფინანსური რესურსების არსებობის პირობებში, ბოლო დროს საზოგადოებაში გავრცელებულმა სკეპტიციზმმა მნიშვნელოვნად შეზღუდა ჩართულობა. გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ მსგავსი ორგანიზაციები ემსახურებიან გარე ინტერესებს, რაც უარყოფითად აისახა საქმიანობის აღქმაზე. ამასთან, პრობლემად რჩებოდა ინფორმაციის ნაკლებობა სათემო ფილანტროპიის შესახებ - კერძოდ, იმ იდეის გააზრება, რომ თემის განვითარებაში თითოეულ ადამიანს შეუძლია საკუთარი რესურსის (დრო, ფინანსები, გამოცდილება) შეტანა. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო საინფორმაციო საქმიანობის უწყვეტობა.

დაფინანსებული პროექტის მაგალითი

პროექტი „გარემარე“ წარმოადგენდა გარემოსდაცვით ინიციატივას, რომელმაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მოიპოვა ადგილობრივი მოსახლეობისგან. მისი მიზანი იყო ახალგაზრდებში, განსაკუთრებით სკოლის მოსწავლეებში, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა.

პროექტში ჩართული იყო 200-ზე მეტი მოსწავლე და 20 მასწავლებელი კახეთის 23 სკოლიდან. განხორციელებამდე სკოლებში ჩატარდა მოსამზადებელი შეხვედრები, რის შემდეგაც მონაწილეები გაემგზავრნენ სხვადასხვა ლოკაციაზე (სულ 10 გეოგრაფიული ადგილი), სადაც გაეცნენ ადგილობრივ ისტორიულ და ბუნებრივ ობიექტებს. მაგალითად, ვიზიტები განხორციელდა კისისხევში, სადაც მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია როგორც კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე, ისე მისი დაცვის პრაქტიკულ გზებზე.

პროექტის შედეგად გაიზარდა მოსწავლეთა ცნობიერება და ინტერესიც საკუთარი რეგიონის ისტორიული და ბუნებრივი რესურსების მიმართ. დაფინანსება, დაახლოებით 2000 ლარის ოდენობით, მიღებული იყო იდეების აუქციონის გზით და ძირითადად მოხმარდა ტრანსპორტირების უზრუნველყოფას, ბინოკლების შეძენასა და ვიდეო-დოკუმენტირებას **(იხ. ვიდეორგოლის ბმული).**

ევროპული და ქართული სათემო ფონდების შედარებითი ანალიზი

სათემო ფონდების მოდელი სხვადასხვა ეროვნულ კონტექსტში განსხვავებული ფორმით ჩამოყალიბდა, თუმცა მისი არსებითი მიზანი - ადგილობრივი რესურსების მობილიზება და თემის საჭიროებებზე რეაგირება - უცვლელი რჩება. ევროპის ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, სლოვაკეთი და რუმინეთი, სათემო ფონდები უკვე მეტ-ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულია: გერმანიაში ისინი ინტეგრირებულნი არიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სარგებლობენ მაღალი ნდობით; სლოვაკეთში პოსტ-სოციალისტური ტრანსფორმაციის პირობებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების ინსტრუმენტად ჩამოყალიბდნენ; ხოლო რუმინეთში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში შეიქმნა სწრაფად მზარდი ქსელი, რომელიც აერთიანებს მოქალაქეებს, ბიზნესსა და დონორებს. საქართველოს შემთხვევაში აღნიშნული მოდელი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია და მისი განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პოლიტიკურ, სამართლებრივ და ფინანსურ გარემო პირობებზე, ასევე ადგილობრივი ნდობის ხარისხსა და დონორული მხარდაჭერის სტაბილურობაზე.

სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო

გერმანიასა და სლოვაკეთში სათემო ფონდები ფუნქციონირებენ შედარებით მკაფიო სამართლებრივ ჩარჩოში, რაც მათ ინსტიტუციურ სტაბილურობასა და განვითარების შესაძლებლობებს განაპირობებს. გერმანიაში სათემო ფონდებს მინიჭებული აქვთ საზოგადოებრივი სარგებლობის სტატუსი და სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დონორული რესურსების მოზიდვასა და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას. სლოვაკეთში კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს 2%-იანი საგადასახადო დანიშნულების მექანიზმი, რომელიც მოქალაქეებსა და კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი გადასახადის ნაწილი მიმართონ არასამთავრობო/საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებას და ადგილობრივი ინიციატივების მხარდაჭერას.

საქართველოში „სათემო ფონდის“ ცნება კანონმდებლობით არ არის ცალკე განსაზღვრული. მსგავსი ორგანიზაციები, როგორც წესი, რეგისტრირდებიან ააიპ-ის სტატუსით. ეს მოქნილობას ქმნის, თუმცა არ უზრუნველყოფს სათემო

ფონდებისთვის სპეციალურ ინსტიტუციურ მხარდაჭერას ან საგადასახადო სტიმულებს. დამატებით, ბოლო წლებში უცხოურ დაფინანსებასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა მნიშვნელოვნად გაართულა მათი ფუნქციონირება.

დაფინანსების მოდელი

დაფინანსების მდგრადობის თვალსაზრისით მკაფიოდ იკვეთება მნიშვნელოვანი განსხვავებები. გერმანიაში სათემო ფონდები დიდწილად ეფუძნება ენდოუმენტებს - გრძელვადიან კაპიტალს, რომლის მიერ გენერირებული შემოსავალი ადგილობრივ პროექტებს ხმარდება. აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს ფინანსურ სტაბილურობას და ამცირებს ერთჯერად გრანტებზე დამოკიდებულებას.

სლოვაკეთსა და რუმინეთში დაფინანსების წყაროები უფრო მრავალფეროვანია: ადგილობრივი დონაციები, ბიზნესის მხარდაჭერა, საგადასახადო მექანიზმები და საერთაშორისო პარტნიორობა ერთობლივად ქმნის ფინანსურ საფუძველს. საქართველოს შემთხვევაში კი სათემო ფონდები კვლავ მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საერთაშორისო დონორებზე; მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ადგილობრივი ფილანტროპიის, მცირე დონაციებისა და ბიზნესის მხარდაჭერის მაგალითები, ისინი ჯერ კიდევ არასაკმარისია ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ენდოუმენტზე დაფუძნებული მოდელი კი პრაქტიკულად არ არის განვითარებული.

ადგილობრივი თემის ჩართულობა

ევროპული მოდელების ერთ-ერთი უმთავრესი ძლიერი მხარე თემის სისტემური მონაწილეობაა: მოქალაქეები არა მხოლოდ ბენეფიციარებად, არამედ დონორებად, მოხალისეებად, მმართველობის პროცესის მონაწილეებად და ინიციატივების ავტორებადაც გვევლინებიან. გერმანიაში აღნიშნული ჩართულობა განსაკუთრებით ინსტიტუციონალიზებულია და მკაფიო სამართლებრივ-ინსტიტუციურ ჩარჩოშია მოქცეული, მაშინ როდესაც სლოვაკეთსა და რუმინეთში იგი უფრო მეტად უკავშირდება სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერებასა და დემოკრატიული კულტურის განვითარებას. მოსახლეობა მონაწილეობს საკუთარი დროის, შრომის, მატერიალური რესურსების ან მცირე ფინანსური შენატანების გზით, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ფონდების საქმიანობას, თუმცა ამ ეტაპზე

ჯერ კიდევ არ არის ინსტიტუციონალიზებული. სამოქალაქო სექტორისადმი ნდობის შემცირებამ და პოლიტიკური კონტექსტის გამწვავებამ საქართველოში თემის ჩართულობის ინტენსივობა შესამჩნევად შეასუსტა.

ცენტრალურ და მუნიციპალურ მთავრობასთან ურთიერთობა

გერმანიაში სახელმწიფოსა და სათემო ფონდებს შორის ურთიერთობა ეფუძნება ავტონომიის პატივისცემასა და თანამშრომლობის პრინციპს: სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლებრივ და საგადასახადო ჩარჩოს, ხოლო ფონდები ინარჩუნებენ ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას. მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა ხშირად გამოიხატება პროექტების თანადაფინანსებაში, ინფრასტრუქტურისა და სივრცეების გაზიარებაში, ასევე ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებაში. საქართველოში მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მაგალითები არსებობს, თუმცა ისინი იშვიათად არის ინსტიტუციონალიზებული და ხშირად დამოკიდებულია პირად კავშირებზე ან კონკრეტული მუნიციპალიტეტის კეთილგანწყობაზე. ბოლო წლებში გატარებული სამთავრობო პოლიტიკა ნეგატიურად აისახა სექტორის მიმართ ნდობასა და თანამშრომლობის შესაძლებლობებზე.

ძირითადი გამოწვევები

ევროპის ქვეყნებში სათემო ფონდების წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები მოიცავს დონორთა პრიორიტეტებსა და თემის საჭიროებებს შორის ბალანსის დაცვას, ინკლუზიური მმართველობის უზრუნველყოფას, სოციალური გავლენის ეფექტიან გაზომვასა და ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას. საქართველოს შემთხვევაში აღნიშნულ გამოწვევებს ემატება უფრო სერიოზული სისტემური ფაქტორები: საკანონმდებლო შეზღუდვები, შემცირებულ უცხოურ დაფინანსებაზე მაღალი დამოკიდებულება, ნეგატიური საჯარო დისკურსი, საზოგადოების ნდობის შემცირება, ადგილობრივი ფილანტროპიის სისუსტე და ეკონომიკური რესურსების სიმწირე, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს სათემო ფონდების ინსტიტუციურ განვითარებასა და მდგრადობას.

დასკვნა

შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ სათემო ფონდების წარმატებისთვის აუცილებელია სამი ძირითადი პირობა: **საზოგადოებრივი ნდობა, მდგრადი დაფინანსება და ხელსაყრელი სამართლებრივი გარემო**. ევროპაში, საქართველოსგან განსხვავებით ეს პირობები მეტწილად ჩამოყალიბებულია.

საქართველოსთვის მთავარი ამოცანა არ არის მხოლოდ სათემო ფონდების რაოდენობის გაზრდა; უფრო მნიშვნელოვანია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა, ბიზნესი, თვითმმართველობა და სამოქალაქო სექტორი შეძლებენ უსაფრთხოდ, ნდობაზე დაფუძნებულად და გრძელვადიანად თანამშრომლობას.

საერთო ჯამში, საქართველოში სათემო ფონდებს აქვთ მნიშვნელოვანი პოტენციალი, მაგრამ ევროპულ მოდელებთან შედარებით ისინი ჯერ კიდევ მოწყვლად, ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულ და გარე დაფინანსებაზე დამოკიდებულ ორგანიზაციებად რჩებიან.

ბიბლიოგრაფია

Adloff, F. (2015, October). Foundations and the charisma of giving: A historical sociology of philanthropy in Germany and the United States. ***VOLUNTAS: International Journal of Voluntary and Nonprofit Organizations., 26***(5), 2002-2022. doi:**https://doi.org/10.1007/s11266-014-9508-4**

Anheier, H. K., & Leat, D. (2006). Creative philanthropy: ***Toward a new philanthropy for the twenty-first century***. Routledge.

Anheier, H., & Daly, S. (2007). ***The Politics of Foundations***. Routledge.

Asociácia komunitných nadácií Slovenska. (2025). ***Homepage***. Retrieved from Asociácia komunitných nadácií Slovenska Web Site: **https://asociaciakns.sk/**

Azevedo, L., Bell, A., & Medina, P. (2022, Spring). Community foundations provide collaborative responses and local leadership in midst of COVID-19. ***Nonprofit Manag Leadersh***, 475-485.

Buergerstiftung Guetersloh. (2024). ***Finanzen***. Retrieved from Buergerstiftung Guetersloh Web site: **https://buergerstiftung-guetersloh.de/ueber-uns/finanzen/**

Bundesverband Deutscher Stiftungen. (2023). ***Annual Report***. Bundesverband Deutscher Stiftungen.

Bürger für Gütersloh. (2023). ***Klimaoase Gütersloh***. Retrieved from Bürger für Gütersloh Web Site: **https://bfgt.de/klima-oase-aktion-samenkorn-in-guetersloh-gestartet/**

Bürgerstiftung Gütersloh. (n.d.). ***About Us: Bürgerstiftung Gütersloh***. Retrieved from Bürgerstiftung Gütersloh website: **https://www.buergerstiftung-guetersloh.de/**

Candid. (2025). ***Foundation Maps***. Retrieved from Candid website: **https://maps.foundationcenter.org/home.php**

Centre for Social Investment. (2016). ***Foundations in Germany - Summary and Policy Recommendations.***

City Population. (2024). ***Banská Bystrica***. Retrieved from City Population Website:**https://citypopulation.de/en/slovakia/banskobystrickykraj/bansk%C3%A1_bystrica/508438__bansk%C3%A1_bystrica/**

Cleveland Foundation. (2025). F***rederick H. Goff, National Intellectual Treasure***. Retrieved from Cleveland Foundation Website: **https://www.clevelandfoundation100.org/timeline/?hide=#view-event-3481**

Community Foundations. (2026). ***Community Foundations Website***. Retrieved from Community Foundations in Romania: **https://fundatiicomunitare.ro/?lang=en**

Council of Foundations. (2022). ***Non-Profit Law in Germany***. Retrieved from Council of Foundations Website: **https://cof.org/content/nonprofit-law-germany#:~:text=The%20law%20does%20not%20require,(2)%20sentence%202).**

Council on Foundations. (n.d.). ***Definition of a community foundation***. Retrieved October 1, 2025, from Council on Foundations website: **https://cof.org/sites/default/files/documents/files/Definition-ofa-Community-Foundation.pdf?utm**

European Bank for Reconstruction and Development. (1995). ***Transition report 1995: Investment and enterprise development***. London: EBRD.

European Community Foundation Initiative . (2025). ***Community Foundations in Europe***. Retrieved from ECFI Website: ***https://www.communityfoundations.eu/community-foundations-in-europe.html***

European Community Foundation Initiative. (2016). ***A Guide to Community Foundations in Germany***. Berlin: European Community Foundation Initiative.

European Community Foundation Initiative. (2017). ***Building Bridges for Local Good***. Berlin: Bundesverband Deutscher Stiftungen.

European Community Foundation Initiative. (2018). ***A Guide to Community Foundations in Romania***. Berlin: Bundesverband Deutscher Stiftungen.

European Community Foundation Initiative. (2020). ***Knowledge Center***. Retrieved from European Community Foundation Initiative website: **https://www.communityfoundations.eu/community-foundations-in-europe/knowledge-centre.html**

European Community Foundation Initiative. (2022). ***Community Foundations in Europe: State of the Field***. Berlin: Bundesverband Deutscher Stiftungen e.V. (Association of German Foundations).

European Community Foundation Initiative. (2024). ***Slovakia***. Retrieved from European Community Foundation Initiative Web site: **https://communityfoundations.eu/countries/sk/**

European Community Foundation Initiative. (2025, May 25). ***European Community Foundation Initiative Website***. Retrieved from Community Foundations for Ukraine: **https://communityfoundations.eu/community-foundations-for-ukraine/**

European Community Foundation Initiative. (2025, February 8). ***Journey of Slovakian Community Foundations***. Retrieved from European Community Foundation Initiative website: **https://communityfoundations.eu/knowledge-item/journey-of-slovakian-community-foundations/**

European Community Foundation Initiative. (2018). ***A Guide to Community Foundations in Romania***. Berlin: Bundesverband Deutscher Stiftungen.

European Community Foundation Initiative. (n.d.). ***European Community Foundation Initiative***. Retrieved from Atlas of Community Foundations in Europe: **https://communityfoundations.eu/community-foundations-in-europe/atlas-of-community-foundations/countries-ro/**

European Union. (2025). ***Germany - Overview***. Retrieved from European Union website: **https://european-union.europa.eu/principles-countries-history/eu-countries/germany_en**

European Union. (2025). ***Population change - Demographic balance and crude rates at national level***. Retrieved from Eurostat Website: **https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/demo_gind__custom_12532852/bookmark/table?lang=en&bookmarkId=f4e55477-525a-41d4-acee-f63b529ddfcc&c=1723121340962**

European Union. (2025). ***Romania***. Retrieved from European Union Web Site: **https://european-union.europa.eu/principles-countries-history/eu-countries/romania_en**

European Union. (2025). ***Slovakia***. Retrieved from European Union Web site: **https://european-union.europa.eu/principles-countries-history/eu-countries/slovakia_en**

Fidelity Charitable. (n.d.). ***What is a community Foundation***. Retrieved from Fidelity Charitable website: **https://www.fidelitycharitable.org/guidance/philanthropy/community-foundations.html**

FinStat. (2024). ***Komunitná nadácia Zdravé mesto***. Retrieved from FinStat Website: **https://finstat.sk/30231531**

Foundation for Civil Society Development. (2024). ***Snapshot of the Romanian NGO Sector***. Retrieved from Foundation for Civil Society Development Website: **https://www.fdsc.ro/en/snapshot-of-the-romanian-ngo-sector/**

Fundația Comunitară Cluj. (2022). ***Anual Report***. Fundația Comunitară Cluj. Retrieved from **https://www.fundatiacomunitaracluj.ro/wp-content/uploads/2023/12/Raport-FINAL-FCC-2022-4.pdf**

Fundația Comunitară Cluj. (2023). ***Anual Report 2023***. Fundația Comunitară Cluj.Fundația Comunitară Cluj. (n.d.). Board of Directors. Retrieved from Fundația Comunitară Cluj Website: **https://www.fundatiacomunitaracluj.ro/consiliul-director/**

Fundația Comunitară Cluj. (n.d.). ***Executive Team***. Retrieved from Fundația Comunitară Cluj Web Site: **https://www.fundatiacomunitaracluj.ro/echipa-executiva/**

Fundatii Comunitare. (2018). ***Cluj Community Foundation in Totals***. Retrieved from Fundatii Comunitare Website: **https://fundatiicomunitare.ro/fundatii/cluj-community-foundation/?lang=en**

Global Fund for Community Foundations. (2014). ***Community Foundation Atlas***. Global Fund for Community Foundations. Retrieved from **https://globalfundcommunityfoundations.org/wp-content/uploads/2019/04/CommunityFoundationAtlas_GlobalSnapshot.pdf**

Golden Valley Community Foundation. (2023). ***What is a Community Foundation?*** Retrieved from Golden Valley Community Foundation website: **https://www.gvcfoundation.org/what-is-a-community-foundation?**

Gurescu, G. (2019, October 1). ***Nurturing community philanthropy in Romania***. Retrieved from WINGS Web Site: **https://wingswebmembers.org/nurturing-community-philanthropy-in-romania/**

Gütersloh City Hall. (2025). ***Population Development***. Retrieved from Gütersloh City Hall Website: **https://www.guetersloh.de/de/rathaus/veroeffentlichungen/zahlen-daten-fakten-einwohnerentwicklungen.php**

Hernández, A. R., Hernández, R. M., & Díaz, J. C. (2010). ***Community foundations in Spain and Portugal, and their influence on local Development***. Cáceres.

International Center for Non-For Profit Law. (2000, June). ***Law on Associations, Country Reports: Central and Eastern Europe***. Retrieved from **https://www.icnl.org/resources/research/ijnl/country-reports-central-and-eastern-europe-8**

Komunitnej nadácii Zdravé mesto. (2026). ***Komunitnej nadácii Zdravé mesto*** Website. Retrieved from Homepage: **https://knzm.sk/**

Learning to Give. (n.d.). ***Community Foundations***. Retrieved from Learning to Give website: **https://www.learningtogive.org/resources/community-foundations?**

Mazany, T., & Perry, D. C. (2014). ***Here for Good: Community Foundations and the Challenges of the 21st Century***. New York: Routledge.

Mott Foundation. (2026). ***Community Foundation Development Program***. Retrieved from Mott Foundation Website: ***https://www.mott.org/grants/200801758-04/***

OECD Public Governance Reviews. (2023). ***Civic Space Review of Romania. Paris: OECD Publishing***. Retrieved from **https://www.oecd.org/en/publications/civic-space-review-of-romania_f11191be-en/full-report/component-9.html**

OECD Regional Development Studies. (2025). ***Preparing for Demographic Change in the Banská Bystrica Region, Slovak Republic***. OECD.

Romanian United Fund. (n.d.). ***Romanian United Fund Website***. Retrieved from FFCR - Romanian Federation For Community Foundations: **https://www.romanianunitedfund.org/ffcr**

Stiftung Aktive Bürgerschaft. (2025). ***Bürgerstiftungen in Zahlen***. Retrieved from Stiftung Aktive Bürgerschaft Website: **https://www.aktive-buergerschaft.de/buergerstiftungen-in-zahlen/#:~:text=Seit%201996%20summiert%20sich%20die,flexibel%20auf%20aktuelle%20Herausforderungen%20reagieren**.

Stiftung Aktive Bürgerschaft. (2025). ***Report Bürgerstiftungen 2025***. Retrieved from Stiftung Aktive Bürgerschaft website: **https://www.aktive-buergerschaft.de/reportbuergerstiftungen_2025/**

Strawser, C. (2021). ***Community Foundations as Community Leaders: The Role of Community Leadership in Creating Change***. The Foundation Review, 13(3), pp. 79-91.

Strečanský, B. (2014). ***Community foundations in Central and Eastern Europe 20 years on***. Alliance Magazine. Retrieved from **https://www.alliancemagazine.org/analysis/community-foundations-in-central-and-eastern-europe-20-years-on/#:~:text=The%20beginnings%20in%20Bansk%C3%A1%20Bystrica,be%20a%20long%2Dterm%20endeavour.**

The Council on Foundations. (2024). ***CF Insights Survey Results***. Retrieved from The Council on Foundations website: **https://cof.org/cfinsights/results**

The Funding Network. (n.d.). ***Romania***. Retrieved from The Funding Network Web Site: **https://www.thefundingnetwork.org.uk/network/romania**

The National Council of the Slovak Republic. (2001, December 18). ***Slovakia***. Retrieved from International Center for Non-for-Profit Law Website: **https://www.icnl.org/wp-content/uploads/Slovakia_actfound.pdf**

The National Council of the Slovak Republic. (2025, April 16). ***Act No. 213/1997 Coll. on Non-profit Organizations Providing Generally Beneficial Services***. Retrieved from Legislationline Website: **https://legislationline.org/taxonomy/term/26812**

Triangle Community Foundation. (2025). ***Why A Community Foundation***. Retrieved from Triangle Community Foundation website: **https://trianglecf.org/individuals-families/why-a-community-foundation/#:~:text=Value%20Add,now%2C%20and%20in%20the%20future**.

UK Community Foundations. (2025). ***Celebrating 50 years***. Retrieved from UK Community Foundations Website: **https://www.ukcommunityfoundations.org/celebrating-50-years#:~:text=Place%2Dbased%20philanthropy%20has%20scaled,America%20and%20the%20South%20Pacific.**

UK Community Foundations. (2026). ***Our Impact: UK Community Foundations***. Retrieved from UK Community Foundations Web site: **https://www.ukcommunityfoundations.org/**

Walkenhorst, P. (2021). F***oundations, Community***. doi:**https://doi.org/10.1007/978-3-319-99675-2_38-1**

Walkenhorst, P. (2021). ***Foundations, Community.*** International Encyclopedia of Civil Society, 1-7. Retrieved from **https://link.springer.com/rwe/10.1007/978-3-319-99675-2_38-1#citeas**

Worldometer. (2026). Georgia GDP (2026). Retrieved from Worldometer: **https://www.worldometers.info/gdp/georgia-gdp/**

Zimmer, A., & Priller, E. (2004). ***Future of Civil Society: Making Central European Nonprofit-Organizations Work***. ***VS Verlag für Sozialwissenschaften***.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. (2025). ***ასკანა***. მოპოვებული 2025, **https://www.georgianencyclopedia.ge/ka/form/21654**-დან

საქართველოს პარლამენტი. (2024). ***უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ***. Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: **https://matsne.gov.ge/ka/document/view/6171895?publication=0**

საქართველოს პარლამენტი. (2026, მარტი 4). ***„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე***. Retrieved from **https://matsne.gov.ge/ka/document/view/6803542?publication=0**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2025). ***მოსახლეობა და დემოგრაფია***. Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდი: **https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia**

დანართი 1: ინფორმირებული თანხმობის ფორმა

ინფორმაცია კვლევის შესახებ
კვლევის განმახორციელებელი

კვლევას ახორციელებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ორგანიზაცია „პური მსოფლიოსთვის“ მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „სამოქალაქო ჩართულობა, სოციალური პასუხისმგებლობა და კარგი მმართველობა“ ფარგლებში.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევა მიზნად ისახავს სხვადასხვა ქვეყანაში სათემო ფონდების ფუნქციონირების, მათი სარგებლისა და გამოწვევების სისტემურ ანალიზს.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანებია:

1. აღწეროს და გააანალიზოს სათემო ფონდების არსებული კარგი პრაქტიკისა და გამოწვევების ძირითადი ტენდენციები უცხოეთში, სამი ქვეყნის მაგალითზე.
2. აღწეროს და გააანალიზოს სათემო ფონდების გამოცდილება საქართველოში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდებს და მონაცემების ანალიზს.

- **პირველი ამოცანის ფარგლებში** გამოყენებული იქნება ძირითადად ინტერნეტში ხელმისაწვდომი წყაროები.

- **მეორე ამოცანის მისაღწევად, ინტერნეტში მოპოვებული ოფიციალური მონაცემების გარდა, გამოყენებული იქნება ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი ინდივიდუალური ინტერვიუებისთვის. ინტერვიუები ჩატარდება დისტანციურად, Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით. პირველადი მონაცემები შეგროვდება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:**

- ფონდის შექმნის ისტორია
- ორგანიზაციული სტრუქტურა
- დაფინანსების სტრუქტურა და ფორმები

- სხვა რესურსები (მოხალისეები, მატერიალური დახმარება, მომსახურებით მხარდაჭერა ა.შ.)
- ძირითადი საქმიანობები
- დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა
- ძირითადი გამოწვევები
- დაფინანსებული პროექტის მაგალითი

ინტერვიუების დროს გაკეთდება ჩანაწერები, რომელთა ანალიზიც პირველადი მონაცემების შეგროვების შემდეგ განხორციელდება. კვლევის დასრულების შემდეგ გაიმართება მონაცემებისა და შედეგების ვალიდაციის შეხვედრა.

კვლევის შერჩევა და მონაწილეები

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის მონაწილეებად განისაზღვრნენ საქართველოში სათემო ფონდების შექმნისა და ოპერირების გამოცდილების მქონე ადამიანები.

კვლევის პერიოდი

კვლევის განხორციელება დაგეგმილია 2025 წლის სექტემბრიდან 2026 წლის მაისის პერიოდში.

კონფიდენციალობა

ინტერვიუს დროს გაკეთებულ აუდიო-ვიდეო ჩანაწერზე წვდომა ექნება მხოლოდ ძირითად მკვლევარს (ზურაბ ტატანაშვილს). კვლევისას გამოთქმული მოსაზრებების კონკრეტულ რესპონდენტებთან დაკავშირება შესაძლებელი იქნება, ვინაიდან ინტერვიუს ძირითადი საკითხები ეხება მათ პირად გამოცდილებას სათემო ფონდების შექმნისა და ოპერირების მიმართულებით. რესპონდენტებს კონკრეტული მოსაზრებების კონფიდენციალობის უზრუნველყოფის მოთხოვნა შეეძლებათ როგორც ინტერვიუს, ისე ანგარიშის პირველი ვერსიის გადახედვის შემდეგ; ამისთვის მათ მიეცემათ სულ მცირე ერთი კვირა.

კვლევის შედეგებისა და მიღებული ინფორმაციის საჯაროობა

კვლევის შედეგები იქნება საჯარო. კვლევის დროს მიღებული ინფორმაცია, ზემოთ ხსენებული წესების დაცვით, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შემდგომი ანალიზისთვისაც.

მკვლევარის საკონტაქტო ინფორმაცია

- კვლევასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შეგიძლიათ მიმართოთ მკვლევარს ზურაბ ტატანაშვილს, ელ-ფოსტის მისამართზე: **zurab.tatanashvili@csrdg.ge**.

ინფორმირებული თანხმობის დადასტურება

ვადასტურებ, რომ გავეცანი ინფორმაციას კვლევის შესახებ. მქონდა შესაძლებლობა დამესვა დამატებითი კითხვები და მიმეღო პასუხები კვლევის შესახებ. ჩემი მონაწილეობა მოცემულ კვლევაში არის ნებაყოფლობითი.

თანახმა ვარ კვლევაში მონაწილეობასა და აუდიო-ვიდეო ჩანაწერის გაკეთებაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ ძირითადი მკვლევარისთვის.

კვლევის მონაწილის გვარი, სახელი: _____
კვლევის მონაწილის ხელმოწერა _____
ინტერვიუს თარიღი: _____/_____/_____
მკვლევარის ხელმოწერა: _____